# ჩვენი თეატრი

1 ეგზ.

## 8

ბიბლ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ
1940

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ჩვენი თაობა

საქართველოს სამჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

12 ЖЗ6

## 8

საქ. მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი
1940 წელი. აგვისტო.

## შინაარსი


გვ.

### მხატვრული ლიტერატურა

მიხეილ ოქროპირიძე — ვაჟას ცრემლები . . 5
ალეკო შენგელია — ცაზე ჰკიდია ერთი ღრუბელი . . . . . 6
კოტე ხიმშიაშვილი — ჯონქა ხორნაული (გაგრძელება) . . . . . 8
ივანე შაიშმელაშვილი — ქარიშხალი ტფილისში . . . . . 19
ალექსანდრე ქუთათელი — მკვდრის მზე . . 28
იოსებ ნონეშვილი — უსახელო ყვავილი . . 39

### კრიტიკა

შალვა გოზალიშვილი — ვაჟა-ფშაველას „სადარის პოეზია“ და „რამერუმე“. . . 40
იაკობ ბალახაშვილი—გრიბოედოვი საქართველოში და ნინო ჭავჭავაძე... . . . 50



სარედაქციო კოლეგია: **ასტვაცატუროვი ერემია, გენაშვილი დიმიტრი** (პასუხისმგებელი რედაქტორი), **გრიშაშვილი იოსებ, კლდიაშვილი სერგო, ქიაჩელი ლეო, შენგელაია დემნა, ჩიქოვანი სიმონ.**
პასუხისმგებელი მდივანი: **ნიკოლოზ აგიაშვილი**

წარმოებას გადაეცა 8/VIII-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდათ 26/IX-40 წ. ქაღ. ზომა. 72×108. ჟურნ. ზომა 7×11½. ფორმ. რაოდ. 4. შეკვეთის № 1467. უე 1392. ტირ. 2000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.



ვაჟა-ფშაველა

ᲕᲘᲮᲔᲘᲚ ᲝᲩᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

# ᲕᲐᲟᲐᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ

შვლების ჯოგი ეფარება ტირიფს,
ხე ცახცახებს ნამისაგან სველი.
ვაჟამ თითი გამოსწია ყირიმს,
მისმა ტყვიამ შეახტუნა შველი.

შავ ლრუბლებით დაიფარა ზეცა,
ცრემლი მოსწყდა შეშინებულ მთაველს,
შველი გახტა, მაგრამ ჩაიკეცა
და თვალები მიაშტერა ფშაველს.

თითქოს ამბობს, მეც სიცოცხლე მინდა,
დამიხსენი სიკვდილის პირს მყოფი.
ვაჟამ შუბლზე ოფლი მოიწმინდა
და ძირს ხევში გადასტყორცნა თოფი.

ფშაველივით აქვითინდა ხევი,
უნდა შვლის გულს ამოაძროს ტყვია.
ვაჟამ ნახა ლრუბლის მონახევი
და ჭრილობა ბამბით შეუხვია.

მაგრამ შველი უკვე ხუჭავს თვალებს.
ფშავლის დარდი აერეოლებდა კლდესა,
თითქოს სცივა, ვაჟას აკანკალებს,
თვალებს—ცრემლი, გულს ამოხდა კვნესა.

შვლების ჯოგი ეფარება ტირიფს,
ხე ცახცახებს ნამისაგან სველი,
ვაჟა სწყევლის უპატრონო ყირიმს
და მძივებად ეკიდება ცრემლი.

---

ალეკო შენგელია

# ცაზე ჰკიდია ერთი ღრუბელი

ცრემლებს ხატავენ თვალთა უპენი,
ასე ჩამქრალნი და ჩაბინდულნი...
ცაზე ჰკიდია ერთი ღრუბელი,
დარცხვენილივით თავჩაქინდრული.

წყალი!.. არ არის არსად სამშველი.
და მოლოდინსაც ვერ შეელევი,
ერთი მთა დარჩა გადასასვლელი,
მთაზე ნისლი და გალმა მშველელი.

ხელით მოსინჯა მკერდი დაჭრილი,
გულის ჯიბეში ნახა სურათი,
თვალში ჩაუდგა თეთრი აჩრდილი,
მისი შავთვალა და ხევსურეთი.

ხან ცის ლაჟვარდი ზღვას შეადარა,
წყურვილი ჰკლავს და აჟრჟოლებს ტანში,
ხანაც ბავშვია თითქო პატარა
და დედის ძუძუს შეჰხარის ბავშვი.

ხან მწუხარე და დაღლილი სახით,
საყვარელ სურათს მიაყურადებს,
ათრთოლებული მიჰყვება ძახილს
და ბრძოლისაკენ უხმობს სურათი.

ჰოი, მარჯვენა (რომ შერჩენოდა,
რაღამ უშველოს სურვილს გათელილს,
ფინეთს მოსულა საქართველოდან,
ბრძოლის. წყურვილით ღამენათევი.

სამშობლოსათვის!.. ისმის გუგუნი,
გადაიქროლეს ლეგა ღრუბლებმა...
სურათი იგი კვლავ ჩაჰღუღუნებს
და ხევსურეთზე ესაუბრება.

თუ კვდება, მოკვდეს სასახელოდა,
როგორც გმირი და როგორც ქართველი,
რა შორს მოსულა საქართველოდან,
და რა ახლოა მისი ნათელი.

ცრემლებს ხატავენ თვალთა უპენი,
ასე ჩამქრალნი და ჩაბინდულნი...
ცაზე ჰკიდია ერთი ლრუბელი,
დამნაშავე და თავჩაქინდრული.

... კვლავ მწუხარე და დაღლილი სახით
საყვარელ სურათს მიაყურადებს,
ათრთოლებული მიჰყვება ძახილს
და ბრძოლისაკენ უხმობს სურათი.

## წამოდი ჩემთან

წამოდი, ჩემთან არ არის ცუდი,
ლექსები გითხრა, — რას დაგადარო!..
დაგიწნა თეთრი ზამბახის ქუდი,
ჩემო დიდგულა, პატარა ქალო.
შორს აგიშენო თეთრი კარავი,
სიყვარულივით ჩუმი, მდუმარი,
არ შეგვაშფოთებს მეტი არავინ, —
ისევ ჩვენ ვიყოთ ჩვენი სტუმარი.
ო, შენ არასდროს არ მოგწყინდება,
ჩემთან სიზმრებში ჩაგეძინება,
და ცისკარივით ამობრწყინდები,
ძილში რომ ჩუმად ჩაგეცინება.
ხან უზრუნველი, მინდორთა შორის
თეთრ ყვავილებში დამემალები,
მინდორს აანთებს ვარსკვლავი ორი
და შემაჟრჟოლებს შენი თვალები...
წამოდი, ჩემთან არ არის ცუდი,
ლექსები გითხრა, — რას დაგადარო!..
დაგხურო თეთრი ზამბახის ქუდი,
ჩემო დიდგულა, პატარა ქალო.

## გახსენება

რა ცოდნიათ ამ პატარა ნამის ლილებს,
თვალს ნაბავენ, თითქო შენი თვალებია...
ერთხელ მაინც, ჩუმად მაინც გამილიმე,
რა უღმერთო გაჯავრება გყვარებია!

---

კოტე ხიმშიაშვილი

# ჯონქა ხორნაული

## რომანი

### III

### ენძელის ავგაროზი.

ტყეს უკვე დასტყობოდა გაზაფხულის პირველი დღეები, — ფიჭვის წიწვებს ფერი გამუქებოდათ და მწვანედ ბზინავდნენ დაფლეთილ ღრუბლებიდან გამოსულ მზეზე. ღრუბლები მოძრაობდნენ, მათი ჩრდილი ორიოდე წუთით დააბნელებდა ხოლმე ხეებს; მაშინ უეცრად ისევ აცივდებოდა, მოიღუშებოდა ტყე; ახალგამდნარი თოვლის სველი ლაქები ისევ იწყებდნენ ჟონვას და ნაადრევად მოგეჩვენებოდა ტყის გამოცოცხლება; მაგრამ ღრუბლის ჩრდილი გადაივლიდა, იატაკზე დაფენილ ნადირის ტყავივით ტოტებგაშლილი და კისერწაგრძელებული გაჰყვებოდა ხის მწვერვალებსა და გამხმარი ხავსით დაფარულ ბილიკებს. ისევ თვალის მომჭრელად დაიწყებდნენ სინათლეზე ბზინვას გამხიარულებული წიწვები, ტოტებში მიმალული მესკიაც ჭრინვას მოჰყვებოდა.

ძაღლები შფოთავდნენ, ყურაცქვეტილი იცქირებოდნენ ტყის სიღრმისკენ, საიდანაც მათი გამახვილებული ყნოსვა ათასგვარ სურნელებას იჭერდა. ისინი მოუთმენლად გადახედავდნენ ხოლმე მონადირეებს, რომლებიც გაუგებარ სიმშვიდეს იჩენდნენ და თოფის შალითებს აუჩქარებლად იხსნიდნენ მხრიდან. უცნაური ქცევა აქვთ ადამიანებს, როგორ შეიძლება მშვიდად იყო, როცა ნიავს ტყიდან ფრინველის მათრობელა სუნი მოაქვს; თავს ცოტა დაბლა თუ დახრი — ეკლიანი ზღარბი ჰყარს, აქვე სადღაც, სულ ახლო, ბუჩქების გასწვრივ; გვერდით ხის სოკო გაუსრესია ვილაცის ფეხს, ცოტა იქით კიდევ ისეთი ძალა აქვს ჰაერის ნაკადს, რომ სისხლი აგემღვრევა და კუნთები უნებურად თრთოლვას დაიწყებენ. ადამიანებს აინუნშიც არ მოდით ყოველივე ეს, ზოგჯერ კი დიდ ალიაქოთს ასტეხენ, თუ მეზობლის კატა დაიფრინე კიბეებზე.

— ეჰ, ძია ალფეზ, — სთქვა ჯონქამ, — გაზაფხულზე საღამოობითა სჯობს ტყის ქათმებზე ნადირობა, სატიხტიხეზე უნდა წამოვსულიყავით...

— ვისა სცალია, ბიჭო, საღამოობით. მაგათი აშიკობის თვალთვალი კი არა, მე თითონ უცოლოდ დავრჩენილვარ ამ ხნის კაცი. ახლაც არა უშავს, მზე ახალამოსულია, — ჯერ გადაფრენა არ გაუთავებიათ.

---

*) გაგრძელება. „ჩვენი თაობა“ № 7.

მონადირეები ორ ჯგუფად გაიყვნენ; გიორგიმ ახალგაზრდა, ჟღალა ძაღლი წაიყვანა და გზისპირა ბუჩქნარს გაჰყვა. ალფეზმა უფრო ხნიერი აირჩია, — ახალგაზრდა ჩქარი იყო და ტყის ქათმისთვის ნაკლებად გამოდგებოდა. წაბლისფერ, გრძელბეწვიან სეტერს შუბლზე პატარა, თეთრი ლაქა ჰქონდა და ოთხივე თათებზე თეთრი „თათმანები" ეცვა. განსაკუთრებულ გრაციულობას აძლევდნენ მის მოძრაობას ეს ბუნებრივი თათმანები. ისე პიწკად ადგამდა ფეხს გამხმარი წიწვითა და ხავსით მოფენილ მიწაზე, თითქო თათმანების დასვრას ერიდებოდა.

ტყე შერეული იყო; მუდამ მწვანე, ფიჭვების გვერდით ფოთლოვანი ხეების ახალგაშლილი მჭრალი კვირტები ვერ ფარავდნენ მათ სიმშვლეს. გაძარცულ მუხებსა და წიფლებს შორის გუნდგუნდად გარეულიყვნენ ფიჭვების მწვანე ქოლგები და ბაზარში გამოსულ კოპწია ქალებივით ერიდებოდნენ ჯერ კიდევ შეუმოსავ, გაღარიბებულ ხეებს.

ბილიკს ცალმხარეს ასკილის, მაყვლისა და შქერის განიერი ბუჩქნარი მისდევდა. სეტერს საყელო შესხნეს და გახარებული ძაღლი ხმაურით შევარდა ბუჩქებში, ფიჩხის ლაწუნითა და ხმამაღალი ფრუტუნით დატრიალდა და როცა ერთი წამით ისევ ბილიკზე გამოვიდა — მთლად დასველებულიყო ნამით.

გაზაფხულის წყნარი და თბილი დილა იდგა. მსუბუქი ნიავი ოდნავ არხევდა ხის კენწეროებს, წყლით გაჟღენთილი მცენარეებისა და ნოტიო მიწის სუნს ავრცელებდა.

ჯონქა და ალფეზი აუჩქარებელი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ ნახირისაგან გაკვალულ საცალფეხო ბილიკს. ხის ტოტები ზოგჯერ გზას გადაუღობავდნენ, თითქო მკლავგაშლილი არ ეშვებოდნენ ტყის მყუდროება დაერღვიათ; ტოტი მოიღუნებოდა, გაატარებდა კაცს, ისევ გაიმართებოდა და ტაშს შემოჰკრავდა სასოწარკვეთილი.

ძაღლი სულ უფროდაუფრო ვრცელ წრეებს აკეთებდა მონადირეების ირგვლივ. მისი ნიშა თავი გარს ევლებოდა ყოველივეს, უეცრად შესდგებოდა, ყურაცქვეტილი რაღაცას დააჩერდებოდა, მუდამ ნოტიო, წაბლა ცხვირს ააცმაცუნებდა, თათმანიან წინა ფეხს ასწევდა ზევით, სწრაფად შეტრიალდებოდა და ისევ გაიშლიგინებდა შქერის ბუჩქებში...

ალფეზი თანდათან ნადირობის ექსტაზში შევიდა, წელანაც გამხიარულებული იყო ფუნდუკში საუბრისა და კონიაკის შემდეგ, ახლა სახე წამოუწითლდა, ორლულა თოფის კონდახი იღლიასთან ეჭირა მომზადებული და სტვენითა და შეძახილებით აქეზებდა ისედაც გაშმაგებულ ძაღლს. ჯონქა უკან მიჰყვებოდა ალფეზს, უნებურად მასაც სხვაგვარად დაუწყო გულმა ცემა და სეტერის მოძრაობას თვალს აღარ აშორებდა. ერთგან მაყვლის ტოტმა ჩასჭიდა ეკლები შარვალში და ერთხელ კიდევ მოაგონა, რომ სანადიროდ არ იყო გამოწყობილი. ჯონქამ ჩაგუსავით წინდებში ჩაიტანა შარვალი, პალტოც ყველა ფოლაქებზე შეიბნია, თორემ კალთები ასკილზე შერჩებოდა ან კვრინჩხზე.

ხევისპირა ხშირ ბუჩქნართან ძაღლი უეცრად შედგა და გარინდდა. ჯონქამ სუნთქვა შეიკრა. ძაღლს მოხრილი წინა თათი მაღლა აეღო და თვალგაშწვანებული მიშტერებოდა ბუჩქებში გაყუჩებულ, უხილავ ფრინველს. წამით თითქო გაქვავდა, მაგრამ ეშინოდა, რომ ყოველი კუნთი დასძაბოდა, ყოველი ნერვი უკრთოდა, ზამბარასავით დაჭიმული, კისერგაწვდილი, ყურაცქვე-

ტილი იდგა და წაბლისფერ ტუჩიდან კუდის რიკამდე ელექტრონაპერწკლად უვლიდა და აცახცახებდა უცნაური ძალა. გაოგნებულს უთუოდ მძაფრი ნახტომის გაკეთება სურდა, მაგრამ რაღაც სურნელებამ დაათრო მისი სხეული, ქანდაკად აქცია და ადგილიდან ვეღარ იძროდა. ყნოსვად ქცეული ამოად მისჩერებოდა ჩახლართულ ბუჩქნარს, მისი თვალები ახლა ვერაფერს ხედავდნენ, სიმთვრალის ლიბრი ჰქონდათ გადაკრული, კუნთები შეჰბოჭვოდნენ, როგორც ხაშხაშით გაბრუებულს, სხეული კი გაათასკეცებით ჰგრძნობდა და ფეთქავდა, ხარბად იჭერდა ბუჩქებიდან მოდენილ სურნელებას, იტანჯებოდა და სტკბებოდა უძრაობით.

მოულოდნელად, ხმაურით ამოფრინდა დიდი ფრინველი ბუჩქნარიდან და ტანმაღალი ხეების გასწვრივ წავიდა მაღლა, ფრთების ფართხუნით.

იქექა თოფმა. ტყის ქათამი ხის მწვერვალს არ ასცილებოდა, გადმობრუნდა ჰაერში და ისევ ბუჩქებში ჩავარდა.

— ეძებე! — დაიძახა ალფეზმა. ძაღლი შევარდა ბუჩქებში, ალფეზმა თოფიდან აბოლებული მასრა ამოაგდო და თითონაც ბუჩქებს მიაშურა. იგი ძაღლს აღარ აცლიდა მოკლული ფრინველი ეპოვა, ბარდებში ჩაიჩოქა და აღელვებული მოუთმენლად, ხელის ფათურით ეძებდა ნანადირევს. ნესტოები დაენაკვთა, ჭროღა თვალები თაგვს დადარაჯებულ კატასავით დაურბოდნენ გაფაციცებით, ხელები დაიკაწრა ეკლებზე, ქუდი თავიდან გადაუვარდა. წამდაუწუმ უსტვენდა ძაღლს, აქეზებდა, უჯავრდებოდა და იფურთხებოდა.

სეტერმა როგორც იქნა იპოვა ტყის ქათამი და პირით მოურბენინა პატრონს. ფრინველი ჯერ კიდევ ფეთქავდა, ოდნავ არხევდა ფრთას. ძაღლი მსხვერპლს თვალანთებული დაჰყურებდა, უთუოდ ძლიერ უნდოდა მაგრად მოეჭირა კბილები და ენინი მოეკლა, მაგრამ პატრონის ხმამ ჩაუქრო სურვილი და დააშოშმინა. ალფეზი ბავშვივით იყო გახარებული, დაჩოქილმა ძაღლს ხელი მოჰხვია, შუბლზე აკოცა თეთრ ნიშანში. სეტერმა პასუხად მთელი ტანით შეიბერტყა სველი ბეწვი და პატრონს ნამი სახეში შეაყარა.

ტყის ქათამს ძლიერ ვიწრო, რუხი შუბლი ჰქონდა და მაღალი, შავ და ჯანგისფერ ზოლებიანი კეფა; შორიშორს დასმული, სათვალეების მსგავსი თვალები და გრძელი, ტანთან შედარებით მეტად გრძელი, წვრილი ნისკარტი გულუბრყვილო გამომეტყველებას აძლევდნენ. ალფეზი ხელში ატრიალებდა ნანადირევს, ბუმბულზე სულს უბერავდა, საფანტის მონახვედრს ეძებდა.

— დახე რა ძაღლია?.. — ქოშინით ეუბნებოდა ჯონქას, ჯერ კიდევ ბარდებში ჩაჩოქილი, — დახე რა ნაბული გააკეთა?.. ეს გრძელცხვირა ძლიერ ფრთხილია, ნაბულს ვერ უძლებს, თორემ, — ალფეზმა ალერსით წაისვა ტუჩზე ფრინველის ნისკარტი, — თორემ იცი რა ძაღლია? ერთ საათს ისე დადგება, — თვალსაც არ დაახამხამებს, მხატვარი უნდა მოიყვანო და დაახატვინო...

სეტერი ამაყად აქნევდა კუდს, თითქო გრძნობდა, რომ მასზე იყო ლაპარაკი; ისევ ბუჩქებისაკენ გაიწია, — უკვე აღარ აინტერესებდა მკვდარი ფრინველი. ალფეზმა აბგაზე დაიკიდა ქათამი, ახალი ვაზნა ჩასდო თოფში, მუხლებზე ხელი მოისვა და ძაღლს უკან გაჰყვა. რიგით ახლა ჯონქას უნდა ესროლნა, მაგრამ ხორნაულმა იცოდა, რომ ასეთ დროს მონადირისთვის თოფის განათხოვრება ცოლის განათხოვრებას უდრიდა; ამიტომ აღარაფერი უთქვამს.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ, ბილიკის ცოტა მოშორებით, მაღალი ფიჭვების ქვეშ, სადაც მუდმივი ჩრდილის გამო ბალახიც არ ამოდის, ჯონქამ მოთეთრო ლაქა შენიშნა და იქით გაემართა.

ხეებით შემოფარგლულ, გამხმარი წიწვით მოფენილი მიწის მცირე ნაკვეთზე პაწია ნაპრალები გაჩენილიყვნენ და იქიდან ენძელებს ამოეზიდათ ფერმკრთალი გვირგვინები.

ენძელა თოვლის ვალხვობასთან ერთად გაჩნდება ხოლმე, ყველა ბალახზე ადრე. ამ საოცარ მცენარეებს თეთრი და წვრილი, უფოთლოთ ღეროები ისე ამოეყოთ ნესტიან მიწიდან, თითქოს შიშველი, გაფითრებული ქალწულები გამოცვენილიყვნენ გარეთ მიწისძვრით შეშინებულნი. ზოგ მათგანს აქამდე ისევ მიწის ზედაპირზე ჰქონდა გვირგვინი და ზეციდან ეყარა დაფშვნილი გოროხი. სხვა მცენარე მწვანე ღეროს გაიზრდის, ფოთლებს გამოისხამს და კუკურის გაშლას მხოლოდ შემდეგ იწყებს; ენძელა კი პირდაპირ გვირგვინით ამოდის, მიწას ამოარღვევს და ჯერ კიდევ თოვლიან მიდამოში მოულოდნელად გამოჩნდება ხოლმე დღენაკლული ბავშვივით.

ჯონქა ხეს მიეყრდნო და ისე შესცქეროდა გაზაფხულის ამ პირველ ყვავილებს.

რატომ გაუხდიათ თავიდანვე ყვავილები სიყვარულის აუცილებელ დამატებად. სასაფლაოზეც ხომ მიაქვთ ყვავილები, ზეიმის დროსაც მტვრიან ქუჩებში და კარდახშულ ოთახებში ათასობით აჭკნობენ ცოცხალ თაიგულებს. მაგრამ ნამდვილი, ფაქიზი და ღრმა გრძნობა ყვავილებისადმი მხოლოდ შეყვარებულებსა აქვთ. იქნებ იმიტომ, რომ ყვავილი ყველაზე უფრო მეტი გულწრფელობით, დაუფარავად გამოხატავს თავისი არსებობის ერთადერთ მიზანსა და სწრაფვას, — სილამაზითა და სურნელებით მიიზიდოს და განაყოფიერდეს. თუმც შეყვარებულები ამას ქვეშეცნობით თუ სცნობენ, თორემ ისე ყვავილი დიდ მესაიდუმლედ მიაჩნიათ და ჩურჩულით გაანდობენ ხოლმე ოცნებას.

მაგრამ ეს ენძელები ვერც სურნელებით გააბრუებენ ვისმეს, ვერც ფერებით გააოცებენ. ჯონქა დაიხარა და ერთი, მაღლა წასული ენძელა მოწყვიტა. სისხლნაკლულივით ფერმკრთალი, იგი ამქვეყნიურ სიყვარულისთვის არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

ჯონქას მოაგონდა, რომ ენძელას ნივრისმაგვარი თესლი აქვს; ბავშვობისას მთაში ბევრჯერ ამოუთხრია და სიამოვნებით უგემნია, არც თუ ისე გემრიელი, მაგრამ მაინც პირველი, ყველაზე ადრეული მცენარე, — საჭმელად გამოსადეგი სხვა ბალახ-ბულახი და მხალი ხომ ერთი-ორი თვით გვიან გაჩნდებიან ხოლმე.

ხორნაულს გაეღიმა. ალბათ ყოველ ადამიანს აქვს განსაზღვრული დრო, როცა ყველაფერს სხვა თვალით დაუწყებს ცქერას. რა შეუფერებელი იქნებოდა ახლა ამ შუშის მსგავს ყვავილების ფესვიანად ამოთხრა და შეჭმა.

ჯონქამ ფრთხილად შეუბერა ენძელის გვირგვინს და მიწა ჩამოაშორა. მან გადასწყვიტა გულის ჯიბეში ჩაედო ყვავილი, თანაც გაიფიქრა, რომ მანანა თეთრ იასამნს უფრო გავდა უთუოდ, ვიდრე სიფრიფანა, მიმქრალ ენძელებს.

თოფმა დაიჭექა. მოისმა სტვენა და ძახილი. ფიჭვიდან ქერქეჭანა ჩამოცვივდა ხმაურზე და წამით დენთის მძიმე სუნიც დადგა.

ჯონქამ უკმაყოფილოდ გაიხედა ბილიკისკენ; გასროლა შეურაცხოფასავით მოესმა, თითქოს საჩუმათო საქმეში ყოფილიყოს გართული და უხეში შეძახილით გამოეფხიზლებინოთ. ერთი წუთით სასაცილოდაც მოეჩვენა თავი, ყვავილით ხელში რომ იდგა ხის ძირას. მაგრამ მაშინვე ამ მოულოდნელმა გასროლამ და დენთის უსიამოვნო სუნმა საწინააღმდეგო, ჯიუტური გრძნობა გამოიწვიეს. დიაღ, უყვარს და ენძელებს დასდგომია თავს უიმედოდ შეყვარებული. გაიცინეთ, გაიცინეთ.

უწინაც ბევრჯერ მოუწყვეტია მთაში ველური ყვავილი და ხარბად დაუყნოსავს, გემოც უსინჯავს ტკბილი, ცვრიანი ბუტკოსი, სათითაოდ დაუფურცლავს გვირგვინი, ხელით დაუსრესია. მაგრამ ის სულ სხვა რამ იყო. იქ განცდები მღვრიე იყვნენ, მსწრაფლცვალებადი, დაუდგრომელი მთის ნაკადივით, იქ არ უფიქრდებოდა საკუთარ ქცევას, ან ვერ ასწრებდა, რომ დაფიქრებულიყო, ჩანჩქერის ფსკერს ვერ დაინახავ გოჩგოჩანაში, ვერ შენიშნავ განცდილის ნალექად დარჩენილ შთაბეჭდილებას, მხოლოდ განუწყვეტელ მდინარების ზედაპირზე აქოჩრილი ზვირთები თუ მიგახვედრებენ, რომ ცხოვრების ნაკადმა მოგონებაში უძრავი ლოდი ჩამოიტანა. ბარში ჩამოსვლის შემდეგ კი ცხოვრება თანდათან უფრო ღრმა და მდორე კალაპოტით წავიდა, დაიწმინდა, გამჭვირვალე გახდა და მის ფსკერზე დარჩენილ ნალექიდან შლამიც გამოირჩეოდა და მცირეოდენი ოქროს ქვიშაც. იგი შეუმჩნეველად მიეჩვია საკუთარ, ყოველდღიური განცდების დაკვირვებას. ახლა ყვავილის მოწყვეტა და მკერდზე მიბნევა მოკლებული იყო იმ ბალღურ უშუალობას, ივრის ხეობაში რომ ჰქონდა. წიგნებში წანაკითხმა ბევრ რამეს ფერი უცვალა, უცნაურიც გახადა. ახლა დგას ფშაველი ბიჭი ყვავილით ხელში, ოხრავს ყურებამდე შეყვარებული და აღარ იცის — შერცხვეს ამ ამბისა თუ იამაყოს.

თოფის ხმით შერყეულ ფიჭვიდან დროდადრო ისევ ცვივოდა ქერქეჭანა მსუბუქი შრიალით. ჯონქამ მიუგდო მათ ყური და აქ, მაღალი ფიჭვების ქვეშ, ახალგამდნარ თოვლისაგან ჯერ ისევ სველ, შავი მიწიდან ამოსულ ენძელებთან, ხეების ტანზე დაცურებულ ქერქეჭანის ოდნავ გასაგონ შრიალში უეცრად შეიგნო, რომ რაც უნდა ძლიერი იყოს სირცხვილის გრძნობა, რომელიც წამდაუწუმ გადაუდგება ხოლმე წინ, რამდენჯერაც უნდა ჩავარდეს სასაცილო მდგომარეობაში, მაინც წარუშლელია, მაინც ხელშეუხებია ის ხატება, — შეუმჩნეველად, თავისთავთან ბრძოლითა და ტკივილით დაუფლებული მის არსებას, შეიგნო, რომ ახლა ველარაფერი ათქმევინებდა უარს მანანას სიყვარულზე.

ჯონქამ გაშალა მკლავები და ფიჭვის ტანს შემოაჭდო. ჩუმი შრიალით ცვივოდა ზევიდან ქერქეჭანა, ეფინებოდა მიწაშემოცლილ, დაკლაკნილ ფესვებს. ჯონქამ მხრებსა და თმაზე იგრძნო დაცვენილი ქერქეჭანის ფრთხილი შეხება, თითქო ფიჭვმაც აღელვებულ ბიჭს თანაგრძნობით გადაუსვა თავზე ხელი. ჯონქა კიდევ უფრო მჭიდროდ მიეყრდნო ხეს, მის უხეშ და გრილ კანს მიეკრო სახით და თვალდახუჭულს მცენარის გულისძგერა ჩამოესმა. მწვანე სისხლი სჩქეფდა ხის ტანში, ფესვები ხარბად სწოვდნენ მის წვენს, მზეზე ქოლგად გაშლილი ტოტებიც იზმორებოდნენ, გაზაფხულს შეჰხაროდნენ...

მანანო, მანანო, ნეტავ ჯონქაც მეცხვარედ დარჩენილიყო მამა-პაპასავით. ნეტავ შენც ფშაველი სარქლის ქალი ყოფილიყავ, მაშინ ისე უბრალო და ნა-

თელი იქნებოდა ყველაფერი. მაშინ გინდ მამაშენს ეუკადრისა ცოტა ცხვრის პატრონი სასიძო, ან გვარი არ მოსწონებოდა დასამოყვრებლად, გინდ შენ თითონაც სხვა წაწალი გყოლიდა აჩენილი, — მაინც მოგიტაცებდა ახალგაზრდა მეცხვარე, ნაბადში გახვეულს გატარებდა, ქისტეთს გადაგიყვანდა საჯიხვე ბილიკით, სადმე დაგმალავდა, სადმე თავს შეაფარებდა ფიც-ვერცხლნაჭამ ძმაკაცებთან. სულ დამბალხაჭოსა და უცეცხლო თაფლს გაჭმევდა, ლალის შიბს გიყიდდა, ცოცხალ შვლის ნუკრს მოგიყვანდა, დათვის ბელებს...

ახლა? ჯონქას თავისთავზე გაეღიმა და ამოიოხრა: ნეტავი მანანას, თუ დამბალხაჭო და დათვის ბელი შეჰპირდა.

რა უნდა ჰქნას ახლა ხორნაულმა? გამბედაობითა და თავხედობით ვერას გახდება. სიტყვაც ვერ უთქვამს ქალისთვის, თავსაც იტყუებს, უმალავს, რომ გაგიჟებით უყვარს, თუმც მისი ფიქრის ყველა ძაფი მანანათი მთავრდება.

არა, ახლა ყველაფერი გადაჭრილია. აქ, ამ ფიჭვების ქვეშ, ქერქეჭანის ჩუმ შრიალში გადასწყვიტა ჯონქამ, რომ მანანას სიყვარულზე უარს ვეღარ იტყვის. ქაჯეთის ციხე სიმბოლოა უთუოდ. ჯონქამაც უნდა აიღოს მიუვალი ციხე-სიმაგრე, სულ ერთია რა იგულისხმება, — თუ გინდ ინტელექტი იყოს.

ჯონქამ მხარზე შერჩენილი ქერქეჭანა აიღო და ხეზე დაბაზა ინიციალები. დაბაზა და იმწამსვე წაშალა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ხეზე, კედელზე თუ სხვაგან სახელის წარწერა ისეთივე ჩვეულებრივი ჟესტია წერაკითხვის მცოდნისათვის, როგორც ძაღლისთვის თანამოძმის მიერ დატოვებულ კვალზე უკანა ფეხის აწევით აღნიშვნა საკუთარი არსებობისა. მაგრამ ჯონქას უნდოდა რამე ჰქონოდა ამ დღის სახსოვრად. მას ისევ ხელში ეჭირა ნოწყვეტილი ენძელა, ყვავილის ღერო ორად მოჰკეცა და პიჯაკის გარეთა გულჯიბეში დამალა. იყოს აქ ჩუმად, ავი თვალისაგან მოფარებული. დრო მოვა და სინათლეს დაინახავს. მანამ კი ისე უფრთხის ჯონქა ამ საიდუმლოს გამჟღავნებას, როგორც თაიგულით ხელში გავლას ქუჩაზე, თუმც ყვავილები უწინაც უყვარდა და ახლა კი აღმოჩნდა, რომ კიდევ უფრო მეტად შეჰყვარებია. იყოს ავგაროზივით, ავი სულისაგან, ხიფათისაგან დასაცავად.

ისევ, ზედიზედ დაიჭექა თოფმა. ჯონქა მოსცილდა ფიჭვს და ალფეზისკენ გაემართა.

ალფეზი ხევგალმა გასულიყო. მას ორი ტყის ქათამი კიდევ ჩამოეგდო და გახარებულმა თავმომწონედ უჩვენა ჯონქას სანადირო აბგის თასმებზე ჩამოხრჩობილებივით დაკიდული გრძელნისკარტა, ტანმკვრივი ქათმები.

— ის მეოთხე არ გეგონოს, რომ დავაცილე, ამ დიდ ქათამს ვესროლე, აი, — დახე, ეტყობა კიდეც — სულ ბუმბული გავაყრევინე. მაგრამ შორს იყო, მარჯვენამ ვერ დაიჭირა და მარცხენა ლულაც მივაყოლე უკან... — ალფეზმა თითქო დასამოწმებლად ძაღლს გადახედა და იმანაც მაშინვე გაუქნია კუდი ცრუმოწმესავით, თან ეტყობოდა გვარიანად დალილიყო ბუჩქებში სირბილით: მარჯნისფერი, ხორკლიანი ენა გამოეგდო და თვალდაკუსული ქაქანებდა.

— ახლა მე ვესვრი, ძია ალფეზ, აღარ დადგა ჩემი რიგი? — უთხრა ჯონქამ.

— კარგი, ესროლე. ოლონდ გზისკენ გავყვეთ, თორემ დაგვიგვიანდება, — ათი საათისთვის ქალაქს უნდა ჩავიდე...

ძაღლს ისევ მიასწავლეს ბუჩქებისკენ, მაგრამ იგი ნაკლები ხალისით შეუდგა ძებნას.

— სეტერს იხვზე სანადიროდ სხვა ჯიშის ძაღლი ვერ აჯობებს, — სთქვა ალფეზმა, — ტყეში კი ადრე იღლება საწყალი, გრძელი ბეწვი უშლის. ერთი შეხედე რამდენი ბირკა და ეკალი მიჰკვრია, ერთ თვეს ველარ მოაშორებს კაცი...

ძაღლმა ერთხანს კიდევ იტრიალა ბუჩქებში, შემდეგ ბილიკზე გამოვიდა და თავდახრილი, ქაქანით აედევნა მონადირეებს. ჯონქამ ჩახმახები დაუშვა.

— აქეთ ხომ წელან გამოვიარეთ, ძია ალფეზ, ტყის ქათამი კი არა ჭინჭრაქაც დაფრინებოდა.

— ჰო, ეტყობა აღარაფერი უნდა იყოს, თორემ ეგ ძაღლი არც ასე მალე იტყოდა უარს მუშაობაზე...

ჯონქას უცნაურად ეჩვენა ალფეზის ასეთი სასხვათაშორისო ტონი და ხანმოკლე განადირება, მაგრამ თავისთავსაც შენიშნა, რომ ნადირობის ჟინმა ადვილად გადაუარა. უწინ ყოველგვარი ფიქრი ავიწყდებოდა ნადირობის დროს, ბუჩქის უკან ჩასაფრებულს შეეძლო ისე გაეტარებია რამდენიმე საათი სულგანაბული, რომ ერთი დაწყებული აზრიც არ მოსვლოდა თავში, ერთი სევდიანი ან სამხიარულო რამ არ მოჰგონებოდა. ახლა კი სულ სხვა ამბით იყო გართული და როცა თოფი ხელში აიღო, ჩვეული ინტერესი აღარ უგრძვნია. მსუბუქი ენძელა რკინის ავგაროზივით უმძიმდა მკერდთან, საშუალებას არ აძლევდა დაევიწყებია ის, რის სახსოვრადაც დამალა გულჯიბეში.

მზე უკვე საკმაოდ მაღლა წავიდა. სასიამოვნო სითბო ზურგში უღიტინებდა მონადირეებს; ნაბიჯს სიზანტე ერეოდა, ქუთუთოები ზედმეტ სიმძიმეს გრძნობდნენ, ნახევრად იხურებოდნენ ფოთლებზე დაფრქვეული ნამის ციმციმისაგან. ჯონქას ფიჭვთან დგომის შემდეგ კევისა და ფისის სუნი აჰყვა თან, ხის წებომ ხელები დაუტკბილა, პალტო მთლად დაფარული ჰქონდა ქერქეჭანის მტვრით. მაინც ღრმად, კმაყოფილებით ისუნთქავდა წიწვნარის საკმეველს და მკერდზე წამის-წამ გრძნობდა ავგაროზის შეხებას. მანანაზე ფიქრმა მას ალფეზის გადაკრული სიტყვებიც მოაგონა. რაღაც კავშირი ჰქონდა ენძელის ავგაროზს ამ დილით თეთრ დუქანში ატეხილ წუხილთან.

— ერთი მითხარი ძია ალფეზ, რისთვის აითვალწუნე ასე ძალიან ჩემი პროფესია?..

ალფეზმა უკან მოუხედა, ისე, რომ სტვენა არ შეუწყვეტია, შემდეგ შქერის ფოთოლი მოსწყვიტა, მუჭზე დაიდო და მოსწოვა.

— მე მასწავლებლობა არ დამიწუნებია, პირიქით,—ალფეზმა მეორე ხელისგული დაჰკრა ფოთოლს და ტაკანი გაადენინა,—ჯერ ერთი, ყოველი ადამიანი თავის, — როგორც თქვენ ეძახით, — მოწოდებას უნდა გაჰყვეს. მეორეც ისა, რომ მე თუ მკითხავ, — ისევ ბავშვებთან მუშაობა სჯობს, დაუწერე ხუთიანი და ინტრიგას მაინც აღარ დაგიწყებს. დიდებს კი სიბერემდე ბავშვის ჭკუა გამოჰყვებათ და თან ველარაფრით მოინადირებ მათ გულს—დაგახრჩობენ ინტრიგით. მაგრამ, იცი რა გითხრა, ჩემო ჯონქა, ჯერ ახალგაზრდა ხარ და მერე შენ თითონვე მიხვდები, — ეგ თქვენი მოწოდება ნებისყოფის საქმეა და მეტი არაფერი. ხვალ შეიძლება ისე დაინტრესდე ბურთის თამაშით, რომ თავი დაირწმუნო ჩემი მოწოდებაც ეს არისო და ამოდენა კაცმა ხალხის წინ ბურ-

თის დევნასა და კოტრიალში გაატარო შენი დღე და წუთისოფელი, სანამ ვინმე ოხერი ფეხს მოგტეხავდეს.

— მაშ, როგორ მოვიქცე, ძია ალფეზ, რაც მაინტერესებდა იმას ვსწავლობდი, მე კარიერით არ ვყოფილვარ გატაცებული...

— კარიერით? — ალფეზმა ხმადაბლა გაიცინა, — შენ იქნებ არც ხორცსა სჭამ. ათ მცნებას ხომ არ მისდევ?.. მაშ ციხისელის ქალსაც არ შეირთავ, კიდეც რომ წამოგყვეს.

ხორნაულის საბედნიეროდ საცალფეხო ბილიკით მიდიოდნენ და ალფეზს ზურგსუკან არ შეეძლო მისთვის სახეზე შეეხედნა. ჯონქამ გაიფიქრა, რომ მართლაც დაცინვის ღირსი იყო,—ძლიერ უნდოდა გულახდილი ლაპარაკი და თითქო გაზეპირებული, სხვისი ფრაზები კი გამოსდიოდა.

— არა, ყინჩო, სიტყვაზე რომ ვთქვათ, — შეუბრალებლად განაგრძნო ალფეზმა, — მანანა ციხისელი ფშავში წამოგყვება? ჩემმა მზემ და შენმა მზემ — არ წამოგყვება! მართალს არ ვამბობ?..

ჯონქამ რაღაც ჩაიბუტბუტა და ინატრა, რომ ერთი ამ უზარმაზარ ფიჭვთაგანი, ხომალდის ანძად რომ გამოდგებოდა, ზედ დასცემიყო და ქვესკნელში ჩაეტანა.

— მართალს ვამბობ, — დაუკრა თავისთავს კვერი ალფეზმა, — მთიდან თუ ბედის საძებრად ჩამოსულხარ, ბარემ ეძებე, ხელცარიელი რადღა ბრუნდები..

— მე განა ფულის საშოვნელად მოვდიოდი, ან ქალისა, სწავლა მწყურდა...

— ფულიო? ფულს თვალი დაუდგეს, ვინ გაძალებს, ეგ ხომ ხელის ჭუჭყია, როგორც თქვენ ამბობთ. ქალს კიდევ მთაშიც ადვილად იშოვნი. მაინც ეს ცოდნა რისთვის გინდა? სწავლის წყურვილი გქონდა და ხომ მოიკალ, ცნობისმოყვარეობა ზოგს სამარის კარამდეც კი შერჩება, მაგრამ მისი დაკმაყოფილება სასწავლებლის გარეთ უკეთესად შეიძლება. უმაღლესი განათლება ხომ მიიღე, ახლა რას აპირებ?

— არ ვიცი...

— არ იცი და შენისთანა კაცს მანანა ვერ გაჰყვება.

— მანანას რას ჩააცივდი, ძია ალფეზ, მე არაფერი...

— გეხუმრები, ბიჭო, არ გეწყინოს. მანანას სახელი თუ გინდა ფორტუნის ნაცვლად ვიხმაროთ. არ ვარგა ცხოვრებისადმი ეგრედ უნდილად მინდობა. დარჩენილხარ ისტორიის მასწავლებლად და ეგ არის.

— ჩემი მოწოდება...

— ოჰ, ისევ მოწოდება! მართალია, არსებობენ ქვეყნად გენიალური ადამიანები, რომელთა რიცხვს მე და შენ უთუოდ არ უნდა ვეკუთვნოდეთ. თუმც შენს ასაკში ყველა აშკარად თუ არ აცხადებს, ჩუმათ, გულში მაინც მიაჩნია თავი გენიოსად. იმ იშვიათ ადამიანებს მართლაც და აქვთ მოწოდება, გარდაუვალი, როგორც სტიქიური მოვლენა. გენიალური ხელოვანი ან მეცნიერი თავისი ნიჭის მონაა და მას ვერსად გაექცევა, გაბითურდება, თუ სხვა საქმეს მოჰკიდა ხელი. მე თუ მკითხავ, მათი ბედი სულაც არა მშურს. დღეს მზარეული ვიქნები, ხვალ შოფერი და არავითარი ტრაგედია. ის კი თავს უბედურ არსებად გრძნობს, თუ საღებავით არ შეითხუპნა და რაც მთავარია—თუ მთელი ქვეყანა თაყვანს არა სცემს მის გენიას...

შორიდან თოფის ხმა მოისმა. ალფეზი ცოტა ხანს გაჩუმდა და ყური მიუგდო.

— ეს ვიორგი უნდა იყოს, — სთქვა მან, — ვინ იცის ტყის ქათამი ვერსად ნახა და ჯაფარებს დასდევს აქამდე. ჰო, იმას ვამბობდი, — გენიოსობა სხვა ამბავია, ჩვენ კი ჩვეულებრივ მოკვდავთ, სულ სხვა გზა უნდა ავირჩიოთ. ამბობენ, რომ ადამიანს ერთი უცნაური თვისება აქვს და ეს ბავშვობაშივე ეტყობა, რა გინდ კარგი გაზრდილი ბავშვი იყოს, — ზევითა სართულიდან თუ გადაახედე, უსათუოდ გადააფურთხებს ქვევით მყოფ ტოლებს. ეს კი არც ისე საამოვნოა, ფშაველო, არა? ვიღაც ოხერი ზევიდან გაფურთხებდეს. დაბლიდან ჩვეულებრივ, კენჭის სროლით პასუხობენ ხოლმე. და აი, მთელი ცხოვრება ეს არის — ქვევიდან ბრაზით ქვის სროლა და ზევიდან ზიზღით ფურთხება.

ალფეზმა ბილიკზე გადმოშვერილი ფიქვის ტოტი მოხარა, ჯონქა და ძალლი წინ გაუშვა და როცა ტოტი ლაწანით გაიმართა ისევ, დაასკვნა:

— მე პირადად ზევით ყოფნას ვარჩევ, რადგან ქვევიდან ნასროლი ქვა იშვიათად თუ მოხვდება მიზანში და გინდაც მოხვდეს — მაინც უკან ბრუნდება.

ეიწრო გზაჯვარედინზე ალფეზმა ისევ გაუსწრო ჯონქას, წინ წავიდა და განაგრძო:

— ნეტავ მეც შენსავით ახალგაზრდა ვიყო და თავიდან ვიწყებდე. ცხოვრება ძუნწი მასპინძელივით ერთ ჭიქას დაგალევინებს, მადას აგიშლის, და მერე მშრალზე გამოგისტუმრებს, მიტომაც თავიდანვე მარანში უნდა მიუხდე, ქვევრის თავზე მოიკეცო. თუ მარანიც არ უდგას და ქვევრში კაცი უჩხავის — მიაკუურთხე. კაცს გული მუდამ შემოგტირის, როგორც ბავშვობაში დედას შესტიროდი, აჩემებულ სათამაშოს ითხოვს, ჟინის მოკვლა სწადია. რაც უფრო გაალაღებ — მეტს მოინდომებს. ჰოდა ყველა სათამაშოს ხელი ვერ შესწვდება, თუ მაღალი არა ხარ. მაღლა სულ მაღლა, აი რა უნდა იყოს ახალგაზდა კაცის დევიზი.

— ჰო, მაღლა, ძია ალფეზ, მაგრამ როგორ?..

— როგორ? უმოკლესი გზით.

სადღაც ფუტურო ხეზე კოდალა სცემდა ნისკარტს და ღრმა რეზონანსი ტყეში ყრუდ ისმოდა შორეული დოლის ხმასავით.

კარგახანს ორთავენი სდუმდნენ. ფეხქვეშ ტკაცანით იმტვრეოდა ხმელი ფიჩხი. ისევ ალფეზი ალაპარაკდა.

— ახალგაზრდობაში მხოლოდ მაშინ შეიგნებ რა უნდა ყოფილიყო შენი ბუდნიერება, როცა ფრთები შეგეკვეცება და სამუდამოდ მიუღწეველი გახდება ის, რაც თურმე მთელი გულით და სულით გსურდა, მაგრამ ნაკლებად მოქმედებდი და მეტს ოცნებობდი. ამიტომ თავიდანვე საჭიროა თავგამეტებით იბრძოლო, კბილით მოეჭიდო. ან უნდა გასცილდე ყველას და საკუთარ ნიჟარაში ჩაიკეტო კიბო-განდეგილივით, ან, რაკი ჯოგში დარჩენა გსურს, ელქაჯი გახდი, წინამავალი, თორემ თუ რჩეული არა ხარ, გულის წადილს ვერ შეისრულებ, და ეგ კიდევ არაფერი, რაც მთავარია — შური დაგახრჩობს. შური.

ალფეზმა სახეზე ხელი ჩამოისვა და სწრაფად მოიცილა ტოტებში გაბმული ობობას ჭელი. ეს მოძრაობა ზედმეტად ნაჩქარევი იყო, მისთვის ჩვეულ მო-

ზომილობას მოკლებული, თითქო აბეზარ ფიქრსაც იცილებდა, ქსელივით შემოხვეულს.

— კაცს თუ ძალა შეგწევს, კიბეზე ჩამოჯდომა რად უნდა იკადრო — განაგრძო მან, — მაღლა ადი და შემდეგ იქიდან კიდეც რომ გადმოგაგდონ, ნუ ინაღვლებ, ჭკვიან თხუნელას მაინც გიჟი არწივი სჯობს, — განა ყველა არაკი ბრძენის ნათქვამია.

ხეებში მოულოდნელად გამოჩნდა გზატკეცილზე გაჩერებული ავტომანქანა. მინები და შავი, გასარკული ზედაპირი მზეზე თვალის მომჭრელად ულაპლაპებდნენ.

— მაღლა, სულ მაღლა, — სთქვა ალფეზმა და გაიცინა, — მაღლა, ვიდრე ცა თავზე არ ჩამოგენგრევა. მე შენ ისე გელაპარაკები, როგორც უმცროს ძმას, შენს ამხანაგებს კი, ხომ იცი, როგორც ოფიციალური პირი; სულ სხვა რასმეს ვეტყოდი.

— მესმის... — ჯონქას მოაგონდა, რომ ალფეზმა უთხრა თეთრ დუქანში: შეთან რაღაც საქმე მაქვსო.

— რა საქმე გქონდა, ძია ალფეზ, ამ დილით რომ მეუბნებოდი?

— გაიგებ. ჯერ კარგად იფიქრე, იქნებ ისევ ასპირანტობა არჩიო ან მასწავლებლობა, თუ არა და მერე ჩემთან მოდი, ვილაპარაკოთ და ვნახოთ. საერთოდ, თუ რამე დაგჭირდეს, მოურიდებლად უნდა მოხვიდე, ლუკას ბიჭი არა ხარ?

ჩხიკვების წყვილმა ხივილით გადაუარათ თავზე. ძაღლმა თვალი გაადევნა ბილიკზე წამით გადარბენილ ჩრდილებს.

— მიდი, ჯონქა, ესროლე, თორემ დამაყვედრებ — სანადიროდ წამიყვანა და თოფი არ მასროლინაო.

ჯონქამ თოფი ხელში შეათამაშა.

— ჰო, ჩხიკვს მაინც მოვინადირებ, რაკი ქათამი არა სჩანს...

ჩხიკვები მაღალ, ხშირტოტებიან ფიჭვზე დასხდნენ და გაუჩინარდნენ. ჯონქა ფიჭვის გასწვრივ მდგარ მეორე ხისკენ გაემართა, რათა ეშმაკ ფრინველებს გუმანი არ აეღოთ და არ დამფრთხალიყვნენ. ძაღლიც უკან გამოუდგა ყურაცქვეტილი.

ჯონქა აუჩქარებელი ნაბიჯით მივიდა დანიშნულ ხესთან, შემდეგ მეზობელ ხის ძირისაკენ გადაიადგილა და მაღალ ფიჭვს გახედა, ჩხიკვებმა, ეტყობა, საფრთხე იგრძნეს და სულგანაბულები ისხდნენ. ჯონქა კიდევ უფრო მიუახლოვდა ფიჭვს, ირგვლივაც შემოუარა ერთი ორჯერ, მაგრამ ხშირ ტოტებში შეუძლებელი იყო დამალული ფრინველების გარჩევა. ხორნაულმა კარგად იცოდა ჩხიკვის ოინები, თითონაც ერთ ადგილას გაჩერდა და ალარ იძროდა. ცოტახნის შემდეგ ხის კენწეროდან ფრთხიალი მოისმა, მერე ჩხიკვის ჭრელი ფრთები და აქოჩრილი თავიც გამოჩნდა. ფრინველი შეხტა ზევითა ტოტზე, ფრთები შეარხია და მოემზადა გასაფრენად.

იჭექა თოფმა. ჩხიკვი ფრთა გაშლილი, თავდაყირა წამოვიდა ძირს. ძაღლი გაქანდა ხისკენ. ტოტებში მიმალული მეუღლე ჩხიკვი კი ხმამაღალი ხივილით აფრინდა და თვალს მოეფარა.

ჯონქამ მოკლულ ფრინველს ფრთა გამოაძრო, მსხვილ ნისკარტში გაუყარა, ყულფი განასკვა თითის გამოსადებად და ალფეზს დაეწია.



12 796

გიორგი უკვე მანქანასთან მისული დაუხვდათ. მას მხოლოდ ორი ტყის ქათამი მოეკლა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო. ალფეზმა ჩხიკვი გამოართვა ჯონქას, ნისკარტი გაულო და თასმა ენის წვერი მოჰქაჩა. ჩხიკვს პირი სავსე ჰქონდა ფიჭვის თესლით.

— ასე აგროვებს ყველაფერს ეს ტიალი, რაც კი მოხვდება — რკო, ასკილი, პანტა, ერთხელ სპილენძის ღილიც უნახე პირში. ადრე გაზაფხულიდან შუაზამთრამდე ეზიდება, ინახავს და მერე ავიწყდება სად შეინახა. ციყვი და თაგვი შეექცევიან ხოლმე ამის ნაამაგარს, — ალფეზმა ჩხიკვს თითებით დაუვარცხნა დირიჟორის თმასავით ყალყზე ამდგარი შავი ქოჩორი, — საოცარია, რად მისცა ბუნებამ ასეთი დაგროვების, შრომის ნიჭი, თუ თითონვე ვეღარ მიაგნებს თავის საწყობს და ვერ გამოიყენებს?..

— რას იზამ, — გიორგიმ მანქანის კარი გააღო, ალფეზს მოუბრუნდა და სათვალეები ეშმაკურად აუციმციმდნენ, — ბევრი ჰკარგავს ეგრე უკვალოდ თავის ნაშრომსა და ნამოღვაწარს...

— მაშ! — ალფეზმა უსულო ჩხიკვი ფრთით მოიქნია და მანქანაში ჩაგდო, — და ზოგი კიდევ უშრომლად მკას აპირებს, როცა არაფერი დაუთესია.

გიორგის სათვალეები ჩაუქრნენ. იგი ჩუმად ჩაჯდა მანქანაში. ალფეზი უთუოდ ნასიამოვნები დარჩა თავისი პასუხით და ღიმილის დასაფარავად ძაღლებს დაუწყო ალერსი.

. როცა მანქანა დაიძრა, ჯონქამ ხელით მოსინჯა გულჯიბესთან ენძელის ავგაროზი. ქვევიდან მოგვიანებით რაღაც მოხვდა თითებში, ამოიღო და დახედა — დაჭმუჭვნილი ყელსახვევი იყო. ხორნაულმა მუხლებზე დაიდო ყელსახვევი, დასჭიმა, როგორც შეეძლო, გაასწორა ხელის გულით, ოთხად დაჰკეცა, ისევ უბეში შეინახა და მხოლოდ შემდეგ შენიშნა, რომ წინა სკამზე მჯდარი ალფეზი ყურადღებით ადევნებდა თვალს.

(გაგრძელება იქნება)

ივანე შაიშმელაშვილი

# ქარიშხალი ჯვილისში

I

მდინარე ბორგავს სულშებუთული,
ლოდებს ედება წელს ვერ ისწორებს—
დაბებრეებული და დაბურული
ღრენით მიარღვევს ტიალ ვიწროებს.
შეტორტმანდება ყეფით, შხაპუნით.
ქვიშა და თიხა წამოდუღდება,
ამოვარდება გველაშაპივით
და ისევ ქვესკნელს ჩაებურღება.
ადიდებულა, დიდი ავდრებით
და ნიაღვრებით მთვრალი მოღელავს,
დასაბამიდან სცემს გააფრთებით
მეტეხის ძირს და ჯერ არ მოღლილა!
ასე ურყევი კვლავაც საკვირველ
რწმენით ლეწავს და არწევს
მთადაბარს,
დიდის სიდინჯით ლოვავს
საძირკვლებს,
რათა ერთბამად დასცეს თავდაღმა!...
ამოგუგუნდა, მიშველეთ, სწვდება,
მინებს მოადგა მღვრიე თვალებით,
ერთი იფეთქოს—შემოვარდება,
რომელ კუნჭულში დავემალებით!
ჩხრიალებს, ჩადის, ისევ მოდგება,
მაინც მოგაგნებს, ალბათ სჭირდები,
ან შემოანგრევს ან და მოკვდება,
ისე მოიწევს დაბეჯითებით.
ნუთუ უწყალოდ წალეკავს წყალი? —
ქანაობს ავი და დამღუპავი,
გიბღვერის როგორც ბედისმწერალი,
ტრიალებს როგორც სულთამხუთავი...
ასე, ამგვარად რად აჯაგრულა
რად ჰქუხს ამგვარი გაბოროტებით?
მტკვარი აოხრებს ქოხებს ჩაგრულთა—
მტკვარი მიამტვრევს ბინებს ობლების.
ვინ მიაშტერდეს ვეშაპს თვალებში,
ვინ მიაბრუნოს კარზე მომდგარი?
წყალი მოშხუის ჭუჭრუტანებში
ნემსის ყუნწშიაც გასულა მტკვარი!
ქვემოდან ჟონავს, მაღლიდან წვეთავს,
კედლებს ჩამოსდის წუწპე და ღვარი...
მამა იქნება კარს რომ აწვება!
ვაი მე, როგორ გავუღოთ კარი!...
...ტალღა დამცხრალა!
ჭკიოდა დედა, —
მისი მრისხანე ხმაური ჰქრება-
ან რად აღელდა, ან რად მინელდა
მტკვარს უფრო მეტად არ გაეგება...
მფარველი რაა, ნუგეშს ვინ აძლევს—
ძე ხორციელი არ ჩანს არსაით!...
ღვარი შესდგება იმათ ბინაზე,
წყალი გადიღლის ქარიშხალსავით—
კერას გაცლილი მამილო მაშინ
ომააწეწილი სადმე მთის ძირას
ზის და შეშლილმა ბანქოს თამაშით
მათი წუხილის არა იცის-რა.
დილამდე დაძრწის, ცეცხლით
იწვება,—
რა დღე თენდება, ნახავს ბრწყინვალეს,
ლუკმა ექნება, თუ მიიცვლება,
მონად დარჩება, თუ გაიხარებს?...
...რაღაც ჩაიმსხვრა,
ქარია ცივი,
სანთელს მოწყვიტა ალი და ჩადგა,
იგია, იგი... ნუ თუ იცინის?
ჯურღმულში ორი თვალი გაჩაღდა.

— მე ვარ! — დუდუნებს, ღმერთო,
დიდება
კაცის წუხილის არდამნახავო,
ამგვარი შფოთი და ადიდება? —
დიდება შენთვის, ღმერთო მაღალო!
...სახეს რად მალავს ბნელეთში მდგარი,
მუხლზე რომ წყალი შემოსდგომია?
როგორ ქვითინებს პირუჩინარი!
ეს მამა არის? არა მგონია!
— ასანთი ჩქარა!
და ალზე ხელად
მკრთალად გამოკრთა ნაცნობი
ჩრდილი,
ნახშირის სახე, ნახშირის ხელი,
მძიმე, უძრავი კუნძი ნახშირის!...
პირბანჯგვლიანი, მკვრივი და ჯმუხი,
შუბლდაღარული და უდრეკელი,
რად მისცემია ამნაირ წუხილს?
კითხულობს შვილი გაურკვეველი.
უხასიათო, სასტიკი მარად
და უდიერი ხელის მფლობელი —
რისთვის ქვითინებს ღმერთო,
ამგვარად?
კითხულობს დედა შეშფოთებული...
...ავო, მოგეზღო განგების წყრომა?
დამუნჯდი? მაინც არ მებრალები!
როგორ დასტოვე ის ავკაცობა —
რამ დაგიმდუღრა ასე თვალები?!...
აჩრდილმა ტანჯვით ამოიქშინა,
თრთოლა აუტყდა როგორც ავზნიანს:
„ცეცხლია გულში... ჩაქრება ხშირად
და რატომ, რატომ? — ვერ ამიხსნია!“..
გუბე გასტოპა... ტახტია სველი,
საბანიც სველი, ბალიშზე ნამი...
კედლებზე მურა და ლაქა ძველი,
ფანჯრებზე ქვიშა, ხავსი და შლამი.
მაგრამ სნეულის თვალები შავი,
მილეულ სანთელს რომ არ შორდება,
გადარჩენია მტკვარს ახლაც მშრალი
და მამის თვალს კი ვერ უსწორდება:—
— უცნობო, რისთვის მიახლოვდები!—
ყრუდ შემოესმა წუხილი ბავშვის, —
საფლავში ჩამყვეს თუ მაქვს ცოდვები,
ოღონდ კი მოვკვდე მოსვენებაში.
შებრუნდი! ნულარ მომეკარები...
ველარ ტეულა სხეულში სული,
რაღაც მაწვება... გახსენ კარები
და მარტოობა მაღირსე, სრული.
ჭრიალებს კარი. ჯურღმულში კვლავაც
ჩაჰქრა სანთელის ნათელი მკრთალი.
მთაწმინდისაკენ დახრილ ვარსკვლავმა
შემოანათა ნაღვლიან თვალით.
სულ ერთი მუჭა ვარსკვლავთა
მტვერით
აჭრელებული და მოწინწკლული,
მინებს მოეკრა სამყაროს ჭერი
და მდუმარება დამკვიდრდა სრული.
ახლა კი იქნებ დამდგარა ჩემი
აუმღვრეველი ოცნების ჟამი,
სუნთქვაც არ ისმის, მხოლოდ გარშემო
შემოწოლილა კუპრივით ღამე...
— დედიკო, ხედავ, არ მესვენება,
მე უშენობა მწარედ ვიგრძენი, —
ეს მამაა თუ ვინ მეჩვენება,
ხმა მომაწვდინე, ძვირფასო შენი! —
ყურში ჩამძახის, ნეტავ, ვინ არი,
ტკბილო, მიხსენი ვისი ცრემლია,
ქვითინია, თუ ხმაა მდინარის,
მიშველე, ველარ გამირჩევია...
...უცნობი შესდგა, სტირის:
— ვირწმუნდები,
აღარ მენდობით უწყალო მამას,
ამაოდ მისდევს წუთებს წუთები
ნეტათ კი ერთიც მენდოთ ამაღამ..
ბინა აგიგეთ, მყუდრო კუნჭული,
დაშორებული კლდეებს მორევებს,
იქ არც ნიავის ისმის ჩურჩული,
ტალღები ქვებს არ მოაგორებენ...
არ მოგიდგებათ არსით კაცის ხმა,
არცა მტკვრის ყეფა შემოჩვეული,
თბილად იძინებ...
— არა! —
მოესმა, —
ეგ სამარეა, მამავ, წყეული...

— ტკბილო, გარწმუნებ, ძმანი, მუშები
სამეგობრონიც ვპოვე,
ნაძალადევში ქოხებს იგებენ,
შენც მოგვბაძეო — მთხოვენ...
სამი დღე არი, ღამით, ქურდულად

სადაც საძირკვლებს სთხრიან,
მეც დავტრიალდი, მალე დავხურავ
ცოტა დამრჩება ღია.
თავაუწევლად მიმუშავია,
არ ჩამიხრია თვალი,
რა შეედრება — დაბლა მშრალია,
კედლები კლდეა სალი.
ამბავს გიამბობთ, ჭეშმარიტებას,
წამით მაჩუქეთ სმენა...
— არა!
სნეული წამოიჭრება:
— არა! შესახლდი შენა!..
„არა!“..
ვინ იყო? შეკრთნენ, იცადეს...
მინებს ეხება, ნიშანს იძლევა,
უცნობის ფეხი ხვდება მიწაზე
და შემოსძახის — „არ შეიძლება!
არ დაერწმუნოთ ცბიერს, უგულოს,
გულქვას, უდიერს არ მიეკაროთ!“
— ვინ ხარ!!!
სამთა ხმამ დაიგუგუნა
„მე ვარ!“
და ჩრდილი გაჰქრა უკვალოდ.
ვარსკვლავთა წყებით დაცხრილულ
მინებს
თვალი მოსწყვიტეს თმააშლილებმა:
— არავინ არი!..
ამოიგმინეს
და ერთნაირად იგემეს შვება...
...ქარში შემლილი და გაცრეცილი
ახლა კარშია, შიშით ილევა,
ვაჟი ჰყავთ ისე გადახვეწილი,
ბნელში ის არი, ნიშანს იძლევა!
მინებს ეხება, მაგრამ ვერ ჰბედავს
შევარდეს, ნახოს დედა კეთილი. —
შიგნით მამაა, თვალთუბნელდება,
კედელს ეყრდნობა თმაგაჩეჩილი.

2.

სნეულის საწოლს ფეხაკრეფილი
უახლოვდება ფერმკრთალი დედა.
სულამომხდარს ჰგავს ღონემიხდილი
სუნთქავს კი არა, გმინავს შავბედა.
— ვაჟო, გეხილოს ტკბილი სიზმრები
ფერხორციანი მენახე დილით,
მაგრამ რას გარგებს, რომ
ვუფიქრდები, —
გშია და რაა, საბრალოვ, ძილი...
ხედავ, ზეზეურ ჩამოხმა ბავშვი,
თუმცა, რად მინდა, ვის შემოგჩივი,
აქამდე ვზარდე მათხოვრობაში
არც აწ მიგულო შენი მორჩილი.
რა ფეხზე ასდექ, რა ქარმა დაგკრა,
რა გზით მოხვედი გზადახლართული?!
შვილი მოგნატრდა? ვინ იცის, მაგრამ
შვილი არ იყო, აჰყარე გული...
ჯიბედაცლილი სამოსელს ჰყიდდი —
როგორც მოსისხლე, ავი, მყევარი,
იმ უბედურზე ჯავრს რომ იყრიდი
მამაშვილობა, მითხარ, ეგ არი?..
ბოლოს მას გული გაუტყდა ჩვილი,
სხვა გზას ეძებდა, ფიქრებს იკრებდა,
ადგა და გაჰქრა!..
ახლა ეს შვილი
აითვალწუნე და ეგეც კვდება...
...ტყვიაზე მძიმე, ყინულზე ცივი
ჩაჰხუტებია ხეობას ღამე,
და თუ არ სანთლის შუქის ციმციმმა,
ვერ გაარღვიოს იგი სხვა რამემ...
— გულიც ღამეა ამოუხსნელი,
განაგრძობს მამა ფერგადასული, —
ჩემს სიცოცხლეში ლანდის მნახველი
არ ვყოფილვარ და ვნახე ავსული...
აღარც ღმერთია ჩემი დამზოგი,
აღარც ვახსენებ ამაოებას! —
ნაყოფს შიშისას და უაზრობის,
სიბნელისას და უსასოობის...
...მახათას ძირში ჩვენ უსახსრონი
შებინდებისას ვხვდებით,
ბანქოს თამაშით შიშვლდება ზოგი,
ხელებს ითბობენ სხვები.
უგუნურები, ფერმიხდილები
ერთმანეთისგან ველით
ბედნიერებას, სიტკბოს დიდების —
სხვა არავინ გვყავს მხსნელი...
ისიც დავკარგე, რაც კი მებადა
ადამიანურ რწმენის.
რას ვესწრაფოდი — რა შემემატა,
სამართლიანად მწყევლით!..
იქ, როცა ფუჭი იმედის ნასახს

წაშლის უწყალო ხვედრი, —
ვინ მოიგონებს დაღუპულ სახლკარს
დღე შავი — ღამე თეთრი...
მახათას ძირში უილაჯონი
განთიადამდე ვრჩებით,
გამარჯვებულთა დავლა, ნაშოვნი
გროშებია და ჩვრები...
გაძარცვულს სულიც არ შერჩენია,
როგორც შიშველი თითი.
თითქოს ხე არი, ქვით ნაშენია
კრიჭაშეკრული მიდის...
გამომიცდია, მერწმუნეთ მაშინ
შენი სიკეთის მდომი,
თვითონ განგება რომ შეგხვდეს გზაში,
დაეძგერები წყრომით...
ხოლო მე ასე ცეცხლმოკიდებულს
უიმედოს და შეშლილს,
ის უბედური გზაში მხვდებოდა
ჩასაფრებული ხევში...
მომეხვეოდა, შემომცინოდა:
რად იგვიანებ, მამი!
როგორ გვშიოდა, როგორ გვციოდა
ეს დაწყევლილი ღამე...
ნეკნებს ვუმტვრევდი იქვე, მხეცურად
გულს ვიჯერებდი ცემით.
შემომკვნესოდა, მაგრამ მე სულაც
არ მაღელვებდა ცრემლი...
ვინ შთამაგონა, რამ დამარწმუნა —
უმეცრებაა სრული.
თითქოს მე მისმა ფეხმა მაცდურმა
ამომაცალა სული...
შემდეგ ბანქოშიც მბაძავდა შვილი,
გაშიშვლებულიც ვნახე,
ხელმრუდობაშიც ჩაედო წილი,
გულიც ავყარე თავხედს.
გადაიკარგა, გაგარეულდა,
კვალიც აღარ ჩანს მისი,
გადარეული გზადაბნეულთა
ოვაზაკური მიზნით...
ძვირფასნო მე, თუ ის გზა საძრახი
უსახსრობაში ვპოვე —
ახლა თქვენივე ლხენის განზრახვით
სამარადჟამოდ ვტოვებ —
გუშინ სერებს რომ მზე დაესვენა,
ჩრდილი მოგვადგა გრილი.
ჩვენ უგუნურებს უცხო გვეჩვენა,
ვინმე უცნობი გმირი.
ხშირქოჩრიანი, არც თუ მაღალი
იმედიანი თვალით.
მშვიდი, უბრალო და თავდაბალი,
მაგრამ დევური ძალის.
ახლაც არ მესმის, რად მეცნაურა,
ჩემს ნათესავად ვთვლიდი,
ჩემი სისხლია და შინაური,
ჩემი ძმა არი მკვიდრი.
მასვე ამოჰყვა ცამეტიოდე
მხარბეჭიანი მოძმე;
რას დაეძებდნენ, სად მიდიოდნენ,
არავინ იყო მოწმე.
წამით დაგვხედა, შუბლი დაღარა,
ჯერ დაგვიტია ფიცხად,
ერთი თავზარი რამ დაგვახალა,
მერე ღიმილით გვითხრა:
„რა იმედია, ფერმიხდილები
ავცაცობაში ელით
ბედნიერებას, სიტკბოს დიდების,
საქმე არ მომწონს თქვენი!
თქვენ არ ხართ, ძმანო, აუტანელი
ტანჯვით იცლებით ოფლად.
პირუტყვისათვის მოუთმენელი,
ვინ დაგიწესათ ყოფა?!
ვინ დაანგრიოს ცა დაქრუშული,
ვინ რას გამხდარა ცალად,
თუ არ დარაზმვა, ძმანო, მუშური:
თუ არ ძალა და ძალა!
თქვენ გეყვარებათ შვილი, დედმამა,
ვინ გაგიბედოთ დავა,
მაგრამ რად ძარცვავთ, ძმანო, ერთმანეთს,
წყალწაღებულნო თავად!“...
ნიშანი მისცა, გაჰყვნენ მოძმენი
ეშურებოდნენ მაღლობს,
თითქოს დასაქცევ ზეცის ბოძები
ეგულებოდათ ახლო.
თითქოს მზეც სწორედ მისკენ ჩავიდა, —
არა მთაწმინდის იქით...
რად მეცნაურა, რად შემიყვარდა!
ხომ არ გეცნობათ ივი?
. . . . . .

გაფითრებული მეუღლე, ღელვით
ჰკითხავს — ასეთი ჩვენი ნაცნობი?
ასე მზრუნველი და ახლობელი
განა გვყოლია ჩვენ თანამგრძნობი?
მაგრამ მაცალე.. ვინ მაგონდება,
მგონი მინახავს ეგ, მეგობარი.
მაშ ეგ ფიქრები და ეგ ოცნება
მეც რომ მეცნობა, საიდან არი?...
თუმცა ამგვარად გულამორეცხილს
კარგს რას გეტყოდა კარგი ძმობილი
ოლონდ სცოდნოდა როგორი ცეცხლით
დააწიოკე, ბინა, ცოლშვილი...
კვლავ გარე-გარე ივლი გულცივი,
ალბათ ის შხამიც მოგივლის ძველი....
ეგეც მიკვირდეს — როგორ უცინი
ამ დღემილეულს, მისი მტანჯველი...
...მაგრამ მიშველე, შენ შენი ღმერთი!
იქნებ ნამდვილად გული გეწვება,
დავატოვინოთ ეს ჯოჯოხეთი,
მადლი საფლავში ჩამოგვეწევა...
ვიხსნათ, სველი აქვს ბიჭს ქვეშაგები,
სად შეგინიშნავს მშრალი სარდაფი.
წადი, მოძებნე ამხანაგები,
წადი, ვუშველოთ სნეულს სასწრაფოდ...
...წადიო, წადი! ლანდივით გადის, —
დაჰქრის, დაეძებს მშველელს, მეგობარს:
გადავბარგდეთო ხვალ მზის
ჩასვლამდის,
აღარ დამრჩენო უიმედოთა...

3.

ცისკრისუამს კარებს შეაღებს
თმაგაჩეჩილი ნადირი,
შმორიან თალებს შეარყევს,
დედას დაჰკოცნის ამ დილით,
ფეხქვეშ ნაგუბარს დასცქერის,
ჯოჯოხეთია ნამდვილი,
აღარც გული აქვს, არც ფერი,
საიდან გადმოვარდნილა?
— დედიკო, როგორ შემკრთალხარ,
მომიახლოვდი, მიცანი,
ყურს მე გიგდებდით, შენთან ვარ,
შენ რომ მზრდიდი და მიცავდი.
დაგტოვეთ, გამოგესალმეთ
ნეტავ რა მქონდა მიზანი?
დედა კი ვერსად ვერ ვპოვე —
ამაოდ ვთელე მიწანი.
სად გადადიხართ, სად წახვალთ,
სად-ღა შეგხვდები — მასწავლე!
ძმა როგორ არი? საცოდავს,
ავადმყოფს აქვე აწამებთ...
დავეხეტები შიშველი
ქურდი, მძარცველი, ვერაგი,
მიშველე, სადმე მიშოვე
მამის ნაცვეთი პერანგი...
...უმწეოს რა გაქვს, რას მომცემ, —
არც უმადური ვიქნები,
ოლონდ წასვლისას მაკოცე,
ხშირხშირად დამესიზრმეები...
ხმას არ სცემს.. ტანჯვით დასტოვებს
სარდაფს და ნაცნობ ადგილებს,
მტკვრის პირ-პირ გაიმარტოვებს,
თვალს რომ მიჰფარდეს ადვილად...
სალკლდეებს თავზედ ენგრევა,
მტკვრიდან აყრილი ტალღები.
მეასედ გადაეფრქვევა —
კენჭის ვერ არის წამღები.
ზემოთ დგას დასაბამიდან
გაუტეხელი მეტეხი,
ვით ჯოჯოხეთი ამქვეყნად
მისი ტოლი და მეტოქე.
ჩაჰყურებს, ტალღა იხუვლებს,
მირეცხ-მორეცხავს გვირაბებს.
დაუნდობელი, ფიცხელი
გაცეცხლებული გრიალებს...
საიდან მოდის, სად მიდის,
რომელ ზღვას მიეტმასნება!
უძირო არი ნამდვილად,
რით ვერ ეღირსა ავსება.
— შენ გზა გაქვს მშვიდად სავალი
ბინად ზღვა, მყუდრო უბენი,
მე არც გზა, არც დასამალი —
ნეტავ სად დავიღუპები?..

*
* *

არ ეძებს, ბევრიც ეძებოს
მზე რას მიაგნებს ქოხმახებს?
ზემოთ ცას ცეცხლი ედება,
ქვემოთ სცივათ და ოხრავენ.

— ოხვრამიც ასე ნატრული
სიზმარი ვნახე ამ დილით,
ის იყო ჩამოკაწრული
უფერული და გახდილი...
ქვად ვიქეც, მუხლი ვერ დავძარ,
ენაზეც ქვები დამაწვა...
პურს მთხოვდა, გროშებს ეძებდა,
ყრუდ მომესმოდა რაღაცა...
„უმწეოს რა გაქვს, რას მომცემ“,
არც დაგძრახავო, შემფიცა
„ოღონდ წასვლისას მაკოცე“ —
ეს სთქვა და გამომეღვიძა...
ეს სთქვა და დედაც ატირდა
თრთოდნენ სარდაფის თაღები.
ფილაქანს ცრემლებს აყრიდა —
ქვას მოხვდეს — დაიდაღება.

*

* *

ნაძალადევის გადაღმა
ვიწრო მიწურში შესახლდნენ.
სნეულს დასცქერენ ხანდახან,
ბჭობენ თავბედის შესახებ.

### მ ა მ ა

დრო დაჰკრავს, ამბობს არწივი
მახათას ქედთან ნახული,
მტერს ნახავთ, სისხლადდაცლილი
ჩვენს თვალწინ დაიმარხება.
ბრძოლისკენ გვიწვევს მედგარი,
გზა რამ გვანიშნა მზიანი...
ჩვენ არა, — ჩვენი მოდგმანი
ცას შეხედავენ სიამით.
ჭექა-ქუხილის დროს დგება,
ცა ელვით გადაკაწრულა!...
ჩვენ არა, — ჩვენმა მოდგმებმა
ამოისუნთქონ კაცურად!

### დ ე დ ა

ასე სჯობს, ვერვინ დაგძრახავს,
დრომ დაჰკრა, — იყოს საჭირო.
ცეცხლშიც ჩავარდი თავდაღმა,
სიცოცხლეც უნდა გასწირო.
ფიქრი არ გქონდეს წაჭცევის,
სული ყელშია მომდგარი,
მოჰკვდები — მტერნი დაგძლევენ —
სისხლს აიღებენ მოდგმანი!...

### შ ვ ი ლ ი

თვალს ვახელ, გული მაგრდება,
მალამო ხვდება იარას!...

### მ ა მ ა

ცრემლი არ გამოგვადგება —
არწივი გვაწვდის იარაღს!
დიდი ლაშქარი რამ დგება
ქალაქს გადუვლის ნიავივრად!...
რუსეთს ყოფილა სისხლის ღვრა
ჩვენის ძმების და ტოლების.
დამძღარან, დასივებულან
იმ სისხლით მებატონენი.
ახლა ხმალს ვლესავთ, ცეცხლს ვანთებთ,
ერთს დავკრავთ — ალი ავარდეს! —
მეორედ დავკრავთ, მესამედ —
მტრის ზურგზე გავინავარდებთ.
ვნატრობ, დაბრუნდეს — მივიღებ
იმ ჩემს სიყრმესაც, წამებულს...
ნახვამდის... ტუჩზე მიიდებს,
შვილის ხელს დაეწაფება...
მიჰხედავს — ცოლს ეთხოვება,
ბილიკებს მისდევს ხრიოკზე.
ძმებს შეხვდა — მუშებს, რომელნიც
კარიკარს გადაჰკიოდნენ.
ძილს უფრთხობს, ქალაქს აშფოთებს
მათი დენა და ნაკადი.
არწივის ხმაზე გარბოდნენ,
ნიშანს უცდიდნენ აქამდი.

### 4.

მთვლემარე ზამთარი მოსულა,
მთებზე და ხევებშიც ნისლია
მდუმარე ფიქრებით მოცული
კლდეები ხან ზვავებს ისვრიან,
ან ღვარი ჩაუვლის ნაპრალებს
და პირქვე დამხობაც იციან.
სხვა ქარის ფრთა მოჩანს თბილისზე —
მეტეხის, მთაწმინდის, მახათის
ტინოვან გულმკერდის ქვეშიდან

გუგუნი ამოდის მაღალი.
ორთავა ყორანიც შეშინდა
ბორკილის მჭედელთა ნახატი.
  სხვა ალმა დახედა იანვარს! —
შორეულ ელვათა თვალია! —
იარაღს, იარაღს, იარაღს!
ხვეწნისთვის არავის სცალია!
იარაღს! ქარხანა გრიალებს
და სოფლებს აცოცხლებს მწვანიანს.
  ალმური ამოაქვს მიწიდან
მოვარდნილ ფურცელთა ნიავღვარს.
ზღვა მოსჭდა, ამ დღისთვის იცდიდა:
იარაღს! იარაღს! იარაღს!
ცეცხლი თუ მოაშროობს სისხლიანს
ოფლიანს წყლულსა და იარას.
არწივის საბუდარს ზვერავენ,
ბნელეთში ავსულნი დადიან.
არწივი ჰყიოდა — ყველანი
იარაღს, იარაღს მადლიანს!
ნაღველი მოგვადგა ყელამდე,
სხვა არვინ გვიშველის შავდღიანს.
  საბუდარს ზვერავენ არწივის:
„რომელი ბუდიდან მოდიან,
ალისფერ ალმებს რომ არწევენ,
შედგარი ომი რომ სცოდნიათ,
ვინ ანთებს, ვინ ბეჭდავს, სად წერენ:
იარაღს, იარაღს ცოდვიანს!?“
  ჭალარა ქალაქი ცახცახებს
ხანდახან მზე დაჰკრავს მიმქრალი,
ზღვა რაზმი ჩაუვლის სასახლეს —
პირველი ჯალათი იქ არი!
ქარიშხლის მაუწყი დასძახეს
მთებს ზარავს პირველი გრიგალი.
  აქ მოჩანს, ზღვაშია ჩამდგარი
წინამძღოლს გულდაგულ მიჰყვება:
„არ შედრკეთ, დაჰკარით, დაჰკარით!—
შვილი მყავს შიმშილით მიკვდება —
მეორეც არ ვიცი სად არი!
დაჰკარით! დავლეწოთ იქნება!“
  სუსხიან იანვრის სისხლიან
დღის ცეცხლი ედება გონებას,
რამდენი წყრომა და ზიზღი აქვთ.
დასრულდეს ამდენი გოდება!
მონები ბორკილებს იხსნიან —
იმ არწივს ხმა მისცეს მონებმა!...

  გუგუნი აჭრილა ზეცამდე,
მთებს სდგება, ზღვაც გადაიარა!
დროშების წაგლეჯას ეცადნენ —
მუშტი ჰკრეს:
— იარაღს, იარაღს!!!
დღეიდან ბორკილებს ვლეწავდეთ
ძალდაძალ, მუდარით კი არა!
  ცხრაას წელს შეარყევს შმორიანს
ერთი დღე იმ ცხრაას ხუთისა.
ჯაჭვებს რომ იწყვეტდნენ — შორიდან
მოთრეულ უდიერ უღლისას:
„მოვკვდეთ თუ ტანჯვისთვის
ვშობილვართ,
ან მოვრჩეთ ოხვრას და წუხილსა!“..
  ეს ერთიც მწუხარედ დაბინდდა,
ღამეა და ძილი სად არის?!
ქარი ჰქუხს მაღლიდან, დაბლიდან,
ზღვიდან ზღვას გადასწვდა ზანზარი!
არწივი დროებით დაფრინდა —
ხვალ ისევ დარეკავს სხვა ზარი!

*

* *

თხრილისთავს თუნუქის ნაკუწებს
და ფიცრებს ქარი სცემს, ატოკებს...
დედიკოს სნეული აქ უწევს,
ფიქრსაც არ აკარებს სათოფედ:
„მამობას მე თვითონ გაგიწევ —
მამა თუ ყორნებმა დათოკეს!“
  ...ის ციმბირს გაგზავნეს ნაცემი,
წინ ჩრდილი უსწრებდა პაწია,
მომცრო რამ, საოცრად ნაცნობი,
არც ჰქუხს და არც არა აცვია...
მაჩუქე რამეო ნაცვამი,
მცივა და ყელყური ამწვია...
  თავს დაჰხრის, ასწევს და ტახტია,
პატრონი აღარ ჩანს საწოლთან..
„მიწური დავტოვე თავლია —
ნეტავი ერთი დღეც დამცლოდა,
ავადმყოფს საბანი ახდია
და ქარი ალურჯებს საცოდავს“...
  შორდება, მიდის და შორდება,
ცის კიდურს ათასჯერ გადადის.
ხმელეთი ცას უახლოვდება...

— „გზა მორჩა, მგზავრებიც გავთავდით,
დრო მოვა, ციმბირსაც მოხვდება
მხურვალე სხივები მკათათვის“.
შორდება, მიდის და სცილდება,
გადადის გაუვალ სივრცეებს,
შორს, სადაც ცის კიდე წითლდება,
ღრუბლებიც მიწიდან იწევენ! —
ჰყინავს და გული არ ცივდება —
არწივის ხმა ხვდება ისევე!..

5.

ის ჟამი საით გაფრინდა,
წელნი სად გადახვეწილან?
ჯერ მოანათა აპრილმა
მერე ვარდისთვე გვეწვია!
ტფილისს ცა ხურავს ფირუზის,
გულზე იხშირებს ყვავილებს!
აქ შემხვდა, სანაპიროზე
მოხუცი მოსიყვარულე.
ჭალარა, სახე დამჭკნარი,
კაბა, სარტყელი ქართული,
შვილიშვილებში ჩამდგარი —
მათი ჭიკჭიკით გართული.
ხელს მართავს, ზემოთ უთითებს
ქართულ ასოთა წყებაზე,
ამბავს მოჰყვება უწინდელს —
ოქტომბრის მეხის ჭექამდე:
— ეს მისი სანაპიროა,
მისი ხელებით ნაგები,
ზედ მისი გვარი სწერია
საყვარელი და საქები.
მზე იმან ამოგვიყვანა, —
ნისლები გადაკრეფილან!
ახლა დაჰნათის ქვეყანას
ვარსკვლავებიან კრემლიდან!“
..საუბარს შესწყვეტს დროდადრო —
გაჰხედავს — აქ ჰყავს შვილებიც,
შორიახლო რომ დადიან
თამამნი, მხარგაშლილები,
მტკვრის პირპირ დაირწევიან,
აქ ვინ ჩაივლის მტირალი!
სამნივ მღერიან — ძმებია
და მამა ნაციმბირალი...

შალვა იოსელიანი

# ლიმონი

თითქო ტოტიდან თვალებში მიმზერს,
დაუყურსია ტანი და ღერი,
მან მოიტანა შავი ზღვის პირზე
ხვავი, სითბო და ლაჟვარდისფერი.

ავიგე სახლიც. სიმღერებს ვქარგავ
ყოველდღე ახალ სიხარულს ველი.
და ჩვენს ეზოში თვითეულ ნარგავს
ატყვია შენი მზრუნველი ხელი.

მიჰყვება ტანი ტოტების რხევას,
ხან გამოჩნდება, ხან იმალება...
ავიღებ ლიმონს და მომეფრქვევა
შენი ლიმილი და ბრწყინვალება.

ალექსანდრე ჭუთათელი

# მკვდრის მზე*)

## საკრებულოში

ოფიცერთა საკრებულოში მაიორი გვიან მოვიდა.

ბოლო რიგებში მორიდებით დაჯდა და მარტოსულივით გაირინდა. კრების თავჯდომარეს — პოლკოვნიკს ავალიშვილს მიაჩერდა. პოლკოვნიკს შუბლი არ გაუხსნია. მრისხანეთ გადმოხედა მაიორს.

„ჩემი საქმე უკუღმართად წასულა," — გაიფიქრა მაიორმა. საშინელი მარტოობა იგრძნო. დარბაზში მსხდომ ამხანაგებს დიდრონი და მგზნებარე თვალები დარდიანად და განწირულივით შემოავლო, მაგრამ ეს ხედვა არავის არ შეუმჩნევია, რადგან არავის არ სცხელოდა ეხლა მისი გულისდარდისათვის: ათ მეუთაურს ახალციხის ფრონტის თვითნებურად მიტოვება ბრალდებოდა და სახელმწიფოს წინაშე ღალატი. არავინ შედიოდა ეხლა იმის განსჯამი, რომ დახეულ ჯარის შეჩერება არავითარ ძალას აღარ შეეძლო და მეთაურები აქ არავითარ შუაში არ იყვნენ.

„ვაი სირცხვილო, ვაი, თავსლაფის დასხმავ!" — გაიფიქრა მაიორმა. პოლკოვნიკი სამხედრო მინისტრისა და მთავარი შტაბის აზრს აცნობდა ფრონტიდან გამოწვეულ და ბრალდებულ ოფიცრებს...

მაიორი ფერმკრთალი იყო. შუბლზე მომდგარი ოფლი საზაფხულო ხალათის სახელოთი მოიწმინდა. ცხელოდა, სული ეხუთებოდა. ერთბაშად წამოიჭირა და კარებისაკენ გაემართა. მე კარებთან ვიჯექი და, როდესაც გამისწორდა, პაპიროსი ვთხოვე.

ჯიბიდან ყუთი ამოიღო, გაშალა და ოდნავი ღიმილით გამიმეორა ათასჯერ თქმული:

— სანამდის უნდა იყო ჩემს ხარჯზე? მე რომ აღარ ვიქნები, რა გეშველება?

— არც ისე ხშირად გაწუხებ, — ღიმილითვე მივუგე მე, მაგრამ მას პასუხი არ გაუცია. ეჩქარებოდა. არც კი შემოუხედავს ჩემთვის. ერთბაშად შეტრიალდა და წავიდა, თვალი გავაყოლე: ახოვანი, მსუქანი ვაჟკაცი იყო. ბნელ დერეფანში გოლიათივით მიაბიჯებდა, ოდნავ ბარბაცებდა. ნასვამი თუ არის მეთქი, გავიფიქრე. შემეხარბა. იგი მხიარული, გონებამახვილი და მოქეიფე კაცი იყო. გამოკვირდა: რა დროს ქეიფი აქვს, მეთქი. გვარდიელების მიერ წამხდარი

*) ნაწყვეტი რომანი „პირისპირ"-ის მესამე ნაწილიდან.

საქმე მთავრობამ რეგულარულ ჯარს და მის მეთაურებს მოახვია თავზე. „ეს არის სამართალი?“ სამართალს ჰკითხულობდნენ ბრიყვი მეთაურები.

ცხელოდა. ფანჯრები გამოაღეს. წვიმას გადაეღო. საღამო ხანი იყო, მაგრამ ქალაქში ისევ დახუთული ჰაერი იწვა. თონესავით გავარვარებულ ქუჩას და ქვის სახლებს ალმური ასდიოდა. მყუდროდ იდგნენ ფანჯარასთან მოწყენილი ცაცხვები; დამჭკნარი ფოთლები არ ირხეოდნენ სრულიად. ღრუბლიან დასავლეთიდან გამოსროლილი და ძალაგამოლეული მზის სხივები მკრთალად და რაღაც უცნაურად აშუქებდნენ კენწეროებს, თითქო მზე კი არა, მთვარე აშუქებსო. „მკვდრის მზე“ — გავიფიქრე მე.

უცბად საშინელი გრიალი გაისმა.

„ავტომობილის ბორბლის საბურველი თუ გასკდა ქუჩაზე. ან იქნებ ტერორისტებმა ყუმბარა გადაისროლეს!“ გავიფიქრე მე.

— მეორე სართულზე რაღაც აფეთქდა! — დაიძახა მეთაურმა. ოფიცრები საკრებულო დარბაზიდან დერეფანში გაცვივდნენ.

მორიგე ჯარისკაცი დაფეთებული სახით ჩამორბოდა კიბეზე.

— უშველეთ, მაიორმა ლევან ყაზრიშვილმა თავი მოიკლა!

უცნაური სიკვდილი იყო ეს. შაშხანის ლულა პირში ჩაედო და ასე... საამორიგო ოთახის კარებთან იჯდა უმწეოდ თავჩაქინდრული.

თავის ქალა გამსკდარიყო.

შევძრწუნდით...

საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმეში საკუთარი გულისძგერა გავიგონე. ვილაც იძახოდა: „სასწრაფო დახმარება გამოიძახეთ“.

დახმარება?

მაიორის უკანასკნელი სიტყვები: „სანამდის უნდა იყო ჩემს ხარჯზე? მე რომ არ ვიქნები, რა გეშველება მაშინ?“ — მე რამდენიმე დღის შემდეგ მომაგონდა მხოლოდ.

გამიკვირდა: რატომ მითხრა ასე სიკვდილის წინ?

აი, რისთვის იწმენდდა თურმე ხალათის სახელოთი სახეზე ჩამოდენილ სიმწრის ოფლს!

## ჭერამი აყვავებულა

მაიორის თვითმკვლელობის შემდეგ ცუდ გუნებაზე დავდექი და მალე ჯარი სულ მივატოვე.

მოწყენილი დავეხეტებოდი ქალაქში, ვერის დაღმართზე მეგობარი შემომეყარა. მას ისევ ჯარისკაცის მაზარა ეცვა... ხშირი და შეერთებული წარბები და გრძელი წამწამებით დაჩრდილული, შავი კაეშნიანი თვალები ჰქონდა.

ქუჩაზე მიმავალთ როდი ამჩნევდა ჭაბუკი. ფიქრებში წასული და გვერდულად შებრუნებული მისი მეოცნებე თვალები სადღაც შორს, უცხო მხარისაკენ იცქირებოდნენ თითქო. ამ წუთას ვერის დაღმართიდან გამოჩენილ კავკასიონის ქედებს და მყინვარს გასცქეროდნენ ისინი. მაშინვე ვიცანი ჩემი ბავშვობისა და ყრმობის მეგობარი ჭაბუკი — გრიგოლ მეგრელიშვილი. 1918 წელს ჩვენ ვიყავით ჯარში წასული. ეს ის დრო იყო, როდესაც ოსმალეთი ბათომს, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს იკავებდა. ეხლა კი 1919 წელი იყო და ისევ ჯარისკაცის მაზარაში რომ ვნახე გრიგოლი, გამიკვირდა:

— კაკო, შენ კიდევ ჯარში ხარ?

— მაშ, შენსავით დეზერტირი გეგონე?! რა დროს თავის თავზე ფიქრია, ყველა რომ უნივერსიტეტს მისცვივდით. განა არ იცი, თურქებმა რომ ისევ შემოგვიტიეს?! უკან დაახევინეს ძალლთაპირებმა გენერალ მაყაშვილის ჯარებს ახალციხე, ახალქალაქის მაზრებში.

— როგორ არ ვიცი. მაგ უკან დახევის მსხვერპლი არ გახდა მაიორი ლევან ყაზრიშვილი!

— ჰო და, აგაშენა ღმერთმა. — ნიშნის მოგებით მიპასუხა გრიგოლმა.

იგი ომებში ნათრევი ჭაბუკი იყო. არც ერთი ომი არ გამოუტოვებია, რომელიც კი 1918-სა და 1919 წელს საქართველოს გადახდომია. გრიგოლი ბატარეის ცნობილი მეტელეფონე იყო. მაგრამ, საჭიროების დროს, ტყვიაფრქვევსა და ქვემეხზეც უბადლოდ უმუშავნია. გავეხუმრე:

— ომებს თუ მიჰყევი, ომი, ძმაო, არასოდეს არ მოისპობა ამა ქვეყნად.

— მაშ არა და, შინ დავჯდები ცხელ ბუხართან, თურქებმა კი ახალციხე და ახალქალაქი დაიკავონ, რას დავეძებ! მე ანგრე რომ არ ვმსჯელობ, შენ მაინც ხომ იცი...

— ვიცი, მაგრამ ცოდვა ხარ, ბიჭო: ამდენ ომებსა და დავიდარაბაში ხიფათი რამ არ შეგეყაროს.

— დავრდომილს რაღა ხიფათი უნდა შეეყაროს, ხოლო ჯანსაღნი თუ კი ბრძოლას გაექცნენ, ქვეყანა ვინღა დაიცვას?! და მერმე: უხიფათო სიცოცხლე განა არსებობს?!

გრიგოლი უცნაური და უშიშარი კაცი იყო. მასზე ლეგენდებს ამბობდნენ მასთან ერთად ომში ნამყოფი ამხანაგები და დასძენდნენ: „სიკვდილს ხეპრეთ ეთამაშებაო". მე ვერ ამეხსნა ერთი რამ: გრიგოლი სიკვდილის შიშით გამოწვეულ დარდსა და სევდას აქსოვებდა თავის ლექსებში, ხოლო პირად ცხოვრებაში სიკვდილს ისე ხეპრედ აკიდებოდა, თითქო არ კი ეშინია მისი, არამედ ეთამაშება კიდეცო.

ბოლოს მისი კაეშანი და სევდა დედისა და დის ტრაგიკულ გარდაცვალებით ავხსენი, ხოლო სიკვდილთან თამაში, — პირადი ზრახვების მიუღწევლობით.

— ყოველ ადამიანის ცხოვრებაში დადგება წამი, როდესაც იგი შეიგნებს, რომ სიცოცხლე სიკვდილის მიერ დაგებული ხაფანგი ყოფილა, — დაიწყო გრიგოლმა.

— ურწმუნო ადამიანი საცოდავია. გრიგოლ, შენ შემცდარ გზას ადგეხარ.

ეს ჩემი ნუგეშინი და გაფრთხილება იყო. სსეა მოწყობილი ადამიანი, რომ თუ თითონ დაღუპული არ არის, ხიფათში მყოფს და წყალწაღებულს უნდა შეეშველოს, ხელი უნდა გაუწოდოს.

გრიგოლმა ეშმაკურად გაიცინა და ცალგვერდა ცქერით შემომხედა: მის დიდრონს, შუქიანსა და ჭკვიან თვალებს ჩემი მზამზარეული და ყოველ-შემთხვევისათვის თქმული, გაცვეთილი სიტყვები განა გამოეპარებოდა?!

ვერის ხიდზე გავედით.

მთებსა და ვერის ბაღებს მწვანე ფერი დასტყობოდათ. თებერვლის ბოლო იყო. მზე ჩადიოდა ცეცხლმოდებულ ღრუბლებში. საამური დაისი იდგა და ჰაერში ნაადრევი გაზაფხულის სიო იგრძნობოდა. ხოლო მთვარესავით მკრთალი მზის სხივები უცნაურად აშუქებდნენ ხის კენწეროებს. „მკვდრის მზე" — გავიფიქრე მე. მერმე ველარ მოვითმინე და გრიგოლს მივმართე:

— ბიჭო, რადა ხარ ასეთი?! შეხედე: განა ქვეყანა მშვენიერი არ არის?!

— მით უარესი ჩვენთვის. — მიპასუხა გრიგოლმა, მაგრამ რახან დღეს გაზაფხულის მოახლოვება პირველად ვიგრძენი, გრიგოლის კაეშანმა ვერ წაშალა გულს ჩასახული აღტაცება და სიხარული. ისევ გავხედე მიდამოს: ყორლანოვის ქუჩისა და ეკლესიის გალავნის ქვემოდ, მთის ფერდობზე ჭერამისა და ატმის აყვავებული ხეები შევნიშნე და შევსძახე:

— ჭერამი აყვავებულა!

გრიგოლი შესდგა, შეხედა და გაიღიმა.

მისი თვალებიც თითქო აყვავდნენო. ახლად ამოწვერილი ულვაშით დაფენილი ზედა ტუჩი აებზიკა და ბავშვივით წამოიძახა:

— რა მშვენიერია!

გამიკვირდა. კარგა ხანია რაც არ მენახა გრიგოლის სახეზე სიხარულის და აღტაცების ასეთი გაელვება. ბავშობაში იცოდა მან ასეთი სიცილი, ასეთი გულუბრყვილო და უმწიკვლო ღიმილი, მაშინ როდესაც ხელთოფებს ვაკეთებდით და პანტავაშლით ვებრძოდით ერთმანეთს გვიმბრაში ჩასაფრებულნი.

გრიგოლს ეჩქარებოდა: სადგურზე ჯარისკაცებით, ცხენებით და ქვემეხებით დატვირთული ვაგონები, ბორჯომისაკენ მიმავალი მისი ეშელონი იდგა. სახეზე ისევ უხილავი სევდა აღბეჭდა. ერთმანეთი გადავკოცნეთ. გრიგოლმა სადგურისაკენ გასწია.

ამ დღიდან ერთი თვეც არ იქნებოდა გასული, პროსპექტზე ამხანაგი ნიკო ცხომელიძე შემხვდა. საშინელი ამბავი შემატყობინა:

— ხომ იცი, გრიგოლი როგორი უშუშარი მებრძოლი იყო! არც უფროსს მეთაურებს და არც ჩვენ ამხანაგებს გაგვიგონია. ჯარის მიერ მიტოვებული სანგრები რომ დაინახა, ერთი მაგრად შეგვიკურთხა თურმე. მარტო დარჩა ფრონტზე. სანგრებში ჩახტა, ტყვიამფრქვევი გამართა და, სანამ ეყო ლენტები, სთიბა და სთიბა ასკერები. მაგრამ მერმე გვერდიდან, მოუარეს, ჩაესაფრნენ და ესროლეს. თავში ჰქონდა მოხვედრილი.

— ოხ,-შევძრწუნდი. — რაღა გადაარჩენდა?

— ჩვენ კიდევ მიუსწარით ცოცხალს.

— სიცოდავი, თითქო შეგნებულად ეძებდა სიკვდილს! სიცოცხლე მოძულებული ჰქონდა!

— არა, პირიქით, ნეტა გენახა როგორ სწუხდა! მიშველეთო, გვევედრებოდა სასომიხდილი. ოხ, როგორ უნდოდა სიცოცხლე, როგორ უნდოდა უბედურს სიცოცხლე! — მიამბობდა ნიკო და ეხლა მას თითონ შესწუხებოდა, დაჰღრეჯოდა სახე, ხოლო თვალებზე ცრემლი მოსდგომოდა.

მე მომაგონდა გრიგოლი. მასთან შეხვედრა ვერის ხიდზე, მთის ფერდობზე აყვავებული ჭერამი.

ბავშვივით მოღიმარი გრიგოლის სახე, შორს მაცქერალი მისი თვალები და აყვავებული ჭერამი ჩემს მეხსიერებაში სამარადჟამოდ დამრჩა.

## ასკერი

გრიგოლ მეგრელიშვილის გარდაცვალების შემდეგ ისევ ჯარში წავედი, — ბატარეაში.

მთელი დღით ნაბრძოლებს, ღამით პოზიცია შეგვაცვლევინეს. ქვემეხებს ცხენები შევუბით, დაჭრილ-დახოცილნი ფურგონებზე მოვათავსეთ და მერმე, დაღამდა თუ არა, ტყით დაფენილ მაღალ მთისაკენ გავეშურეთ.

წინ ბატარეის უფროსი — კაპიტანი სანდრო ალექსიძე, მისი თანაშემწე— შტაბს-კაპიტანი ბერეჟიანი, მეთაურები და მხვერავები მიდიოდნენ. ბატარეის ქონების გადაზიდვას ფურგონები ალარ ეყო და მათ უკან დატვირთული ურმები ზლაზვნით მიჰყვებოდნენ.

დიდის ვაივაგლახით მივდიოდით სოფელ კარჩხალის უხეირო გზით. ნისლიანი ღამე იყო და მეგზურნი შუბებზე წამოგებულ ჭრაქებით—ჩირაღდნებით გვიშუქებდნენ გზას. ქვემეხები ორმოებში ვარდებოდნენ, გზაზე დაყრილ ლოდებზე ბორბლები ვერ გადადიოდნენ და ჯარისკაცები შეძახილით და ერთის ყიჟინით აწვებოდნენ ქვემეხებს.

მარჯვნივ მაღალი მთა იყო აწვდილი, ხოლო მარცხნივ — თვალუწვდენი ნაპრალი გვემუქრებოდა. ფრთხილად იყო საჭირო სიარული, რომ ჯარისკაცს ან ცხენს ფეხი არ დასცდენოდა, გზიდან ნამპრალში არ გადაჩეხილიყო.

უზანგების მარყუჟში ფეხები გავუყარე, დაგორგლებული საბანი უნაგირზე დავდევი, ზედ დავემხე და მალე დამეძინა. აღვირმიშვებული ცხენი ნელა მიდიოდა: მძინარი ჩემი მხედარი არ გადმოვარდესო, ფრთხილობდა. როცა ტანის სიმძიმე მარჯვნივ ან მარცხნივ გადამძალავდა, მაშინვე შეჩერდებოდა, დაიხვიხვინებდა, ყურაცქვეტილი თავს ჩემსკენ მოიქცევდა, ჭკვიანის თვალებით შემომხედავდა და, სანამ უნაგირზე არ გავსწორდებოდი, ფეხსაც არ გადასდგამდა.

ალმართი გათავდა. მთის ტაფობზე გავედით. ვაკეზე, წყვდიად ღამეში მოკიაფე, ზორეული ხანძარი დავინახეთ.

ოსმალთა მიერ მიტოვებული სოფელი იწოდა უმოწყალოდ.

ცამდე ავარდნილი ცეცხლის ალი ბოროტად იკლაკნებოდა მუნჯსა და ბნელ ღამეში, თითქო უბედურების მაცნეთ მოვლენილაო.

ჯარისკაცთა ძახილი და ყიჟინა ერთბაშად შეწყდა. ეხლა ბნელი ღამის სიჩუმეს დაჭრილთა კვნესა, ქვემეხთა ბორბლების გრიალი და უზანგების ჟღარუნი არღვევდა მხოლოდ.

ხანძარს გვერდი აუქციეთ და ისევ ალმართს შევუდექით.

ალმოსავლეთით ოდნავ იდარა, ცაში ნათელი ჩადგა და რიჟრაჟმაც მოატანა, მაგრამ მერმე ისეთი ნისლი და მურისფერი ჯანღი წამოვიდა, რომ კაცი კაცს ერთ ნაბიჯზედ ვერ გაარჩევდა და უკუნის მაგვარ წყვდიადს ეხლა აბრიალებული ჩირაღდნებიც კი ველარ არღვევდნენ.

წვიმის წინწკლები წამოვიდა. ისე გულდაგულ ჟინჟღლავდა და სცრიდა, რომ ამრიგად კოკისპირული წვიმაც კი ვერ დაგვასველებდა.

ტყე ერთბაშად გათავდა, ველზე გავედით და ერთ პატარა სოფელთან დავბანაკდით.

ქვემეხებიდან ცხენები გამოვხსენით, საბმური გავმართეთ. ქვემეხებთან და ბატარეის ქონებასთან ყარაულები დავაყენეთ. მერმე მოშივებულნი სოფლისკენ გავეშურეთ.

მიწური სახლის გვერდზე ქალი ძროხას სწველიდა სახელდახელოდ.

ეს სოფელი გახიზნული მეგონა და შიგ რომ სიცოცხლის ნიშან-წყალი შევნიშნე, გამიკვირდა. თუმცა სულ მალე დავრწმუნდი თუ რა ყოფაში იყვნენ ამ სოფლის მცხოვრებნი: ყოველი მიწურის წინ ბარგიბარხანით დატვირთული ურმები იდგნენ და გუშინ რომ ოსმალებს კარჩხალში გაემარჯვათ, მაშინ ამ ურმებსა და სოფლის ხიზნებს ცხრამთა ექნებოდათ გადავლილი. ეხლა კი კარჩხალში ოსმალთა დამარცხებისა და ჩვენი ბატარეის აქ მოსვლის გამო,

იმედი მიეცათ. სიხარულით მიგვიღეს, პურით, ყველითა და ღვინით გაგვიმასპინძლდნენ.

მაისი იყო, მაგრამ ამ ნისლიან დილით მთაში საშინლად ციოდა. ბატარეის ბიჭებს კოცონები დაენთოთ, ცეცხლს შემოსხდომოდნენ, ზედ ეფიცხებოდნენ და ტანსაცმელს იშრობდნენ. მაზარებსა და ჩექმებზე ორთქლი სდიოდათ.

მეც ცეცხლის პირას წამოვწექი, ცეცხლს მკერდი მივაშვირე და ამხანაგის მუხლზე თავი მივდევი. სველი საცვლები ტანზე ცივ ტილოსავით მეკვროდა. უფრო ახლოს მივუჩოჩდი კოცონს, დაღლილსა და დაქანცულ ამხანაგებს — ჭაბუკ სტუდენტებს და მოწაფეებს თვალი მოვავლე.

საცოდავად მიკუტული, ფუფუნებაში გაზრდილი ჯვეგბე მიქელაძე ბატარეის მამაც ფეიერვერკერს სანდრო ხოტივარის ჩაჰხუტებია. სანდროს კი მიტო ჩიკვაიძის განიერ მკერდზე მიუდევს თავი. იქვე გიორგი ნახუცრიშვილი იწვა გულაღმა, ყანაში დაღლილ გლეხივით. შრომით დაკოჭრებული და ტალახშიამოსვრილი ვეება ხელები მკერდზე დაეწყო. აგერ, ბატარეის ჯარისკაცთა სულისჩამდგმელი ნიკო ცხომელიძე შავგვრემანი ჯავახელი ვაჟკაცის, გიორგი ველჯანიშვილის გვერდით არხეინად წაგორებულა.

ბრძოლა-გადახდილი ჯარისკაცები რატომღაც უფრო საყვარელ და ახლობელ მეგობრებად მეჩვენენ. ბავშვურის სიმშვიდით და უდარდელობით ეძინათ მათ კარჩხალის მთის მაღალ ტაფობზე, კაპიტანი სანდრო ალექსიძე კი ფხიზლობდა. ბატარეისათვის ზრუნვას, მეთვალყურეობას, განკარგულებათა გაცემას, გარჯასა და ჯაფას დაეღალნა. მაზარის ღილები გაეხსნა და საყუმბარე ცარიელ ყუთზე ასე დამჯდარიყო. ხელის გულები ცეცხლზე მიეფიცხნა და უძილო თვალებით სინჯავდა ჯარისკაცებს.

კაპიტანს შეეცოდა თავისი ჯარისკაცები.

— როგორ დახოცილივით სძინავთ საცოდავებს! — უთხრა კაპიტანმა თავის თანაშემწეს, ბერეჟიანს.

— ამაში ომი, მართლაც საცოდაობაა! — უპასუხა ბერეჟიანმა და ცისფერი თვალები ეშმაკურად აუციმციმდნენ.

— განა ესენი ცუდი მეომრები იქნებოდნენ, საჭირო წრთვნა რომ გაეარათ? აი, დედასა გორისასა, — დაიკვეხნა იმპერიალისტურ ომში ნამყოფმა შამაცმა კაპიტანმა.

— ერთხელ... — დაიწყო მან მშვიდად ომში მომხდარი ეპიზოდის მეასეჯერ მოყოლა.

მე ყურს ვუგდებდი. მერმე კაპიტანი დადუმდა. ტყავის ჩანთიდან წერილი ამოიღო და კითხვა დაიწყო. ერთ ადგილას გაეღიმა. დავაკვირდი: იგი მწვითური, ბრგე ვაჟკაცი იყო. წვერი გაუპარსავი ჰქონდა და თმას სახეზე ჯაგარივით ამოეწვერნა. ქარმა დაუბერა, მაზარა გადაუწია და ფრენჩის მკერდზე წმინდა გიორგის ორდენი გამოუჩინა. „საოცარი ხალხია ეს მხედრები, — გავიფიქრე მე, — წლობით სწავლობენ შეიარაღებულ ადამიანთა ხელმძღვანელობას, ადამიანათა ათასობით ხოცვასა და ომს. წლობით ემზადებიან იმისათვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ცხარე ბრძოლაში, იერიშის დროს გაიმარჯვონ, სასიკვდილოდ დაიჭრან ან განიგმირონ კიდეც.“ — ვფიქრობდი მე და ისევ ვაკვირდებოდი კაპიტანის მშვიდსა და წყნარ სახეს. „ისე არხეინად ზის კაპიტანი ცეცხლის პირას, ისე დამშვიდებული კითხულობს წერილს და იღიმება, თითქო ხვალ, ან ამ

რამდენიმე საათის შემდეგ სრულიადაც არ ელოდეს არავითარი ხიფათი.“ — ვსთქვი მე ჩემს გულში და მერმე თვლემა მომეკიდა.

ამ დროს კაპიტანთან ზემდეგი მივიდა, გლეხები მიუყვანა და შეატყობინა:

— ექვსი ურემი ბატარეას ჩამორჩენია და ლაფსა და ორმოდან ვეღარ ამოჰყავთ.

კაპიტანმა მძინარ ჯარისკაცებს თვალი მოავლო. მე ისევ ძილი მეკიდებოდა და უმწეოდ ვლულავდი თვალებს, ხოლო სავალალო ამბავი რომ გავიგე, მაშინ სრულიად დავხუჭე თვალები, რადგან მეშინოდა: კაპიტანმა იმ ურმების ხევიდან ამოთრევა მე არ დამავალოს მეთქი. როცა ცოტა ხნის შემდეგ თვალები გავახილე, კაპიტანმა თვალი გამისწორა და დამიძახა; რაღა ჯანი იყო, წელმოწყვეტილი წამოვდექი და უფროსის წინაშე განწირულივით გავჩერდი. კაპიტანმა დაზარება შემატყო და მითხრა:

— ცოდვა ხარ, ბიჭო, მაგრამ რა გაეწყობა: შენ ამათზე უფრო ყოჩაღი ჯარისკაცი ხარ. წაიყვანე ეს გლეხები, ხარები გაარეკინე და ლაფში ჩაფლული ურმები საჩქაროდ აქ ამოაყვანინე. ხომ იცი, იმ ურმებზე ყუმბარები აწყვია, ხოლო ჩვენ ეხლა ყოველი ყუმბარა მილიონად გვიღირს. გასწი, თორემ ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ ახალ პოზიციაზე გავალთ და შენ იქ საჭირო იქნები.

— მესმის! — ვუპასუხე მე. ცხენი შევკაზმე. ხუთი გლეხი შევარჩიე, ხარები ხევისაკენ გავარეკინე და მოცემულ ამოცანის შესასრულებლად მეც დაღმართისაკენ გავსწიე გულმოკლული და ამრეზილი.

ისევ ხევისაკენ მიმავალ, ვაივაგლახით ამოვლილ უხეირო გზას დავადექით. უკან მივიხედე: სოფელი, ბატარეა და კოცონები ნისლში იყო გახვეული და არაფერი არ სჩანდა.

ეხლა ცეცხლის პირას არხეინად წამოწოლილ მეგობართა მიმართ შური დამებადა. „რათა შვილოსან, რატომ მაინცა და მაინც მე ამომიღო ნიშანში კაპიტანმა, განა სხვას ვერ დაავალებდა!?“ გლეხებს დამუნჯებული მივყვებოდი და თანაც ვფიქრობდი: „ვაი თუ ოსმალნი თავს დაგვესხნენ. ორი ამ გლეხთაგანი თათარია, ორიც საეჭვო ტომისა. ქართულს ძლივს ამტვრევენ და, ვინ იცის, ამ უკაცურ ტყეში ხიფათი რამ წამკიდონ“.

ხევიდან უჩუმრად მოდიოდა ნისლი და გზას ეფინებოდა. მეგზურებად ადგილობრივი სოფლის ორი გლეხი გავუშვი. თათრები კი ჩემთან დავტოვე. ბოლოს ძახილი შემოგვესმა. ტალახში მუხლამდე ჩამდგარნი მეურმეები ამაოდ ცდილობდნენ ლაფში ჩაფლულ ურმების ამოყვანას. ხარები დიდს ჭაპან-წყვეტაში იყვნენ, მაგრამ ურმებს ადგილიდან ვერ სძრავდნენ, გამწარებული და იმედგადაწყვეტილი მეურმეები გამეტებით სცემდნენ სახეში სახრეს. აქელებული პირუტყვები ულელს აწვებოდნენ, თავს არ იზოგავდნენ, მაგრამ ვერას აწყობდნენ და დამნაშავესავით აბრიალებდნენ მეურმეებისაკენ შემინებულსა და ცრემლიან თვალებს. მეურმეებს მაშინვ ავუკრძალე პირუტყვთა ცემა. მოდენილი, უღლიანი ხარები ყუმბარებით დატვირთულ ურმებს ჯაჭვითა და თოკებით შევუბით და ორმოდან ასე ამოვათრიეთ. ეხლა ყუმბარებით დატვირთული ექვსივე ურემი ალმართზე მძიმედ მიჭრიალებდა.

მზის სხივებმა ნისლი აჰყარეს მთის მწვერვალებს. ნისლი მთის ფერდობებიდან დაბლა მისცურავდა და ხევებში მიიპარებოდა. როცა ალმართი ავიარეთ, მაღალი მთის სახედიდან დაბლა ველი გამოჩნდა. ნისლი ველზეც აყრილიყო.

მოულოდნელად ხევიდან შაშხანამ დაიჭექა და ტყვიამ ყურთან ზუზუნით გამიარა. ცხენიდან ჩამოვხტი და სადავე გლეხს მივუგდე.

უცბად ურემში შებმული ხარი შეტოკდა. უღონოდ დაუცურდა სველსა და შიფერის დაფასავით მოშავო სიპზე, ორად გაყოფილი, ნალიანი ქაჩაჩი და განაფხაჭი სიპზე ცარცით გავლებულ ხაზივით დარჩა. ხარი მუხლებზე დავარდა. ყბა ლოდს დააჯახა, ქშენა აუვარდა და გასისხლიანებული ენა გადმოაგდო. მერმე თავი ცისაკენ აღაპყრო. ნაღვლიანი თვალებით აჰხედა წინ აღმართულ, მოშიშვლებულ მთას — საზაფხულო საძოვრებს და უმწეოდ დაიბღავლა, თითქო ამ ალიონზე მზის ამოსვლას შეევედრაო. მაგრამ მალე მთელის ტანით აკანკალდა, მუცელი რუმბივით გაებერა და დედამიწაზე წაიქცა.

ტყვიამ ისევ ახლოს გაიზუზუნა. ერთი ურმის ბორბალს მიერჭო. შეშინებულმა გლეხებმა ურმები და პირუტყვები მიატოვეს და გაიქცნენ. ერთიც ჩემს ცხენზე აპირებდა შეჯდომას, მაგრამ ლურჯა არ დაჰნებდა. მე დავსჭყივლე, შაშხანით დავემუქრე და ყველანი უკანვე გამოვაბრუნე. მკვდარი ხარი მეურმეებს ულლიდან გამოვახსნევინე. გზის პირად დავაგდეთ და ულელში მარქაფად მყოლი მეორე ხარი შევაბით. შაშხანით შეიარაღებულ ერთ ქართველ მეურმეს სოფლისაკენ აჩქარებით სვლა, მომხდარი შემთხვევის კაპიტანისათვის შეტყობინება ვუბრძანე.

ქარავანი ალმართის შეუდგა. უკანასკნელი ურემი მოსახვევს რომ მიუახლოვდა, აყლაყუდა შავწვერა გლეხმა ბრიალა თვალებით შემომხედა. შიშისაგან გამოლენჩებულ სახეზე მიწისფერი დასდებოდა. ჩემი შაშხანა ზიზღით შეათვალიერა. ამ დროს ისევ სროლა შემოესმა. ოთხად მოიკეცა. მერმე ალმართზე მიმავალს, წელში განწყვეტილ ხარის შუბლზე გამეტებით გადაუჭირა სახრე და რქაზე გადაუტყდა.

„მხდალო, ჯაბანო“. — მივაძახე მე და ის მეურმე რატომღაც შემზარდა.

ამ გარემოებამ ბრძოლისათვის კიდევ უფრო წამაქეზა და, როცა ქარავანი მოსახვევს მოეფარა, ჩემი ცხენი ხეზე მივაბი, მე კი გზის პირას, ერთ დიდ მუხის ქვეშ შაშხანით ჩავესაფრე.

ხევისაკენ ცქერა დავიწყე. ხევში პატარა მდინარე მიდიოდა. ნაპირების გასწვრივ ტირიფები ჩარაზმულიყვნენ. მალე ტირიფებში უცხო ჯარისკაცები შევნიშნე. ასკერებად შეეცანი. ათამდე იქნებოდნენ. ხიდან ხისაკენ გადარბოდნენ. გულისძგერა ამივარდა. შაშხანას მოჭედილი ჩემი ხელი რომ დავინახე, გამიკვირდა: ხელი საშინლად მიკანკალებდა და ზედ მკვდრის ფერი დამდებოდა. ისე გაიქცნენ ასკერები ტყისაკენ, რომ ვერც ერთი მათგანის აღება ვერ მოვასწარი მიზანზე. „ვაი, შენ ჩემო თავო. ეს რა დამემართა“. — გავიფიქრე და მაშინვე მდინარიდან ნაპირზე ასკერი ამოვიდა. ჯერ ბეკზე შაშხანა შემოსდო, მერმე ზედ ხელებით დაებჯინა და ასე ამოცოცდა. ტირიფების ხეივანი ფრთხილად გაიარა. შაშხანა ბრძოლისათვის მოიმარჯვა და ვერხვთან შეჩერდა. მაღალი და ახოვანი ვაჟკაცი იყო. ვერხვის ტანს მიეყრდნო და შაშხანა მთისაკენ გამართა. ალმართზე მიმავალ ჩვენ ქარავანს თუ მოჰკრა თვალი! იგი უთუოდ მოუსაზრებლად მოიქცა: ვერხვის თეთრ ტანზე მისი თავი დახატულივით ჩანდა და ნიშანში ამოღება ადვილი იყო. ასკერის თავი შაშხანის ნიშანზე სწორად დავსვი, მაგრამ მტერმა მომასწრო. ურმებისაკენ გასროლა და შეირხა. თავი ნიშანს ასცდა. ასკერმა ცარიელი ვაზნა შაშხანიდან ამოაგდო, ახალი მისცა ლულაში და შაშხანა ისევ გამართა. მეორედ ამოვიღე ნიშანში მისი თავი. „თავ-

ში ვესროლო, თუ ტანში", — შევეკოჭმანდი. მერმე. „ვაი, თუ ისევ მომასწროს გასროლა?!"—ვთქვი ჩემს გულში და, რა წამს ეს გავიფიქრე, ხელმეორედ დამაგვიანდა. ბრაზისაგან გავიგუდე. ასკერმა შაშხანა ხელში აიღო, კონდახით მიწაზე დაუშვა, მეორე ხელი ვერხვის ტანს მოხვია, თითქო მისი თეთრი ტანი მოეწონა და ეალერსებაო. მერმე თავი წაიგრძელა, გაირინდა და უცხო მიდამოს თვალი მოავლო. ასკერის თავი ვერხვის თეთრ ტანზე ისევ დასატულივით ჩანდა და მე ისევ მისი თავი ამოვიღე ნიშანში: უეჭველზე მივდიოდი და ასკერის თავს იმიტომ ჩავაცივდი, გულდაგულ დაუმიზნე. ეხლა იმრიგად აღარ ვღელავდი და ასკერის თავიც ისევ სწორად დავსვი შაშხანის ნიშანზე. მისი ბრალი იყო: რად ამოიჩემა მზიანი დღის სინათლეზე ეს თეთრტანიანი ვერხვი? ნელა და თანაბარის დაწოლით დავუშვი ჩახმახი. რა მოხდა? ეიფქო მიწა იძრაო წამიერ და ასკერს გაქცეული ვერხვი ხელიდან გაუსხლტა. არა მარტო ვერხვი: ტყე და მდინარე, მთა და ველი, მთელი დედამიწა, ყველაფერი თითქო გაექცა ასკერსო, ციბრუტივით დაუტრიალდა ფეხქვეშ; ცას ხანძარი წაეკიდა და თითქო ცა და მიწაც აუფეთქდაო, რადგან გადასახტომად მომზადებული, ფეხის წვერებზე შემდგარი ჯარისკაცის ტანი საშინლად შეტოკდა, ზვიადად შეტორტმანდა, ჰაერში აილეწა, დატრიალდა და მერმე მოცელილივით მოსწყდა და დედამიწას პირქვე დაემხო.

„საკვირველება მჭირს: რაგინდ ხიფათში არ უნდა ვიყო, თუნდაც სიკვდილის პირად მისული, ჩემი გონება მაინც ყველაფერს ამჩნევს, სინჯავს, სწონის და ვერას გზით ვერ მოვახერხე მისი ჩაქრობა. ჩემი ჯერიც მოალწევს და მაშინ ყველაფერი გათავდება და გონებაც იმ ასკერსავით სამუდამოდ დამიდუმდება". — ვფიქრობდი მე ეხლა და მომაგონდა, რომ იმ საშინელ წუთს, როდესაც ასკერი ფეხის წვერებზე შესდგა, თავმოკვეთილივით დაბარბაცდა, ხელები უცნაურად გაშალა და ასავსავა, მე გამეღიმა. რა იყო ეს? განა იმ წუთას გაღიმება შეიძლებოდა? იქნებ მტრის მოკვლამ გამახარა, ან იქნებ იმ ასკერის უცნაურმა მოძრაობამ და ტანის როკვამ გამოიწვია ჩემი ღიმილი, არ ვიცი!

ამ ფიქრის შემდეგ პირველად შევნიშნე, რომ ჩემს ირგვლივ საოცარი სიჩუმე დამკვიდრებულა და მან დამაფრთხო. ქურდივით ვიცქირებოდი ჩემს საფარიდან. სიჩუმეს დაბლა ხევში მიმავალი მდინარის ხმაური არღვევდა მხოლოდ. ეს ხმაური რაღაც საიდუმლოებით მოსავდა მის ნაპირად ჩარაზმულსა და ტოტებ-დაშვებულ ტირიფებს, თეთრ ტანიან მაღალ ვერხვსა და მის ქვეშ მინდორზე დაგდებულ ასკერის უძრავ გვამს. მინდორის კიდეგანზე ჩემსკენ მომავალი, ტყით დაფენილი ფერდობი იწყებოდა. ცასა და მიწაზე და იმ ფერდობზე დაფენილ ტყეშიც ისეთი ყუჟი სიჩუმე, სიმშვიდე და მყუდროება იყო მოფენილი, როგორიც წვიმა-ავდრისა და ქუხილის წინ დამკვიდრდება ხოლმე.

შიშმა ამიტანა. კანკალი დამაწყებინა და მუხის ძირას გარინდულს ასეთი ფიქრი მეწვია: „ვინ იცის, იქნებ მოკლული ასკერის ცხრა ამხანაგი ტყიდან ხედავდნენ ყველაფერს, ამ მუხიდან გასროლა გაიგონეს და ეხლა ფერდობზე ტყე-ტყე მოდიან, რომ მოკლული ამხანაგის სისხლი აიღონ! აქ დავრჩე და ერთი ათს შევებრძოლო, რა ანგარიშია? ჩვენი ბატარეა ალბად ახალ პოზიციაზე გავიდა, მე მეორე ქვემეხის მემიზნე ვარ და ამიტომ იქ უნდა ვიყო." — მიზეზს ვეძებდი აქედან გაქცევის გასამართლებლად. რა წამს ეს გავიფიქრე, ჩემი ცხენი მომაგონდა. თოფნაკრავივით წამოვიჭერი, ლურჯას მოვახტი და კარჩხალისა-

კენ გავკურცხლე. თანაც ზარდაცემულს უკან ვიხედებოდი: მდევრებისა მეშინოდა.

გზაზე ჩვენი ჯარისკაცები გადარბოდნენ და ფერდობზე დაფენილ ტყეში ესაფრებოდნენ. მოსახვევში ასკერებმა ალბად დამინახეს და ტყვიები დამაყარეს. თითქოს ეს იყო ნიშანია, მთის ფერდობზე და ხევში, მთელი ფრონტის გასწვრივ თოფის სროლა ატყდა; ცოტა ხნის შემდეგ მთაში ტყვიაფრქვევიც აჭახჭახდა ჯოჯოხეთის საზარელ და უცხო ფრინველივით. ომი დაიწყო.

მე მთის ტაფობზე ავედი, სწორედ იქ, სადაც ამ დილით ჩვენი ბატარეა დაბანაკდა, მაგრამ ტაფობზე არავინ არ დამიხვდა, უზანგებზე შევიმართე და მთიან არემარეს თვალი მოვავლე. „სად წავიდა ბატარეა, სითკენ ავიღო გეზი“?—გავიფიქრე, და მყისვე ხევის პირად, მახლობელ სერზე ჩვენმა ქვემეხებმა დაიჭექეს. ტანთ გამაჟრჟოლა, ლურჯა შევატრიალე და იქითკენ მიუშვი.

ნაშუადღევის ოთხ საათზე ომი დასრულდა. ოსმალნი უკუიქცნენ და ჩვენმა ჯარებმა მისდიეს. ბატარეამაც წინ წაიწია. სწორედ იმ მდინარისა, ტირიფებსა და ვერხვის ახლოს დაბანაკდა, რომლის ქვეშაც მე ასკერი მრეკალი.

როცა მზე მთის იქით ჩავიდა, ამბხნაგები, ნიკო ცხომელიძე, სანდრო ხოტივარი, და გიორგი ნახუცრიშვილი მოკლული ასკერის სანახავად წავიყვანე.

მდინარის ტირიფებიან ნაპირს დავყევით და ტყის ახლოს, მოშიშვლებულ მინდორზე განმარტოებით მდგარ ვერხვისაკენ გავსწიეთ. სიპიანი კალაპოტი შეგვეყარა და ჩქერებმა კინაღამ არ წაგვიღეს. ნიკო და გიორგი სიცილ-ხარხარით გავიდნენ ნაპირზე. ვერხვს რომ მივუახლოვდით, გულისძგერა ამივარდა. ვლელავდი.

ვერხვის ქვეშ, მინდორზე პირქვე ჩამხობილი ასკერის გვამი ეგდო. ცალი ფეხი მოჰკეცოდა, ხელები გაეშალა და მოკრუნჩხული თითებით ბალახი ისე ჩაებღუჯა, თითქო დედამიწას ჩაჰკვრიაო. სანდრო ხოტივარმა ოსმალური კარაბინი აიღო და გასინჯა:

— მშვენივრად მოვლილი კარაბინია.—სთქვა მან. მე მუხლებზე დავეშვი და ასკერის შესივნებული თავი დავათვალიერე. ყურის ძირში ნატყვიარი ნაჭდობივით აჩნდა. ზედ სისხლი შეჰხმობოდა. იქითა მხარეც არ გაუგლეჯია ტყვიას და ისე გასულა.

— Чисто сработано! (სუფთად გიმუშავნია), — შემიქო გასროლა სანდრომ.

ნიკომ ასკერის გვამი გადმოაბრუნა. ახოვანი ვაჟკაცი იყო. წვივებზე გერმანული ჭამაშები ეცვა და ტანზე გერმანულივე ქურთუკი ემოსა, საკისფერი და გასისხლიანებული. ზურგზე ტყავის ჩანთა ეკიდა და ამიტომ ზედ გულაღმა დაწოლილს მაღალი მკერდი ამობორცვოდა. მხოლოდ თავი დედამიწისაკენ გადავარდნოდა. უწვერულ ულვაშების ღინღლზე ეტყობოდა, რომ ჭაბუკი იყო. მისი ქუდი იქვე ბალახებში ეგდო. დახუჭუჭებულსა და გიშერივით შავთმას ქარი უნიავებდა. მაღალი შუბლი ჰქონდა, არაბივით შავი, მზეზე გატრუსული და ლამაზი სახე. მწერებმისეული სქელი ბაგეები გახსნოდა და იქიდან თოვლივით თეთრი კბილები გამოკრთოდნენ. ოდნავ გაღებული, უსიცოცხლო და სიკვდილის სუნთქვით დაორთქლილი გუგების ზოლი უჩანდა, იქედნურად მაცქერალი და ტანჯვით სავსე. ხშირი წარბები ტალახში ამოსვროდა.

გალიპოლიის მსროლელი ლეგიონის ჯარის-კაცია! — დაიძახა ომში ნათრევმა სანდრომ.

„საიდან სად მოსულა!“ — გავიფიქრე მე.

ძლიერ შემეცოდა მოკლული ჯარისკაცი და რატომღაც მხატვარის ალმა თადემას სურათი მომაგონა: „უკანასკნელი ეგვიპტური დასჯა“, რომელშიაც ფარაონის პირმშოს დალუპვაა გამოხატული. დედას მკვდარი შვილი კალთაში ჩაუსვენებია. ჭაბუკის გადაგდებული თავი იქვე ჩამჯდარ ქალს მუხლებზე უძევს. ფარაონის სიყრმის შვილის ღიათ დარჩენილი თვალების გუგა, გაპობილი სქელი ბაგები, თეთრი კბილების კრთომა და შავგვრემან ლამაზ სახეზე ალბეჭდილი ტანჯვა, — ყოველივე ეს მაშინვე მომაგონა ასკერის სახემ. ხოლო აქ არსად სჩანდა სფინქსივით დადუმებული დედის მგლოვიარე სახე, ცრემლიან მის თვალთა მისტიური ჭვრეტა და არ ისმოდა ეგვიპტურ საკრავთა უცნაური და კაეშნით სავსე ჰანგები.

— კორნელი, შენ უკვე აიღე გრიგოლ მეგრელიშვილის სისხლი! — ჩამჩურჩულა გაფითრებულმა ნიკომ. შევკრთი. სულ არ მოველოდი მაშინ ამ სიტყვებს.

— ერთი როდი კმარა. — უპასუხა ჩემს მაგიერ სანდრომ.

— იქნებ ესეც სტუდენტი იყო, ვინ იცის! — მივუგე მე. ჭაბუკ ასკერის თვალი ავარიდე და მდინარისაკენ გავიხედე.

მზე ჩადიოდა მთის იქით. მთის თავზე ქოჩორივით დამდგარ კენწეროების ნაჩრდილევში ალისფერი ცის დასავალი ილანდებოდა. ხევში მდინარე ხმაურობდა. მთიანსა და ტყით დაფენილ არემარეს აღვიძებდა. მდინარის ნაპირთან თმაგაშლილი, მოტირალი ქალებივით ჩარაზმული ტირიფების ტოტები ზანტად ირხეოდნენ, ხოლო კენწეროზე შემომჯდარი ჩიტი გულდაგულ უსტვენდა მხიარულსა და უცნაურ ჰანგზე. მასთან მეორე ჩიტი მიფრინდა. ჟივილით მიეგებნენ ერთმანეთს. პატარები და ჩია ტანის ჩიტები იყვნენ — იქნებ ცოლქმარნი — მესკია, სკვინჩის ოდენები, მაგრამ სულ სხვაგვარი, უცხო და ფერადფერადი ჯუბა ემოსათ და შემეცოდა მშვენიერ და გულგრილ ბუნების წინაშე მკვდარი ჭაბუკი.

სანდრომ ასკერის შაშხანა გადმომცა.

— წაიღე, კორნელი, შენი ნაალაფევი! — წამოსვლის წინ ისევ დავხედე ამ ალიონზე ჩემს მიერ მოკლულ ჭაბუკს: უძრავად იწვა, თითქო მშვიდად სძინავსო.

„ალბათ გრიგოლ მეგრელიშვილიც ასე იწვა მდინარე ფოცხოვის პირად, თავის ტყვიამფრქვევთან, თურქების მიერ განგმირული“ — გავიფიქრე მე და მაშინვე მრისხანედ დავიძახე:

— გრიგოლის სანაცვლო იყოს, ბიჭებო!

— ამინ! — დამიდასტურეს ერთხმად მეგობრებმა, შაშხანები გადაიკიდეს და ბატარეისაკენ გავსწიეთ.

მდინარეს რომ მივაღწიეთ, უკან მოვიხედეთ: ღრუბლიან დასავლეთიდან გამოსროლილი, ძალაგამოლეული მზის სხივები ვერხვის კენწეროს და ტყეს მკრთალად და რაღაც უცნაურად აშუქებდნენ, თითქო მზე კი არა, მთვარე აშუქებსო.

„მკვდრის მზე“! — დავიძახე მე.

ნიკო და სანდრო ვერხვის კენწეროს განცვიფრებული მიშტერებოდნენ.

---

იოსებ ნოდეშვილი

# უსახელო ყვავილი

ლეილას.

დაილოცა საქართველო
ზღვიდან სერით სერამდი...
ყვავილები, ყვავილები,
თეთრი, ათასფერადი.
ვკრიფე, მაგრამ
რა დაჰკრეფავს,
რა თითები ეყოფა !?...
ჰყოფილიყავ, წყება-წყება
გულზე დაგეყრებოდა.
კეკლუცებმა თითქმის მთელი
ველი შემომატარეს.
ვკრიფე, ბევრი შენს ბაგეებს,
შენს თვალებსაც ვადარე.
მხოლოდ ერთი პაწაწინა
ოქროსფერი ყვავილი,
ვით ჩუქურთმა ოპიზარის
ხელით გამოყვანილი,
სულ შენ გგავდა, ნაირფერად
ველად ჰფენდა სინათლეს,
მოვინდომე მისი ცნობა
და სახელიც ვინატრე.
ვინ მეტყოდა?.. საბაც ვსინჯე
ქართულ სიტყვის თილისმა,
ვერც მან მითხრა, ვერც ყვავილმა,
ვერც ნიავმა დილისმა.
ვდუმდი. ჩემს წინ გაზაფხულის
შუქათ ამოყვანილი,
ირხეოდა, ციმციმებდა
უსახელო ყვავილი.
... ბოლოს ასე პაწაწინას,
ბოლოს ასე უცოდველს,
დავაკონე ბაგე ფრთხილად
და ლეილა ვუწოდე.

შალვა გოგზალიშვილი

# ვაჟა-ფშაველას—„სად არის პოეზია“ და „რამე-რუმე“

ქართული პოეზიის სიამაყეს, დიდ მგოსანს ვაჟა-ფშაველას ბელეტრისტულ თხზულებათა გარდა აქვს პუბლიცისტური ხასიათის მრავალი წერილები, რომლებსაც თავის დროზე აქვეყნებდა პერიოდულ პრესაში.

ვაჟა-ფშაველა ამ წერილებში ეხებოდა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს. საგულისხმოა, რომ ასეთი ხასიათის წერილებში ყველა არ ყოფილა დაბეჭდილი და გამოქვეყნებული თავის დროზე. მათ გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ვაჟა-ფშაველას შეხედულების გამოსარკვევათ, საერთოდ, პოეტის მთლიანი სოფლმხედველობის ყოველმხრივ გაშუქებისათვის.

ქვემოდ დაბეჭდილი წერილები ვაჟა-ფშაველას გამოუქვეყნებელ ნაწერებს ეკუთვნის. პირველ წერილში — „სად არის პოეზია“?, ის ეხება პოეზიის განსაზღვრას და მის დანიშნულებას: სად არის და ან რა არის პოეზია? ამ საკითხზე ვაჟა-ფშაველა იძლევა მისთვის ჩვეული მჭერმეტყველობით, თავის შეხედულებას პოეზიის დანიშნულების შესახებ.

აქ წარმოდგენილი წერილის—„სად არის პოეზია?“-ს ავტოგრაფი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდში №5317-ით, იგი ნაწერია თაბახის 4 ფურცლის 7 გვერდზე (ზომით 35,3. 22,2). წერილი დაუმთავრებელია.

მეორე წერილის—„რამე-რუმე“ ავტოგრაფიც დაცულია საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების იმავ S ფონდში №5317-ით. ავტოგრაფი თაბახის 2 ფურცლის 4 გვერდზეა ნაწერი (ზომა 35,3. 22). წერილი დაუმთავრებელია და ეხება მწერლობის მნიშვნელობას, დანიშნულებას და როლს საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის. ხელნაწერი დაზიანებულია.

**ვაჟა-ფშაველა**

## სად არის პოეზია?

აი საკითხავი, რომელზედაც მე ჩემს თავსვე უნდა მივცე პასუხი. თქვენ, მკითხველო, ნება გაქვთ თქვენებურად გესმოდეთ პოეზია. ხოლო მე კი ნუ დამძრახავთ იმისათვის, რომ ჩემი აზრი თქვენის წინააღმდეგი გამოდგეს. რა უყოთ? ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის ცოლი. არ არის ადვილი

ამის გარჩევა, ამ საგნის ყოველმხრივ გამოკვლევა, მაგრამ ჩვენის შეძლების და გვარად მაინც უნდა შევიძლოთ. სირცხვილიც არის კაცი ხალხს ემსახურებოდეს და მისი ძალა და ვითარება კი არ იცოდეს, არ ესმოდეს: კაცი მგოსნობდეს და თავისი სამგოსნო საგანი, პოეზია არა ჰქონდეს შეგნებული... თუმც კი ხშირად ისეც ხდება, უფრო მდაბიო ერში რომ მოლექსე, პოეტური ლექსსა სთხზავდეს და პოეზიის სწავლა-მოძღვრებისა კი ინჩიც არ იცის, იმას მხოლოდ სუნი, ალღო ამოქმედებს. მე მდაბიო კაცებზე არცა რას ვამბობ: იმას ეპატიება კიდეც, მაგრამ ინტელიგენტს მგოსანს არ უნდა ვაპატიოთ ეს უცოდრობა. ამ თავითვე მინდა გამოგიტყდეთ არც ერთი კრიტიკოსის თეორიით არ გახლავართ შებოჭილი, კიდევაც რომ ვიცოდე რამ ამ თეორიებისა, ამ ჟამად, ამ წერილის დროს ყველა ისინი თავიდან მოშორებული მაქვს. ეს იქნება თქვენც შეამჩნიოთ ამ ჩემს წერილს. მე მხოლოდ ჩემი საკუთარი დაკვირვება უნდა გავიზიაროთ. იქნება უხეირო უმარილო, უმადლოც გამოდგეს იგი; არ ავხირდები და არ ვიტყვი, უსათუოდ ბაჯაღლო-ოჭრო იქნება მეთქი. ჩემი საკუთარი დაკვირვება ხომ მაინც იქნება, ამით მაინც დავაკმაყოფილებ ჩემს თავ-მოყვარეობას. როცა რომელსამე ლიტერატურულ ნაწარმოებს ვკითხულობთ რამდენიმე კაცი ერთად, ვთქვათ ექვსი, ამათგანმა, შეიძლება ხუთმა დაიწუნოს და სთქვას: „სად არის იქ პოეზია?“ ხოლო ერთმა დაინიჟოს „მშვენიერებაა“. წინააღმდეგიც შეიძლება მოხდეს: ერთის დაწუნებული ხუთმა მოიწონოს. ან ექვსი შუაზე გაიყოს. ერთი სიტყვით % გამოანგარიშება ძნელია. უნდა მხოლოდ ისა ვსთქვათ, რომ ყველა მათგანი, დამწუნებელი და მომწონებელიც, ვიდრე რაიმე საპოეზიო თეორიას მოიგონებდეს და მის თანახმად ასწონიდეს თხზულებას, საკუთარი გემოვნებით, სუნით, ალღოთი ხელმძღვანელობს. რუსეთის მგოსანს ნეკრასოვს დღესაც რამდენი ჰყავს თაყვანისმცემელი, რამდენი საუკეთესო რუსეთის ჟურნალები აქებ-ადიდებდნენ მას. და ამას წინად, ხომ მოგეხსენებათ დიდებულმა რუსმა მწერალმა, გრაფ ტოლსტოიმ იგი „ყოვლად უნიჭო პოეტის“ სახელით მონათლა; ივივე დღე დააწია პოლონსკის, ფეტს „ოტჩეს-ტვენი ზაპისკების“ საყვარელ მოლექსეს, ნადსონს. მაშასადამე, აქ რაღაც საიდუმლოება იმალება, რომელიც უნდა გავქექოთ, გავარჩიოთ, გავცხრილოთ. გრაფ ტოლსტოი მართლა ტრეტიაკოვსკი ხომ არ არის, რომ მისი სიტყვა ერთის ყურში შეუშვათ და მეორეში გავიცილოთ: მისი სახელი უფრო დიდია, მის დიდებულ ნიჭს მტერ-მოყვარენიც კი ვერ უარყოფენ და მაშასადამე მის აზრს, შეხედულებას ამა თუ იმ მწერალზე უნდა დაუკვირდეთ, უნდა გულში ჩავჭიდოთ და ზემორე მოყვანილ მაგალითსაც ისე შევხედოთ... **გულდასმით მოვეპყრათ.** ეს თავისთვინ იყოს, ჩვენში რამდენი განათლებული ვეყავს იმ აზრის მქადაგებელი, პოეზიამ დღე მოჭამა, მას მომავალ კაცობრიობის ცხოვრებაში ადგილი აღარ ექნება, მის ადგილს მეცნიერება დაიჭერსო. ამ აბდა-უბდა გადასკუპდას, ნუ დაივიწყებთ, განათლებული კაცი ამბობს. სირეგვნე და სისულელე მეტი-ღა იქნება?! ამ მოძღვრების მიმდევარ კაცს, თქვენვე იფიქრეთ, რა დაფასება უნდა შეეძლოს ლიტერატურული ნაწარმოებისა, სით რას გაიგებს პოეზიის თავსა და ბოლოს, როდესაც არ იცის მის საფუძველი, მისი ვინაობა, მისი სისხლი და ხორცი, მისი დამოკიდებულება ადამიანის ბუნებასთან.

ჰკითხეთ რა საფუძველი აქვს ამისთანა მსჯელობისა? ჰკითხეთ კი არა, უნდა დაჰნაძლევდეთ და როგორ, ჯერ უნდა ჰკითხოთ, მდაბიოდ რაში გამოიხატება ყოველივე ადამიანის პოეტური მხარე? ისე რეგვენი როგორ უნდა

იყვეს არ გიპასუხოსთ, რომ ყოველივე მოძრაობა ადამიანის სულისა—სიმხიარულე თუ მწუხარება გამომხატველია ადამიანის სულის პოეტური თვისებისა. თუ ამაში დაითანხმეთ, მოგებული ხართ, თუ არა სულ ხელი აიღეთ და მოშორდით ისე, როგორც მე ვარ მოშორებული და დაშორებული იმათზე და არცა მაქვს აზრად ამ ჩემის წერილით ამისთანა მეცნიერების უმეცრებას რაიმე წამალი დავდო. განა ეწამლება-ღა ამისთანა ადამიანს, რომელიც მომავალს კაცობრიობას დღესვე სამარეს უთხრის, უმზადებს? მთელი კაცობრიობა უსულო საგნად, ხე და ქვად უნდა გარდაქმნას, არც სიმწარე აგრძნობინოს სიცოცხლისა და არც სიტკბო? მართლაც რა საბრალო იქნებოდა კაცობრიობა და მისი ცხოვრება ამ დედა-მიწის ზურგზე, რომ გამოთაყვანებული თეორიების მთხზველების გეგმაზე მიმდინარეობდეს?!

მაგრამ არა. ბუნებას და ცხოვრებას თავისი საკუთარი წესი და რიგი აქვს და ჩვენი თეორიები მას ვერ შეუშლიან არჩეულ გზაზე სვლას. განა მთელს კაცობრიობას კი ძალ-უძს, ერთს და ოცს ადამიანს არ ვიტყვი, თუნდ ზაფხულიზამთრად გარდაქმნან — ან ზამთარი ზაფხულად? მზისა და მთვარის ჩასვლა-ამოსვლის ვადა შესცვალოს თავის სურვილისამებრ?! იქნება ეს კი შეიძლოს ოდესმე კაცობრიობამ, მაგრამ თავის ცოცხალის თავით ყოველად შეუძლებელია მან გრძნობა დაკარგოს სიყვარულისა და სიძულვილისა. ჰყოს უარი სიცოცხლე, ცხოვრება. თავი და ბოლო პოეზიისაც სწორედ აქ არის.

შეიძლება განა ცოცხალმა ადამიანმა არ იტიროს, არ იცინოს, ან არ იმღეროს. მდაბიოდ რომ ვსთქვათ, პოეზიაც აქ არის, ვინაიდგან ყოველივე ეს სულიერი მოძრაობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გრძნობაზეა დამოკიდებული. ცოცხალი ადამიანი და უგრძნობელი არ ვიცი რა უნდა იყოს?! უსულო საგანი თუ იქნება გაქვავებული, გახევებული ან როგორ იმოძრაოს ადამიანმა უგრძნობელად? — მე ვეღარაფერს ვიტყვი. თქვენ თითონ განსაჯეთ. ასეა, რას იზამს კაცი, როცა ჩიტი-ჩიკია მეცნიერებთანა აქვთ საქმე. დიაღ, სწორედ ჩიტირეკიებთან და მასთან ჯიუტებთან, რომელნიც ორჯელ-ორზედაც, თავის თავის დასამძიმებლად და თავიანთ, ვითომდა მეტის-მეტ მეცნიერების დასამკვიდრებლად უბირის ხალხის შორის აიხირებენ, აიხირებენ ექვსია და არა ოთხიო. იმის მეტს, რომ ყური არ უგდოს იმათ...

ბოდიშს ვითხოვ მკითხველთან, რომ უკოდინარ მეცნიერებზე საუბრით გავაბანდე მისი ყურადღება და არჩეულ საგანზე გვიან ვიწყებ საუბარს.

## 2.

სად არის, ან რა არის პოეზია? აი ჩვენი მსჯელობის საგანი... არის უცვალებელი კანონი ბუნებისა, არის მასში თავისებური ჰარმონია. ბუნებას თავისივე კანონი აქვს კაცთა ცხოვრებისათვის დამყარებული, რომელიც არის დამოკიდებული სხვადასხვა პირობაზე, მიზეზზე, იგი ბუნებამ შექმნა. სხვადასხვა ჯიშისა და გვარის არა მარტო ცხოველნი და მცენარენი, არამედ თვით ერთსა და იმავე ჯიშისა და მოდგმის ცხოველნი განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. მთელი კაცობრიობა, ჩვენის პლანეტის მცხოვრებნი, რამდენიმე მოდგმად განიყოფებიან და ხოლო მოდგმანი — ერებად. ყოველივე ერი შესდგება ადამი-

ანებისაგან, რომელნიც განირჩევიან ისევ ერთი-ერთმანეთისაგან სახიერებით, გონებრივი და სულიერი თვისებით. . საერთო თვისებაც სუფევს მათ შორის და არა მარტო ერთი ერის ინდივიდებში, არამედ მთელს ხმელეთის მცხოვრებთაც შეგვიძლიან უპოვნოთ საერთო რამ, აი თუნდ, მაგალითად, სიყვარული სიცოცხლისა და მწუხარება სიკვდილისა გამო, გრძნობა სიყვარულისა და სიძულვილისა! ბუნება ყველა ადამიანს ერთნაირად არ გვიყვარს, ხოლო მისი მოძულე ძვირად მოიპოვება ადამიანთა წრეში. თვით ბუნებასთან მებრძოლი მიწის მუშა, ბევრნაირად მისგან შეშინებული და დაჩაგრული, დაქანცულ-დაღალული სიამოვნებით გადაავლებს თვალს ახლად ამოსულს იას, გაბზინებულს ტყეს — უხარიან რომ ზაფხული მოდის. შვების მომცემია ნივთიერად—გრძნობა ცხოველური, მაგრამ იდეალური მისწრაფებაც არის აქ დართული, უყვარს და მოსწონს სადღაც ეს ველური ნაზი ყვავილი, იგი არც საჭმელია, არც სასმელი, თუნდ სასიამოვნო სუნი არა ჰქონდეს. ჩვენ მაინც მოგვწონს იგი, თვალს უყვარს, გულს ესიამოვნება მისი ნახვა, ცქერა, ხოლო განვითარებულს აზრიან კაცს იგი სხვა ბევრს რასმე მოაგონებს იმის და მიხედვით, რამდენადაც იდეალისტია კაცი, რამდენად სულიერად მდიდარია იგი.

ნუთუ ია ბუჩქებით და ეკლებით დაჩრდილული არ მოგვაგონებს დაჩაგრულს სიმართლეს? ეს მცენარე კაცთაგანს არავის დაურვავს, არც მოურწყავს და ისე არ მოუყვანია, მას ბუნება ზრდის, იგია, მხოლოდ მისი მშობელი დედა; — მზე ათბობს — ეს ლულაა, მაინც კი ლამაზია ამ ბუნებრივობაშია დამალული მისი შვენიერება. სრულიად სხვაა მაღალი მთა თხემით ცად მიბჯენილი, ის ამაყია, დიდებული, შეუპოვარი, მიუკარებელი, უკადრისი არავის თავს არ დაუყადრებს, მსოფლიოს ავ-კარგს როგორც უშუალო რამ მასხრობას. ეს თითქოს მზემაც იცის, წინდაწინ თავის სხივებს იმას მიაფრქვევს.

უცხოს ქვეყანაში რომ მივიდეთ ჩვენ, კაცთაც ასე ვიცით, წინ და წინ იმის სანახავად წავალთ, ვინც ამ ქვეყანაში გვეგულება და გვიყვარს, მზეც ყოვლისა უწინარეს მთას ესტუმრება სადარბაზოდ, რადგან მთა ყველაზე მაღალია, ყველაზე დიდებული, რასაც კი ლიბო უდგა დედამიწის ზურგზე.

მეწყერის დროს დიდი და პატარა მირბის აღქაფებულის მდინარის სანახავად. ხოლო თუ გასვლა გვინდა ამისთანა მდინარეზე, მაშინ კი გვეწუნება, ვწყევლით მას, ვუჩივით.

გარეშე ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრებისა არ არის პოეზია: ვისაც კარგად ესმის ბუნება და ცხოვრება თუნდა ლექსებსა, დრამებს, რომანებს არ სწერდეს, მაინც პოეტია. არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასახელოთ, რომ მსგავსი თვით ბუნებაშიაც არ მოიპოვებოდეს. ბუნებაში ვხედავთ ძლიერების წარმომადგენელთ: ლომს, ვეფხს, არწივს. ჩვენს საზოგადოებაშიაც არიან ისინი, მხოლოდ ალმოჩენა უნდა. ლომის სურათი რომ გვიყვარს და არა ნაკლებ მასზე ლომ-კაცისა მოგვწონს... აგრეთვე არწივის და ვეფხის მსგავსი ადამიანი. მოგვწონს ესენი თუმც კეთილს ძალიან ცოტას წარმოადგენენ თავის ვინაობით და მხოლოდ იმით მოგვწონს, რომ გამომხატველნია პირადის ძლიერებისა, როგორც კაცთა საზოგადოება გვაძლევს მარტოოდენ მავნებელს ადამიანს, — წევრს, აგრეთვე ბუნება, სხვადასხვა გესლიან ქვე-წარმავალთ, რომელნიც ჩვენ გვეზიზღება.

„დედავ, დედავ“, ტირის პაპაშვი, დედის მაძებარი და განა ყოველი ჩვილი სულდგმული ამასვე არ მოსთქვამს?! რაც უნდა განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა სჩანდეს ისევ ბუნება საერთოდ... ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია, საით, როგორ შეგვიძლიან იგი თავიდან ავიშორით, იმას გავექცეთ, დავემალნეთ?! ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიც.

კაცთა ცხოვრებას ჰყავს მუდამ თავისი მთვარე, თავისი მზე, გარდა იმათი, რომელნიც ციდან დაგვცქერიან. თანამედროვე დიდებული კაცი მხოლოდ ვარსკვლავია, ხოლო მზენი და მთვარენი წარსულ დროთა და საუკუნეთა წყვდიადიდან გვინათებენ. ეს დიდებულნი გვამთა კრებულია. სიყვარული ხელად ჰქმნის ადამიანს, ამოქმედებს: ტარიელი დაეძებს ნესტან-დარეჯანს, შეჯერებულია მისგან ყოველი კუთხე ქვეყნისა, არაფერს ჰზოგავს იგი ამ მიზნისათვის, თავი აქვს გადადებული, ათასნაირ საშიშროებაში ვარდება, თავისი თავი, თავისი სიცოცხლე მსხვერპლად შეუწირია საყვარელი საგნისათვის, მხოლოდ გარემოება უწყობს ხელს, რომ არა კვდება ტარიელი საგნის ძიების დროს.

ყველა დიდებული ტიპები, რაც კი შეუქმნიათ დიდებულ მგოსანთ, დიდებულ მწერალთ, ყველა იმათ საერთო ხასიათი-თავდადება, შეუდრეკელობა, სიმტკიცეა იმაში, რა აზრითაც გამსჭვალულან, რა გრძნობასაც შეუპყრია იმათი არსება. ისინი ერთსა და იმავე დროს თვალ-ხილულნიც არიან და ბრმანიც. ამ პატარა არსებას—ადამიანს თითქოს მთელი ბუნება თავის ვინაობაში მოუთავსებია... ნამდვილად ასეა, დიდება და სახელი მწერალს რომ ეს შეუნიშნავს. თვით ბუნებაც ასეთივეა: იგი თვალხილულიც არის და ბრმაც ერთსა და იმავე დროს. ვხედავთ კარგად, ბუნებას რომ თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება? მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს. მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრად აღემატება... ყველა დიდებული ადამიანი თვით ამ ბუნებას ჰგავს ღირსებით და ნაკლით.

აბა კარგათ დაუკვირდით ლამანჩელ აზნაურს დონ-კიხოტს, შეადარეთ თვით ბუნებასთან, რამდენს მსგავსებას ჰნახავთ მათ შორის. რა არის თვით ბუნება, თუ არა იგივე დონ-კიხოტი, რომელიც თავდაუზოგავად ჰლელავს, იბრძვის, მიისწრაფის ერთხელ არჩეულ აჩემებულ გზაზე თავდაუზოგავად? აზრი მაღალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ შეცდომაც ბევრში მოსდის, უნაკლო არც იგია. რამდენადაც ნიჭიერია მწერალი, რამდენადაც მაღალი და დიდებულია მისი გრძნობა, გონება, იმდენად სავსებით ჰხატავს იგი ბუნებას არჩეულ ტიპის მეოხებით, შეექსპირი იმიტომ არის დიდებული ყველა მგოსანთა შორის, რომ ბუნება სავსებით გამოსჭვირის იმის ნაწერებში. ამ მხრივ შეჰხედეთ საგანს, ვნახოთ, თუ არ დამეთანხმებით. შეადარეთ ავრეთვე ყველა გენიოსთაგან შექმნილი ტიპები. დააკვირდით რამდენი მსგავსებაა მათ შორის..

3.

ჩვენი ცხოვრება სრული გამომხატველია ბუნებისა. ყველა ის, რაც ბუნებაშია, დამოკიდებულება ცხოველთა შორის, მცენარეთა, ცისა და დედამიწის შორის წყალსა და ჰაერთან, ყველა ეს ჩვენ კაცთა შორის ხდება.

როცა ცა ილრუბლება, მინამ ჭექა-ქუხილი ასტყდება, ყველა სულიერი ძალა უნებურად მწუხარებასა ჰგრძნობს.

კაცთა ცხოვრებაშიც არეულობა, რევოლუციები, მწუხარებით დაწყებულა, როგორც ცაზე ჭექა-ქუხილი.

ვინც ბუნების ავი და კარგი შეიგნო, იმას არ გაუძნელდება ცხოვრების ვითარების გაგება. მხოლოდ უნდა მწერალი უყურებდეს ცხოვრებას, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ბუნების თვალებით.

კაცთაგან გამოთქმულია ეს სიბრძნე: „ისა სჯობს მამულისადა შვილი რო სჯობდეს მამასაო". გაუკეთესება ცხოვრებისა მხოლოდ მაშინ შეიძლება, რასაკვირველია, როცა შვილი უკეთესი იქნება მშობელზე, მეტს ჭკვას, მეტ ენარს გამოიჩენს.

ბუნებაც ხომ ამავე სიბრძნეზეა დაფუძნებული, ამ სიბრძნით ხელმძღვანელი; ასე რომ არ იყოს ყურძნის მაგივრად კრიკინას ვჭამდით, გულაბი მსხლის მაგივრად — პანტას, ნაცვლად თურაშაულისა, მაჟალოს.

„შინ რო ბალღებს შიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო". ბუნებაც ამასვე ბრძანებს და ასე იქცევა: არაფერს თავის შრომისას არა ჰკარგავს ბეწვის ტოლასაც კი, რასაც იძლევა, უკანვე მიაქვს, არ შეგვარჩენს, არც სხვა პლანეტებს უგზავნის, თავის საკუთარი ბალღებისათვის ეხარბება, იმათთვისა ჰზოგავს.

ყველაფერს, რასაც ბუნებრიობა ეტყობა: სიძულვილი თუ სიყვარული, შური, მტრობა, სიმამაცე და სიმხდალე, ქველობა თუ სიძუნწე და სხ. და სხ. და სხვ. იქ უსათუოდ პოეზიაა. ყველაფერს თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს, მიზეზი, გარემოება, მწერალს ეს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ბუნებრივ კანონს არ უმტყუნოს, წესიერება ბუნებისა დაიცვას — ისე უნდა გადმოგვცეს სურათი, რომ არა ვთქვათ — ეს ყოვლად შეუძლებელია, ეს ბუნების წინააღმდეგია... ყველა ენებას, ყველა გრძნობას თავისი ბუნება აქვს, თავისი აგებულება, საათი დაბადებისა, ხანა სიყრმისა, სიჭაბუკისა და სიკვდილისა, — ყველა ეს უნდა მხედველობაში ვიქონიოთ. იმიტომ არიან უკვდავნი ქმნილებანი უკვდავთა ავტორთა, რომ ამ წესს არა ჰლალატობენ იმ ნაწარმოებთა მთხზველნი.

რა იქნებოდა „ვეფხის ტყაოსანი", ტარიელი რომ არა ტიროდეს ნესტანისათვის, არ ილვწოდეს მის საპოვნელად, არ აგდებდეს თავს ხიფათში, არამედ ეჯდეს სრა-სასახლეში და დროებას ატარებდეს, თან ამბობდეს დაარხეინებულის გულით: „ნეტა რომ კაცმა თქვას სად გადიკარგა მეფის ასული დარეჯანიო?" დაუწყოს სხვას ვისმეს არშიყობა, ახლა სხვა შეუყვარდეს, ისიც რომ ქაჯებმა მოსტაცონ იმაზედაც ერთხელ დასწავლილი ფრაზა განიმეორის?! საღლაა მაშინ მისი დიდ-ბუნებოვანობა და მისი ბუნების მსგავსება. ჩვენ ხომ ვთქვით, რომ ყოველივე დიდებული ბუნებასა ჰგავსო, მისი ზნე-ხასიათი სჭირსო... ან რა ღირსება და პატივისცემა ექნება ჩვენგან ავთანდილს დაფრიდონს, ნაცვლად რომ არ ეშველათ კი ტარიელისათვის საყვარლის ძებნაში ხელი შეეშალათ და მისდამი სიბრალული თანაგრძნობა არ ვამოეჩინათ?!

„ვეფხის ტყაოსანში" ყველაფერი ბუნებრივია, მთელი სხეული და მისი სული და გული. უწესო, ბუნების წინააღმდეგი იქ არაფერი მოიპოვება. იმიტომ უკვდავია ეს ნაწარმოები... ვიდრე ბუნებაა თავის ძალით მმართველი კაცთა სიცოცხლისა „ვეფხის ტყაოსანიც" იქნება ჩვენთვის გონების მმართველი.

## რამე-რუმე

ჩვენში მსუბუქად უცქერიან მწერლობას, თითქოს აბუჩად აგდებული ჰყავსთ; მწერლები კიდე უსაქმო „საქმე გამოლეული“ ხალხი ჰგონიათ, მაგრამ თუ ამ საქმე გამოლეულმა, ბეჩავმა „გაუხახუნა“ ვისმე ამის მოუბარს გაზეთში, გაგიხარიან ნუ ყალყზე შედგება და ასტეხს ჰაი-ჰუის: როგორ თუ გაზეთში ჩამწერეთ, ჩემი ცუდი საქციელი გამოაქვეყნეთო! აკი არაფერია გაზეთიო?! თითქოს ბრძანებდით, უსაქმურობაა მწერლობაო?..

თუ დაიწყო და გიკბინა დაბეჭდილმა სიტყვამ ახად, უსაქმურობა კი არა, საქმიანობა ყოფილა; მაშასადამე ძალა ჰქონია, საყურადღებო რაღაც რამ ყოფილა ეს სხვადასხვა ამბებით, სხვადასხვა ფიქრით და მოსაზრებით აჭრელებული ფურცელი. დიაღ, ნუ გგონიათ, ვაჟ-ბატონებო, რომ ჩვენ ბეჩავს მჯღაბნავებს საქმე გამოგვლევია და იმიტომ ვჯღაბნით, ვწერთ, ვაწყდებით ღობე-ყორეს. არა. ჩვენ იმას ვცდილობთ ეგები სასარგებლო რამ გავაგონოთ ქვეყანას, შევმატოთ რამ მის გონებას და ზნეობასაო. ნუ თუ ეს საქმე არ არის? ნუ თუ ეს საქმე თქვენს საქმეს, რომელსაც მარტო თქვენი თავი ახსოვს, ჩამოურჩება უკან? არა მგონია. ვიცი, კარგად ვიცი, ამისთანა მსჯელობა საიდამაც მომდინარეობს და სარჩულად რაც უძევს. აი რა: ერთი გლეხი მყავს მეზობლად, რომელიც ორ დღეში ერთხელ მაინც მინახულებს ხოლმე. და ვაი ჩემი ბრალი თუ წერის დროს მომისწრო.

— შენ სწორედ, საქმე გამოგწყვეტია, კაცო, რას სულ მაგ ქაღალდებს ჩაჰლირღლიტებ-ჩაჰკირკიტებ? სუ ხომ ბალღი არ იქნები, — გაათავე, მორჩი მაგ მასხარაობას, საქმე გაიგე! მეტყვის იგი დარწმუნებით, ისე დაბეჯითებით, რომ მეც თითქოს ეჭვში შევდივარ და მართლა უსაქმურად მიმაჩნია ჩემი თავი.

საქმე არა გგონია შენ ესა?.. მაშ საქმეს რას ეძახი? ვეკითხები მე.

— სადაური საქმეა, შენს გამარჯვებას, მეუბნება ის კვლავ: ქაღალდი მელანი და იმის საქმე: საქმეს იმას ვეძახი მოხნას კაცმა, მომკოს, მოთიბოს, სახლს რამ შეჰმატოს, ცოლ-შვილს რამ არგოსო.

[რა] პასუხი უნდა მისცე ამისთანა მსჯელობის პატრონს? იმას რომ ეს-მოდეს [მწერლობის] მნიშვნელობა, ესწავლა რამ და მისმა გონებამ სწავლის გემო იცოდეს, ამას არ იტყოდა, მაგრამ, რადგან არ იცის და არ ესმის, ამბობს გულ-წრფელად სისულელეს.. ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ იმ მდგომარეობაშია, რომ ამისთანა მსჯელობას ნიადაგი აქვს და რას იზამ, კრიჭას ვის აუკრავ, ენას ვის დაუბამ, რად ამბობს?!

მაგრამ, ნათქვამია, ძველად: „ვინც რა უნდა თქვას, წისქვილმა კი ფქვასო“.

დიაღ, წისქვილმა ფქვას და მეფელეტონემ კიდევ სთქვას. მოდი და ნუ იტყვი თუნდ ამას, რომ ჩვენში მწერლობას უსაქმურობას ეძახიან, უსაქმურობა-მეტიჩრობას, არა მარტო უბირნი სოფლელნი, რომელთაც, არაფერი უსწავლიათ, არამედ ისინიც-კი, ვისაც სამი და ოთხი კლასი მაინც უნახავთ გიმნაზიისა, — გასულან სოფლად და წითელს ნუნუას მოჰსხდომიან გვერდით. ხომ მე ჩემსას არ დავიშლი და მაინც ვიტყვი, თუმც კი უხერხულს მდგომარეობაში ვარ: საწყალი მეფელეტონე, გალმა მკითხველები არიან და გაშოლმა თვითონ ბუტბუტებს! უხერხულს მდგომარობაში თუ არა ვარ, მაშ რა ჯანდაბაა: იმასა ვნატრულობ, რომ ეგები ჩვენი მწერლობა გაძლიერდეს, ნაბეჭდმა სიტყვამ მოიპოვოს ბინა ხალხის გულსა და გონებაში და ისინი-კი, ვისთვისაც

რამ იწერება, გაიძახიან: წერაზე სრულიად ხელი უნდა აიღოთო! წერაზე არა — რომელი ჭკვათა-მყოფელი მწერალი ხელს არ აიღებს, რადგან დარწმუნებულია, რომ მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრეს იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მის გონების და ცხოვრების გაუკეთესებისა. თუ სხვანი ჰხვნენ, სთესენ, ერთის სიტყვით რომ ვთქვათ, მეურნეობენ და ერს ამდიდრებენ, მწერლობა კიდევ იმას უჩვენებს, თუ ეს სიმდიდრე რაზე და როგორ უნდა იქმნას მოხმარებული, რათა ცხოვრება უფრო სარგებლიანი და ნაყოფიერი შეიქმნეს. მაგრამ მწერლობაც არის და მწერლობაც. მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას. უკეთესი ქვეყნის სამსახური მწერლობისა კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ყოველი წვლილი, ავი თუ კარგი თავის ქვეყნისა ესმოდეს, შეგნებული ჰქონდეს მისი საჭიროება და სხვებსაც შეაგნებინოს ესევე, — ყველა ავადობა, ყველა წყლულს წამალი დასდვას და, მაშასადამე, კარგი მწერალიც ის არის, ვისაც უკეთ შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს.

სიმართლე მწერლობაში ორ-ნაირად ითქმის, ამ თქმას ორგვარი ფორმა აქვს: ერთი პოეტური-ბელეტრისტული და მეორე — პუბლიცისტური. საგანი იმათი ერთი და იგივეა—ცხოვრება, მისი მოვლენანი ძველი თუ ახალი, მიზეზი ამ მოვლენათა და შედეგი. ორივენი, ვსთქვათ, ერთსა და იმავე ჭეშმარიტებას ამბობენ, ერთსა და იმავე გზას ადგანან, მაგრამ ერთის თქმა ძლიერ ღონიერია, ხოლო მეორესი თუმცა სიმართლეა, მაგრამ ვერ აღელვებს კაცის გულს და გრძნობას პირველივით. ეს ასეა იმიტომ, რომ პოეტი აზრს ტანსაცმელს ურჩევს, აკოხტავებს და ყველასათვის თვალ-გულ მისასვლელს და მოსაწონარსა ჰხდის, ხოლო პუბლიცისტი ამას არ დასდევს. პოეტი სურათებით გვესაუბრება, ტიპებსა ჰქმნის, ხშირად იდეალურს, მისაბაძავს, ისეთს ტიპებს, რომლის მსგავსნიც უნდა იყვნენ პოეტის ცხოვრებაში, რათა შეავსონ მისგან თვალში ამოღებული ნაკლი. პუბლიცისტი კი ცხოვრების მოვლენათ არკვევს და მის მიზეზებს უჩვენებს...

საზოგადოებაზე ნაყოფიერი ზედმოქმედება აქვს პოეტისაგან შექმნილ ტიპებს; პოეტური მწერლობაც მაშინ არის ღონიერი, როცა მარტო ფრაზებით-კი არაა სავსე, არამედ ვპოებთ მასში ან დაქვეითებულს კაცს პოეტისაგან დახატულს, ან დიდ-სულოვანს ადამიანს... სურათი უფრო ცხოვლად გვიდგება თვალ-წინ, ცხოვლად, როგორც მაგალითი, [რომელიც] კეთილის თვისებისაა, კეთილს აღძრავს ჩვენს გულში და. (დაზიანებულია) ზიზღს და სიძულვილს. პოეტის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია ტიპების ხატვა,—ისეთის ტიპებისა, რომელნიც უვარგისნია (отрицательные типы) და მეორე, რომელნიც საჭირონია ცხოვრების გასაუკეთესებლად (положителные типы). ამიტომ დიდი ცოდვა და ნაკლია მწერლობისა და პოეტებისა, თუ იმათ შეუძლიანთ და ვერა ჰხატვენ ახალგაზრდობის მისაბაძავს, ახალგაზრდობის აღმზრდელს ტიპებს, თვითონ მწერლობაც ამისთანა შემთხვევაში სუსტი და უმარილოა. ეს კარგად ესმოდა განსვენებულს რუსეთის გამოჩენილს რომანისტს ტურგენევს და იმიტომ ვხედავთ იმის რომანებში სხვადასხვა დროთა შესაფერ ტიპებს. რუსეთის ახალგაზრდობის აღზრდაზე, ვგონებ, რომ იმდენი ღვაწლი არც ერთს მწერალს არ დაუდვია, რამდენიც ამ მწერალმა დასდვა. თუმცა-კი ბოლოს დროს თითქოს უმტყუვნა თავის განზრახვას და ოცდაათის წლის შრომა ერთის მოთხრობით ჩაფუშა (იხ. „თავზედ ხელ-აღებული“). ივი ჰქმნიდა იდეალურს ტიპებს

და ახალგაზრდობაც იმის შექმნილს ტიპებს ჰბაძავდა და ჰბაძავს დღესაც. სიმარ-თლით რომ ვსთქვათ, ახალგაზრდობის რწმენა და აზრი თუ კი ბრალად ჩა-სათვლელია მართლა, ერთის მხრით ტურგენევის ბრალია. ერთის მხრითაო ვამბობ იმიტომ, რომ აზრის გარდა მწერლის ჩაგონებისა, თვითონაც ნიადაგი აქვს ცხოვრებაში, თვითონ ცხოვრების გარემოება გამოიწვევს ხოლმე. ამ ცხოვრების, ვსთქვათ უვარგისს მდგომარეობას ბევრი ვერ შეიგნებს, უმრავ-ლესს ნაწილს ისე ესმის, როგორც ბურანში ხმა რამე შაესმას კაცს, ამ შემთხვე-ვაში ეშველება ხალხსს, პოეტი მოხერხებულის, ოსტატურის გამოხატულობით შეაგნებინებს.

ჩვენს მწერლობაშიც შეჰხვდებით ტიპებს და უფრო კი მეცადინეობას ტიპების შექმნისას. ჰხვდებით, მაგალითად, ვაჭრების ტიპებს, მოსამსახურე-ლაქიებისას, ვაჭრის ცოლებისა, და სხვა და სხვა, მაგრამ ერთი ტიპები ნაკლე-ბად შეესაბამისებიან ცხოვრების საჭიროებას...

ლუარსაბ თათქარიძის შემდეგ, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ცხოვრების საჭიროების მიხედვით შექმნილს ტიპს ველარა ვხედავთ... სხვა ახალს ტიპს აღარ აუჩოჩქოლებია ჩვენი საზოგადოება, ღრმად აღარ ჩაუფიქ-რებია თავის ყოფა მდგომარეობაზე, მის არსებაში აღარ ატეხილა ორ-ნაირის გრძნობათა ბრძოლა, რომლის გამოც დღევანდელი უვარგისობა განედევნა და ერთი ფეხი წინ წაედგა ჩვენს თვით-ცნობას და მოქალაქობრივობას. მადლობა ღმერთს, ჩვენ ლუარსაბის ნაანდერძევი უსაქმურობა უმეცრება და კუჭის გაღ-მერთება დღეს უარვყავით, — ჩვენს თავს იმდენად არ ვამცირებთ, რომ მარტო ვსვათ, ვჭამოთ, ვთვალოთ ბუზები და ტახტზე ვიგორავოთ.—არა, დღეს ჩვენ გა-ცილებით ბევრით მაღლა ვსდგევართ ბეჩავს ლუარსაბზე, მაგრამ რანი ვართ, რას ველტვით, რა ძალი და ღონე გვაქვს გულისა და ტვინისა, მაინც კი საჭი-როა ვიცოდეთ,—უნდა აწონილი, შეგნებული გვქონდეს, საით, რაზე მივაპყროთ ჩვენი ძალ-ღონე. აი (უნდა იყოს „ამ“) შემთხვევაში ხელოვნება უნდა მოგვეშ-ველოს... ამ ჩვენის დროის საჭირ-ბოროტო კითხვას იგივე ლუარსაბ თათქა-რიძის შემოქმედი პოეტი შაეხო, თავის ახალ მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრი-ვი“ და თავისი ძლიერის მკლავით კიდევ შესძრა, მოძრაობაში მოიყვანა ჩვენი გულ-გონება და აგვაყაყანა... ნიჭიერება ეროვნულის მწერლისა იმითი გაი-ზომება, თუ რამდენად ესმის თავის ქვეყნისა და ერის საჭიროება, — მით, თუ რამდენად შეგნებული აქვს მისი უმთავრესი ნაკლი და რამდენად მადლიანად ემსახურება ამ ნაკლის შევსებას სიტყვით თუ საქმით. იმ დროს, როცა „კაცია-ადამიანი“ დაიწერა [ჩატე] ხილს ხიდზე საუბარი უადგილო იქნებოდა, ამისთა-ნა ქადაგებისათვის [ნიადე] აგი არ იყო ან მაშინ და დღესაც ბევრს „გვა-როვანს“ სწყინს, როგორ [თუ ვილა]ც გლეხის ბიჭი ჰბედავს თავადიშვილის ქა-ლის სიყვარულს და [ისიც დადებით] პასუხს აძლევს მის სიყვარულსაო. მაგრამ რას იზამ და რას იტყვი [იმის წინ]ააღმდეგ, რომ სიყვარული კაცთა მაღალ-დაბლობაზე დაფუძნებულს სიჯიუტეს არ ემორჩილება და იმას თავის საკუ-თარი კანონები აქვს, საკუთარი ფერის და ლაღის ზნისაა?! რას იზამთ, როცა ცხოვრების საჭიროება და გარემოება ამ გვარს სიყვარულს, ამ გვარს დაკავ-შირებას მოითხოვს — ეს საჭიროება თავს გაიტანს. ეს შეუნიშნავს პოეტს და კიდეც ამაშია მისი ძალა და ღონე, მას შეუნიშნავს, რომ „ჩატეხილის-ხიდის“ გამთელების აზრი ბეუტავდა ჩვენს საზოგადოებაში, მან მოაგროვა ეს სხვიები და სანთლად დაგვიდგა ბნელს ღამეში. ამგვარი, თუ შეიძლება ესე ვსთქვათ,

შაღალი ხარისხის ტიპები ღერძია ეროვნების ცხოვრებისა და სხვა წვრილმანი ტიპები კი მხოლოდ სოლებია ამ ღერძისა, მხოლოდ ერთის რომელიმე მხარეს აკმაყოფილებენ მკითხველის სულისას და ერის უმთავრესს საჭიროებაზე, ზედგამოჭრილი ტიპი-კი მთელს კაცის არსებას თხოულს პასუხს, მთელი კაცის არსებას მოიყვანს მოძრაობაში, მთელს მის გულგონების ყურადღებას მიიზიდავს. ესეთი ტიპი აზრია. იგი ბედია ერისა და იმიტომ ყველასათვის საყურადღებო, მიმზიდველი... არიან კიდევ სხვა გვარი ტიპები საკაცობრიო, როგორც მაგალითად დონ-კიხოტი და ჰამლეტი; ესენი მთელს კაცობრიობის საჭიროების მიხედვით არიან შექმნილნი, ანუ მათში გამოიხატება კანონი ცხოვრებისა. დონ-კიხოტი არის მეძიებელი სიმართლისა, ამისთვის თავ-განწირვით მებრძოლი, ხოლო ჰამლეტი ძიებისაგან მოპოებულის მსხრეველ-მრკვეველი, ანალიტიკოსი. ეს თვისება, ეს წესი საკაცობრიო საჭიროებაა, ყველა ქვეყნისა და ერისათვის მინიჭებული და არა მარტო ესპანელ-ინგლისელთა კუთვნილება. ამ საკაცობრიო ტიპებს რომ თავი დავანებოთ და ჩვენს თავს დაუკვირდეთ კიდევ ბევრი რამ გვეჭირება, ნაკლი სხვაც ბევრი აქვს ჩვენს ცხოვრებას და ახალგაზრდობას ხომ, თითქმის, საკუთარ იდეალად საყოლი ტიპი არა აქვს მწერლობისაგან მიცემული. ესეც დიდი ნაკლია და დიდი ცოდვა!

იქნება ზოგმა იუცხოვოს და სთქვას: ხელოვნებას საჭიროებასთან რა კავშირი აქვს, ხელოვნება ხელოვნებისათვის, უნდა იყოსო. მაგრამ თუ ღრმად, ჩაუკვირდებით ყველა პოეტს ქვეყნის საჭიროება აღონებს და აწუხებს, — იგი ელტვის მადლიანს, სარგებლიანს კაცთა ერთმანეთზე დამოკიდებულებას და სარგებლიანს ცხოვრებას... შექსპირი ხომ მსოფლიო — უდიდესი პოეტია და აბა კარგად დაუკვირდეთ იმის მწერლობას თუ იგი უფრო ყველაზე მეტად არა ცდილობდეს დააკმაყოფილოს ეს საჭიროება არა ერთის რომელისამე ერისა, არამედ მთელის კაცობრიობისა. ხელოვნება ქვეყნის საჭიროებას თან მისდევს. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, თვალწინ გვიძევს რუსეთის ხელოვნების მომდინარეობის ისტორია. ლომონოსოვიდან დაწყებული მწერლობა ხელოვნებით ამ ცხოვრების საჭიროების დაკმაყოფილებას ემსახურება, იყო, მაგალითად, რუსეთში დრო, როცა ევროპიულს განათლებას გარეგნად ჰბაძავდნენ ჩაცმა დახურვაში, თუ განათლებაში და ავთან ერთად საკუთარი კარგიც უარყოფილი ჰქონდათ. მწერლობამ დაუწყო ამ ნაკლს ბრძოლა თავის დროზე. შემდეგ და შემდეგ ხომ ვიცით, რა აზრიც იბადება, რაც საჭიროებაც ჩნდება ცხოვრებაში, დღესაც ხომ ესევე აზრი აწუხებს საუკეთესო რუსეთის შვილებს და პოეზიაც ამავე აზრს და საჭიროებას ემსახურება, ტყუილად ვინმე იტყვის იმას, რომ ეგ ტენდენციოზური პოეზიის საქმეა და არა ნამდვილი პოეზიისაო, მაგრამ ეს უსაფუძვლო თქმა იქნება, რადგანაც ყველა პოეტური ნაწარმოები ასე თუ ისე, ტენდენციოზურია, მხოლოდ თვით ტენდენცია სხვადასხვა ჯურისაა და ამიტომ, ადვილად ერთნაირი ეჩვენებოდა გამოუცდელს მკითხველს ტენდენციად და მეორე კი არა...

დიაღ, პოეზიისათვის სათაკილო არ არის, ერის საჭიროებას ემსახუროს და ამისათვის ჰქმნას ტიპები რეალური თუ იდეალური.

---

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲑᲐᲚᲐᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ

მთაწმინდაზე „ფიქრთ გასართველად“ ასულ ბარათაშვილს შორიდანვე ახალგაზრდა ქალის ფულსაკლავი მოთქმითი ტირილი შემოესმა. „ნეტა ვინ ქვითინებს?“ წაიჩურჩულა ცნობისმოყვარე ნიკომ და აჩქარდა.

თეირანში რუსეთის საელჩოს დარბევისას ტრაგიკულად მოკლულ გრიბოედოვის საფლავზე დამხობილი პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის უფროსი ქალი უდროოდ დაღუპულ მეუღლეს დასტიროდა. „ნინო“! „ტატიკო“* შეესიტყვნენ ისინი ერთმანეთს და წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა [1].

* *
*

ზეპირგადმოცემით ჭავჭავაძენი ხევსურნი არიან.

ხევსურეთიდან ამ გვარის უმრავლესობა კახეთში გადმოსახლებულა, ნაწილი ქართლში ცერონის-ავლევში, ხოლო ნაწილი კვ. ხევსურეთშივე დარჩენილა.

კახეთში გადმოსული ჭავჭავაძენი მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნეში გამოჩდნენ საისტორიო ასპარეზზედ და თავის გამრჯელობითა და გმირობით უმალვე შესამჩნევნი გახდნენ კახეთის მეფეებისათვის.

1726 წელს კახეთის მეფე კონსტანტინემ ამ გვარის წარმოშადგენელთ თავადობა უბოძა.

18 საუკ. მიწურულსა და 19 საუკ. დასაწყისში პრიორიტეტული იყო ჭავჭავაძიაანთ გვარის ერთერთი შტო, რომელსაც სათავეში ედგა გარსევან. იგივე დავით რევაზისძე ჭავჭავაძე.

1793 წლის 24 ივლისს გარსევან ჭავჭავაძემ, როგორც საქართველოს სრულუფლებიანმა ელჩმა ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს, რომლითაც რუსეთის ცარიზმის „მფარველობა“ დაიწყო საქართველოში.

1797 წელს პავლე პირველის ტახტზე ასვლისას გარსევანი ერეკლე მეფისაგან კვლავ გაიგზავნა რუსეთს და პავლე პირველისადმი მილოცვის შემდეგ ითხოვა გეორგიევსკის ტრაქტატის დამტკიცება და საქართველოს მემკვიდრედ გიორგის დანიშვნა.

---

* ეს შეხვედრა ეკუთვნის იმ დროს, როცა ნ. ბარათაშვილი მსახურობდა „ექსპედიცია სუდა ი რასპრავაში“.

[1]. ჩემთან დაცულ მასალებიდან.

1798 წელს გარსევან ჭავჭავაძე ისევ გაიგზავნა რუსეთს და მეფე გიორგის სახელით უკანასკნელად მფარველობა სთხოვა მონარქს.

ამ მრავალწლიანი დიპლომატიური მისიის შედეგი იყო ის, რომ 1800 წლის 18 დეკემბერს პავლე პირველმა ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ მანიფესტზე.

გარსევან ჭავჭავაძეს ცოლად ჰყავდა აგრეთვე ელჩის, ცნობილი მწერლისა და მწიგნობრის გიორგი ავალიშვილის და მარიამ ანუ მართა ივანეს ასული, რომელსაც იონა მეუნარგია ასე ახასიათებს: „მისი დროის კვალობაზე განათლებული ქალი იყო „ვეფხის ტყაოსანზე“ და ძველებურს წესზე აღზრდილი“ [2].

რუსეთის თვითმპყრობელობა დიდი ხნიდან ოცნებობდა საქართველოს ხელში ჩაგდებაზე და პრივილეგიური წოდებიდან გამოსულ ყველა იმ ქართველებს, რომლებსაც „ამ საქმის რაიმე ეკითხებოდათ“ იგი ყოველთვის უდიდესი ყურადღებითა და სიმპატიით ეპყრობოდა.

ერთი ასეთი პირთაგანი იყო გარსევანი — პაპა ნინო ჭავჭავაძისა. ამით ახსნება ის გარემოება, რომ 1786 წელს ქ. პეტერბურგში დაბადებული გარსევან ჭავჭავაძის ვაჟი — ალექსანდრე, შემდეგში ქართველთა სახელგანთქმული პოეტი მონათლა ეკატერინე მეორემ და დიდმა მთავარმა ალექსანდრემ.

ოთხი წლის რომ შეიქმნა ალექსანდრე, გარსევან ჭავჭავაძე ოჯახით ტფილისში ჩამოვიდა. რადგან იმ ხანად ტფილისში არავითარი სასწავლებელი არ იყო, მამამ ბავშვის მასწავლებლად თან წამოიყვანა ვილაც ფრანგი.

პეტერბურგიდან ჩამოყვანილი ბავშვი ტფილისშიაც სრულ ფუფუნებაში იზრდებოდა. „ბედისაგან განებივრებული ალექსანდრე, — წერს ბიოგრაფი, — თავის ფრანცუზის მეცნიერებას ისმენდა და თავისუფალ დროს დასეირნობდა პირველად მამა მისისაგან ჩვენში გადმოტანილ „კარეტით“. [3]

როცა ირანის ყაენი — აღა-მაჰმად-ხანი გამოემართა საქართველოსაკენ, ალექსანდრე პეტერბურგში წაიყვანეს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ახალგაზრდობის წლებზე მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის პოეტის მიერ 1833 წელში საგამომძიებლო კომისიისადმი მიცემული „პასუხები“.

მომყავს ერთი ადგილი ამ „პასუხებიდან“.

„ვიზრდებოდი ჩემი მშობლების მზრუნველობის ქვეშ. პირველად ს. პეტერბურგში ბამანის თავისუფალ პანსიონში, სადაც 1795 დან 1799 წლამდე ვსწავლობდი. შემდეგ შინ თბილისში ჩემ მშობლებთან განშორებამდე, მგონია 1803 წელს, როდესაც ზოგიერთ შემცდარ ახალგაზრდათა მავნე შთაგონებით შეუერთდი ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელიც მაშინ მთიულეთში არაგვზე იყო. მე მინდოდა მასთან ერთად სპარსეთში წავსულიყავი, მაგრამ ორივე შეგვიპყრეს და თბილისში მოგვიყვანეს.

ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე პავლესძემ ჩემი საქციელი, ჩემს ახალგაზრდობას მიაწერა და კეთილინება სასჯელი განესაზღვრა მხოლოდ მცირე ხნით ჩემი ქ. ტამბოვში ყოფნით, შემდეგ კი მალე პეტერბურგში მომი-

---

[2]. ი. მეუნარგია „ა. ჭავჭავაძე“ 1937 წ. გვ. 23.

[3]. იგივე წყარო გვ. 25.

თხოვეს. 1805 წელს პაჟთა კორპუსში შევედი. მე პირდაპირ კამერპაჟად მიმიღეს, მამაჩემის დამსახურებათა პატივისცემით, სახაზინო ხარჯზე. 1809 წელს გამომიშვეს იქიდან გვარდიის პოდპორუჩიკად".

ამ დროისათვის ალექსანდრემ უკვე ჩინებულად იცოდა, როგორც რუსული, ისე ფრანგული, გერმანული და ირანული ენები. 1811 წელს ალექსანდრე ჭავჭავაძე დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტ მარკიზ პაულიჩის ადიუტანტად, რომელიც მაშინ საქართველოს მთავარმართებლად იყო და მასთან ერთად ჩამოვიდა თბილისში.

იმავე წლის 7 აპრილს ქ. პეტერბურგში წყალმანკით გარდაიცვალა გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც დაასაფლავეს ალექსანდრე ნეველის სასაფლაოზე.

გარსევანის ცოლის ძმის გიორგი ავალიშვილის მიერ შედგენილი, საფლავის ქვაზე წარწერილი ეპიტაფია გვამცნობს:

„ქვე სახსოვრისა ამის მდებარეს კახეთის თავადი დავით ჭავჭავაძე, გარსევანად ცნობილი.

არ არსის არსად მოცემელმან მოქმედმან მან,
ათას შვიდას ხუთ ათ შვიდს ღმერთ მამა-მან,
ოცსა ივლისსა მშვა, ბბრწყინვე მყისვე ცამან,
თანამდებად მყო წარმხდომ საწუთრომან ამან
მიცემად მისდა აწ ესდა ხარკისამან.

მიმცუალა კვალად ათას რვაას თერთმეტს,
აპრილის შვიდსა, ბრწყინვალეს პარასკევს დღეს,
შემდგომ შუადღის, ჟამსა ნახევარ მეხუთეს.
მოხეთ ღმთისად, მხილველნო, ჰსჭვრიტეთ რა ეს,
ვინათ ყოველთად ხვედრი ესე არს ნაწეს.

თ[ავადის] გ[იორგი] ა[ვალიშვილის] მიერ" [5]

1812 წლის იანვარში, თუ თებერვლის თვის დასაწყისში ალექსანდრე ჭავჭავაძემ ცოლად შეირთო სარდლის, ივანე ჯამბაკურ ორბელიანის ქალი სალომე.

ქორწინებიდან ჯერ თვეს არც კი გაევლო, რომ კახეთში გლეხთა ცნობილმა ამბოხებამ იფეთქა, ალექსანდრე იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ახლად ჯვარდაწერილი მეუღლე და იმავე წლის 23 თებერვალს იგი მარკიზ პაულიჩთან ერთად წავიდა ტფილისიდან.

პირველ მარტს თელავში ერთმა შეამბოხე გლეხკაცმა მუხლში დასჭრა ალექსანდრე ჭავჭავაძე და ამ მძიმე ჭრილობამ კინაღამ ჭლექი შეჰყარა მას, დროზე სახელგანთქმული დოსტაქრები — თურმანიძეები რომ არ მიშველებოდნენ.

მუხლში მიყენებული ჭრილობა ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჯერ მოშუშებულიც არ ჰქონდა, როცა 1812 წლის ნოემბრის ოთხს, მის მეუღლეს შეეძინა პირველი შვილი — ნინო, რომელსაც შემდეგში თავის დასთან ეკატერინესთან ერთად გასაოცარი სილამაზითა და ტანკენარობით მოჯადოებული ჰყავდა არა მარტო ქართველები, არამედ რუსები და ევროპელებიც.

---

[5]. А. Цагарели „Сведения" вып. II 1889 წ. გვ. XXII.

სწორედ ამის შესახებ წერდა გრიგოლ ორბელიანი სალომე ჭავჭავაძეს მესამე ქალიშვილის — სოფიოს დაბადების გამო: „აქამდის ორი ქალი გვყვანდა და თითქმის პეტერბურგიდან ისპაანამდის გაგიჟებულნი იყვნენ ხალხნი“.[6]

ორივე დაჲ ნამდვილი მუზა იყო, მათ შთააგონეს გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გიორგი ერისთავს, მიხეილ თუმანიშვილს, ლუკა ისარლიშვილსა და სხვებს მთელი რიგი ლექსებისა.

ყველა ამ მწერლებს თავისუფლად შეეძლოთ გაემეორებინათ გრიგოლ ორბელიანის მიერ მოხუცებულობის ჟამს ეკატერინე დედოფლისადმი სრული გულწრფელობით მიწერილი სტრიქონი: „თქვენ გამომიყვანეთ მე კაცად, პოეტად და ახლაც თქვენ ხართ ჩემი ნუგეშის-მცემელი“.[7]

ნინოს დაბადება ჭავჭავაძიანთ სახლში დიდი ზეიმით გადაიხადეს და მეტად თავისებურათაც აღნიშნეს. იონა მეუნარგიას ცნობით: „ალექსანდრეს ქალი ნინო რომ დაიბადა, მაშინ ერთს ქვევრში ღვინო ჩაასხეს მის საქორწილოდ“.[8]

ახალდაბადებულ ბავშვს ძიძობას უწევდა ჭავჭავაძეებთან შემოხიზნული, ქვრივად დარჩენილი მათი შორეული ნათესავი. სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე გადმოგვცემს: „ჯნ. ავალოვა, ბაბუშოვის ცოლი ნინას ძიძა, ქვრივი იყო და ჩვენთან ცხოვრობდა, ხელსაქმე კარგად იცოდა“[9]

ნინო აკვანშივე დაუნიშნია ივანე ერისთავს.

იოანე მეუნარგიას გამოუქვეყნებელ „უბის წიგნაკში“ ჩაწერილი ცნობა გვაუწყებს: „ნინო ივანე ერისთავის დანიშნული იყო აკვანში, მაგრამ არ მისცა ალექსანდრე ჭავჭავაძემ“.[10]

როცა ნინო ოდნავ წამოიზარდა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის ქალის მაგივრად დასწერა ლექსი და ბავშვს ზეპირად დაასწავლა. ვინ იცის რამდენჯერ უთქვამს ბავშური ტიტინით ეს პატარა ლექსი მშობლების, ნათესავებისა და სტუმრების წინაშე ნინოს:

> არც მამასავითა მაქვს მე სხვა და სხვა ფიქრები,
> არცა დედასავით მტანჯავს უსაფუძვლო იჭვები.
> ჩემს შუბლს ჯმუხვილს ვინ ნახავს, სულ მიცინის კიჭები,
> გავიზდები, მექნება უკეთესი ნიჭები.[11]

მთაწმინდის კალთაზე (აწ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის ქუჩა), პოეტის მიერ ნაქირავებ ბინის მახლობლად მდებარე არხზე გადებული ბოგირის გადასვლისას გასული საუკუნის დასაწყისშივე ადვილად შესამჩნევი იყო კავკასიის არტილერიის უფროსის გენერალ თედორე ისაის-ძე ახვერდოვის ძვირფას ბაღიანი ლამაზი სახლი.

ახვერდოვის მეუღლე პრასკოვია ნიკოლოზის ასული არსენიევა მამით ეკუთვნოდა ძველდროიდანვე იმ სახელგანთქმულ არსენიევების გვარს, რომელმაც რუსეთს არა ერთი და ორი ცნობილი მოღვაწე მისცა (მათ შორის მ. ი. ლერმონტოვი).

---

6. გრ ორბელიანი „წერილები“ 1936 წ. ტ. I გვ. 25.
7. საქ. ცენტრარქივის საგან. მნიშვ. საქ. ფონდი საქმე №175
8. ი. მეუნარგია „ა. ჭავჭავაძე“ 1937 წ. გვ. 60.
9. იგივე წყარო გვ. 64.
10. ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი იონა მეუნარგიას არქივი.
11. Э. Такаишвили „Описание...“ 1908 წ. т. II вып. III გვ. 437, 438.

პრასკოვია ნიკოლოზის ასულს პეტერბურგში ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული. იგი წარმატებით ეწეოდა სამხატვრო საქმეს განსაკუთრებით კი ფერწერას. თავის დროზე ახვერდოვა ითვლებოდა ერმიტაჟის სურათებიდან ასლების გადმომღების ცნობილ ოსტატად, რომელსაც უფლება ჰქონდა წაეღო ისინი ზაფხულობით თავის აგარაკზე პავლოვსკში. ის სჭრიდა ხისგან და ძვლიდან სხვა და სხვა გვარ მხატვრულ ფიგურებს, უყვარდა მუსიკა და თვითონაც საუკეთესოთ უკრავდა, კითხულობდა ძალიან ბევრს და იყო ლიტერატურის საუკეთესო მცოდნე.

იონანე მეუნარგია ერთ თავის დაუბეჭდავ შენიშვნაში მასზე სრულიად სამართლიანად წერს: „...ეს პირველი ქალი იყო თბილისში რუსულად გაზრდილი“ [12].

ოჯახის დიასახლისის ყველა ამ ღირსებათა გამო, ახვერდოვების სახლი ეკუთვნოდა თბილისის სახლების იმ მეტად მცირერიცხოვან რიცხვს, სადაც განათლებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებისადმი სიყვარული ყოველთვის გულრწფელი სტუმართმოყვარეობით იყო გადაჯაჭვული.

1818 წელს პრასკოვია ნიკოლოზის ასულმა დაჰკარგა მეუღლე და რადგან საქართველოს დატოვება არ უნდოდა, სამუდამოდ დარჩა ტფილისში. ის ცხოვრობდა ქმრის პენსიითა და მამულის შემოსავლით.

ახლად დაქვრივებულმა ახვერდოვამ „გულის გადასაყოლებლად“ და მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად პატარა პანსიონი გახსნა, რომელშიაც თავისი უახლოესი მეგობრების რამდენიმე ბავშვი ჰყავდა აყვანილი აღსაზრდელად.

პატარა ნინო, შემდეგ ეკატერინე და დავითიც ალექსანდრე ჭაჭვავაძემ ახვერდოვის ქალს მიაბარა.

ამ პანსიონში იმ ხანად იზრდებოდნენ: პრასკოვია ნიკოლოზის ასულის გერი — ეგორუშკა, სახლის უფროსის ძმის შვილი — ანნა ანდრიას ასული ახვერდოვა, მარიამ ივანეს ასული ორბელიანი, სოფიო ივანეს ასული ორბელიანი, ვარინკა გიორგის ასული თუმანიშვილი, დიასახლისის ქალიშვილი — დარია და სხვები.

ხელსაქმის, ხატვის და ენების შესწავლის საქმეს განაგებდა თვითონ ახვერდოვა, ხოლო მუსიკის მასწავლებლად მას მოწვეული ჰყავდა ტფილისის კაპელმეისტერი, კომპოზიტორი ი. ა. სოკოლოვსკი, რომელიც 1830 წელს ხოლერით გარდაიცვალა ტფილისში.

რუსთაველის მიერ თინათინზე თქმული სიტყვები: „რა გაიზარდა, გაივსო მზე მისგან საწუნარიაო“, სრულიად ალალი იყო ნინოსთვისაც. გონება გახსნილი და უაღრესად ზრდილი, ხელსაქმის, რუსული და ფრანგული ენების საუკეთესო მცოდნე, ფორტოპიანოზე დამკვრელი, თან ჩინებული მომღერალი და რაც მთავარია გასაგიჟებელი სილამაზის პატრონი — ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა — ნინო სულ მალე თითით საჩვენებელი ქალი გახდა ტფილისში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრძნობდა რა თავის ქალის ყველა ამ თვისებებს, სიამაყის გრძნობით წერდა ნინოსადმი მიძღვნილ ლექსში:

---

[12]. ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, იონა მეუნარგიას არქივი.

აჰა ესე ვარდ-ზამბახნი, შენთა ელფერთ მომპარველნი, *)
წალკოტს განახენ, შვენებითა სრულ აღევსოთ ხევნარ-ველნი.
მომეგონეს სურნელება, აღმიხსენდენ ღაწვნი მკევნი.
მყის შევიპყარ და შევსული, მოგარეთ შენი განმძარცველნი.

—

ნეტარ მას, ვინცა ახლოს შენ მხოლოსათვის ოხვრიდეს,
ხმისა შენისა სმენითა ყურთა ატკბობდეს, ალხენდეს;
ბალახთშა ზოგჯერ თვისდამი საამოდ მღიბრად ხედვიდეს,
ხან ვარდთა ყნოსვით სთვრებოდეს, ხან ეკლით განიფხიზლებდეს.

—

მას წალკოტსა მშვენიერსა, სად მდელონი შენაკრბიან,
სად ზამბახნი სპეტაკობენ, სადა ვარდნი წითლად ჰღვიან,
შორის ბუჩქთა კუბიდონნი იდუმალად იმალვიან, —
მუნ არ ურჩევ სეირნობას ვისაც გულნი ეწყალვიან [13]

—

პოეტი ივანე კერესელიძე ნინო ჭავჭავაძის ამ მშვენებას ერთ თავის ლექსში ასე აგვიწერს:

შეხეთ ვინ მოვა, რა არსება, ვით მონარნარობს,
მისმან მშვენებამ განმაცვიფრა, გულს მიმდუღარებს.
თუ ვსთქვათ რომ არის ზენით მოსული იგი არსება
არც თუ მათ შორის შემინიშნავს მისი მსგავსება.

ერთი შეხედეთ მისსა ტანსა გულის წამტანსა,
საროსებრ აღზრდილს, კვიპაროზსა, წელს წვლილოვანსა,
თუ ვითა მოაქვს მონაზებით. ვით მოგოგმანობს,
ამ ბროლის მკერდით ვით სასტიკად ჰაერს მოაპობს!

სახეს უკვრიტეთ, განიცადეთ მისი შვენება,
მისი სიტურფე, სიკეკლუცე, მოწყობილობა,
თვალნი ფიალა, მათი ზეცად ამართულება
ანგელოზებრი სიმშვიდე და მოკაზმულობა...

—

იისფრად ტუჩნი პაწაწინა ვით უღვივიან;
მოხშირებითა გასაღიმად ვით მზა არიან,
სასაუბროდ ოდეს შეარყევს, სურს აღძრას ენა;
ან თუ ჩიკჩიკით ვით ნაზთ სიტყვები აქვთ პირთგან დენა;

—

აქეთ და იქით ლოყას ზილფნი ვითა ხვდებიან,
როგორ ცელქობენ, აშიკობენ, ეკონებიან!
ხედავთ ღაწვებზედ, რა ამბები გაჰქონან კავებს?
ამის მნახველი ნეტარ თავს ვინ არ ათაყვანებს!..

—

ვგონებ რომ ზენას განგებითა მოუბერია;
ჩვენდა საოცრად ეს არსება მოუვლენია!
შესაძლო არ არს, იგი იყოს კაცობრივ ქმნილი!
არა, არ მჯერა, თუ რომ არის ადამის შვილი...!!

---

*) როგორც უკანასკნელ ხანებში კოლა ერისთავის ცნობით გამოირკვა, ლექსი „აჰა ესე ვარდ-ზაბახნი“ ა. ჭავჭავაძეს დაუწერია „თავის ქალზე ნინოზე“ (იხ. ი. მეუნარგია“ ა. ჭავჭავაძე“ 1937 გვ. 64).

[13]. ა. ჭავჭავაძე „ლექსები“ 1881 წ. გვ. 85.

როგორ არა ვთქვათ, ნეტარებით, ვით არ ვყვარებდეთ;
მის მომსრბოლის შეხვედრაზე, ვით არ ვხარობდეთ!
ნეტარ მას ჭაბუკს, ვინც მაზედან არის უფლებით
ვინცა განცხრება საღმრთოისა ძლის შეუღლებით.

—

კვალად ნეტარ მას, მის სანატრელს ყმაწვილ-ქალობას,
ხშირის ხმის სმენით ვინც მიიღებს მისგნით დატკბობას
ვინცა მას ხშირად დასტრიალებს, მით აქვს გონება,
შეხარის, და აქვს თაყვანება, გულს ეკონება [14].

ნინო ჭავჭავაძე ისევ ახვერდოვის ქალთან იყო, როცა ტფილისში ჩამოვი- და მისი მომავალი მეუღლე ალექსანდრე სერგეისძე გრიბოედოვი და დასახლ- და ექსარხოსის მოედანზე ალექსანდრე ვახტანისძე ორბელიანის შენობის მახ- ლობლად მდებარე პატარა სახლის ზემო სართულის ორ ოთახში.

ამ ბინაში გაუკეთა მან საბოლოო რედაქცია თავის „ვაი ჭკუისაგან“-ს. კო- მედიაზე მუშაობის გარდა ის ჰქმნიდა სხვადასხვა სახის მუსიკალურ თხზუ- ლებებს და უკრავდა მურავიოვისაგან შეძენილ ფორტოპიანოზე, რომელიც რიცხვით მესამე იყო მაშინ ტფილისში (ერთი ედგა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ხოლო მეორე პრასკოვია ნიკოლოზის ასულ ახვერდოვას).

ყველას მიერ და ყოველთვის საყვარელი გრიბოედოვი საპატიო სტუმარი იყო ტფილისის წარჩინებულ ოჯახებისა, მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად და- დიოდა იგი გენერალ ხოვენთან და გენერალ მაიორ ახვერდოვის ქვრივთან.

დარია თედორეს ასული ახვერდოვა-ხარლამოვისა გვიამბობს: „გრიბო- ედოვი ხშირად მოდიოდა სტუმრთმოყვარე ახვერდოვებთან და ეძლეოდა მუ- სიკას. უკრავდა არა მარტო თავისთვის, არამედ იმ მრავალრიცხოვან მოზრდი- ლებისა და ბავშვებისათვისაც, რომლებიც ცხოვრობდნენ გენერლის მეუღ- ლესთან დიდ ბინაში.

ჩვეულებრივად გრიბოედოვი თუ კარგ გუნებაზე იყო და თუ ახვერდო- ვებთან ნაკლებად ნაცნობი სტუმრები არ ისხდნენ, იგი სადილობის დამთავრე- ბისთანავე ეტყოდა ბავშვებს: „Enfants, venez dansez“* (ის უმთავრესად ფრან- გულად ლაპარაკობდა), გასწევდა სადარბაზო ოთახში, მიუჯდებოდა ფორტე- პიანოს ისე, რომ ეცქირა ბავშვებისთვის, უკრავდა საცეკვაოებს თავის საკუ- თარ კომპოზიციისას. როცა ბავშვები ცეკვით გულს იჯერებდნენ გადადიოდა სხვა იმპროვიზაციებზე და ხშირად მთელ საღამოს საკრავთან ატარებდა.

სოფიო ორბელიანს ჩვეულებად ჰქონდა ძრიელ ახლო მისვლა ფორტოპი- ანოსთან ალბათ იმიტომ, რომ უფრო კარგად მოესმინა მუსიკა, ეს არ მოსწონ- და გრიბოედოვს და საფინალო აკორდის შემდეგ იგი მსუბუქად დაჰკრავდა მას ხელს წამოზნექილ მუცელზე, რაც სოფიოს გაქცევას იწვევდა ხოლმე“. [15]

პრასკოვია ნიკოლოზის ასულთან მცხოვრებ ბავშვებიდან გრიბოედოვი თავიდანვე რაღაც განსაკუთრებული თავაზიანობით ეპყრობოდა ნინო ჭავჭავა- ძეს და როგორც ხარლამოვა გადმოგვცემს „აძლევდა მას რჩევებს და მითი- თებებს მუსიკაში“. [16] ეს „თავაზიანობა“ ახალგაზრდა მოწაფისადმი მალე ტრფობად გადაექცა გრიბოედოვს.

---

[14]. ი. კერესელიძე „ლექსები“ 1878 წ. გვ. 137, 138.

*) „ბავშვებო, წამოდით ვიცეკვოთ“!

[16]. ჟურ. „Исторический Вестник“ 1910 წ. № 6. გვ. 878.

„ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის“ საჯარო აქტების წაბაძვით 1828 წელს არდადეგების დროს ახვერდოვას პანსიონის ლამაზმანების ნინო ჭავჭავაძისა და მარიამ ორბელიანის ინიციატივით, უკანასკნელის ბინაზე მოწყობილ იქნა შინაურული აქტის მაგვარი წარმოდგენა.

წარმოდგენის მონაწილე დიმიტრი ყიფიანი თავის მემუარებში ამის შესახებ წერს:

„თბილისის მაშინდელ მანდილოსანთა მცირე ჯგუფში შუქურვარსკვლავივით ბრწყინავდა ორი თავადის ქალი: ნინო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, შემდეგში მეუღლე გრიბოედოვისა, და მარიამ ივანე ორბელიანის ასული დედა ბარიათინსკის მეუღლისა.

მოინდომეს ამათ სასწავლო აქტის შინაურულად წარმოდგენა. ვის შეეძლო მოსვლოდა აზრად, რომ ქართველთა სილამაზის საუკეთესო წარმომადგენელთათვის ასეთი უმანკო სურვილი დაეშალა. რასაკვირველია, არავის.

და გამართეს აქტისნაირი წარმოდგენა. ოფიციალური მოხელეები, რასაკვირველია, წარმოდგენას არ დასწრებიან. იყვნენ სულ ნათესავები, თავადის ასულებისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ უფროსი კლასების ხუთიოდ — ექვსი მოწაფე. წარმოდგენილმა აქტმა კარგად ჩაიარა და თავბრუდამსხმელი მადლობის ღირსნი გაგვხადეს.

გაიარა არდადეგების დრომ, დაიწყო სწავლა და ღმერთო დიდებულო! სასწავლებლის მართველობამ, შიპულინის მეთაურობით თავისი უფროსული მრისხანებით უანგარიშო მეხი თავზე გადმოგვაყარა: როგორ და რანაირად? როგორ თუ თქვენ ეს გაბედეთო“?

თავის მართლება არც ერთი სიტყვით! ეს კიდევ ცოტაა: გადასწყვიტეს ამ საშინელი თავხედობისათვის ექვსივე კაცი სამაგალითოდ დაესაჯათ! გაეწკეპლათ ყველანი და გაეწკეპლათ ყველა კლასში, რომ მოწაფეებს დაენახა!

თავის მოკვლა ქართველებს სამარცხვინოთ მიაჩნიათ; მაგრამ ჩვენ მზათ ვიყავით ამისათვის, რომ მაშინდელ მნათობთა ყოველ შემძლებელი სილამაზე ენერგიულად არ გამოგვსარჩლებოდა და არ დავეხსენით“ [17].

„აქტისნაირ“ წარმოდგენაში მონაწილეობა ნინო ჭავჭავაძისათვის იყო პირველი და უკანასკნელი გამოსვლა სცენაზე.

ირანში რუსეთის მინისტრ-რეზიდენტად დანიშნული გრიბოედოვი 1828 წლის ივლისის 5-ს კვლავ ჩამოვიდა ტფილისში და დაბინავდა მთავარ მართებელ პასკევიჩის სახლში.

16 ივლისს გრიბოედოვი სადილად იყო ახვერდოვებთან. მას გადაწყვეტილი ჰქონდა გაეცხადებინა წელთა განმავლობაში ფარულად ნატარები გრძნობა ნინო ჭავჭავაძისათვის და ეთხოვა მისი ხელი. იგი ასეც მოიქცა.

რვა დღის შემდეგ ფადეი ბულგარინისადმი გაგზავნილ წერილში გრიბოედოვი ასე აღწერდა ამ ამბავს.

„ეს იყო 16-ში. ამ დღეს მე ვსადილობდი ჩემ ძველ მეგობარ ახვერდოვის ქალთან, მაგიდაზე ვიჯექი ნინო ჭავჭავაძის გვერდით. სულ მას ვუყურებდი, ჩავფიქრდი, გული ძალზე ამიძგერდა, რაღაც გაურკვეველმა ძალამ არაჩვეუ-

---

[17]. დ. ყიფიანი „მემუარები“ 1930 წ. გვ. 9, 10.

ლებრივი გამბედაობა მომანიჭა, მაგიდიდან ადგომისას მე მას ხელი მოვკიდე და უთხარი: „Venes avec moi, J'ai guelgeue chose à vous dire". *)

მან დამიჯერა ისე, როგორც სხვა დროს მიჯერებდა ხოლმე, ალბათ ეგონა, რომ ფორტოპიანოსთან დავსვამდი; მაგრამ ეს ასე არ მოხდა, დედა-მისის სახლი აქვე მახლობლადაა, ჩვენ იქ წავედით, შევედით ოთახში, მე ლოყები ამენთო, სუნთქვა შემეკრა და არ მახსოვს რას ვრობავდი, სულ უფრო და უფრო სწრაფად ვლაპარაკობდი, ის ატირდა, მერე გაიცინა, მე ვეამბორე მას, მერე დედამისთან, ბებიასთან გაველით, შემდეგ მის მეორე დედასთან პრასკოვია ნიკოლოზის ასულ ახვერდოვასთან, ჩვენ დაგვლოცეს, მთელი ღამე და მთელი დღე მის ტუჩებს არ მოვშორებივარ, მე შიკრიკი გავგზავნე ერევანში მამამისთან და გავატანე წერილი ორივე ჩვენგანიდან და მის მშობლებიდან.

ამ ხანებში ჩემი ბარგი მომზადებულ იქნა. მეორე ღამით გაურკვეველმა ყველაფერ იმაში, რაც ჩემს თავზე მოხდა ისევ ლაშჭარში გავემგზავრე, გუმბრში მე წამომეწია თავად ჭავჭავაძის პასუხი ერევნიდან, ის გვლოცავდა მე და ნინოს, და გახარებული იყო ჩვენი სიყვარულით. მე ორმაგად მზრუნველი ვიქნები ჩემი თავისა და მისი" [18]

25 ივლისს გრიბოედოვი ჩავიდა ახალქალაქში. აქ მან რამდენიმე დღე გაატარა პასკევიჩთან ირანის საქმეებზე თათბირში.

29 ივლისს გუმბრში ჩასული გრიბოედოვი წერდა პრასკოვია ნიკოლოზის ასულ ახვერდოვას: „წარმოიდგინეთ ჩემი გულის გატეხა! მოდიან ახალქალაქის ასაღებად, და აღარ არის ყარსთან მიმოსვლა. მე მივყვები საერთო დენას და ალბათ მეასედ ვტოვებ მთელ ჩემ ბარგს. როგორ ძნელია ყოველივე ეს და როგორი დამქცევი! რად არის საჭირო მთელი ეს დევნა! უთხარით ნინოს, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდება, რომ სულ მალე ორ წელზე არაუგვიანეს მე შევიქნები მემამულე წინანდლისა... უკეთილესო მეგობარო ჩემო! ელაპარაკეთ ჩემს შესახებ ნინოს ყოველთვის, რაც შეიძლება მეტი, როცა თქვენ რაიმე უკეთესის გაკეთება არ შეგეძლებათ" .[19]

4 აგვისტოს საღამოს თითქმის ექვს საათზე ალექსანდრე სერგეის-ძე გრიბოედოვი უკანვე დაბრუნდა ტფილისში.

ორი დღის შემდეგ იგი ავად გახდა ჭინჭრის ციებით. 7-ში მან საღამო გაატარა გენერალ ხოვენთან ვახშამზე, მიუხედავად იმისა, რომ თავს მეტად ცუდად გრძნობდა და სახლში მისვლისთანავე რამდენიმე ხნით ჩაწვა ლოგინში.

ნინო ჭავჭავაძემ არაფერი იცოდა საქმროს ავადმყოფობაზე და უკვირდა გრიბოედოვის გაუჩინარება. ოდნავ მოკეთებულმა გრიბოედოვმა წერილით შემდეგი აუწყა ახვერდოვის ქალს:

„ძვირფასო მეგობარო! თქვენ მე მნახეთ ჩემი გვემულების დაწყებისთანავე. ეს იყო ერთი ყველაზე უფრო მძლავრთაგანი. დღევანდლამდე გაგძელდა. პრიბელმა მომცა წამალი, რომელმაც არაფერი მარგო, რადგან შეუძლებელია, რომ ნინოს ამდენ ხანს სჯეროდეს იმ არასწორ დებულებებისა, რომლებსაც მე ვუდგენდი ჩემს გაუჩინარების მიზეზად, ამიტომ გთხოვთ უთხრათ მას, რომ მე სი-

*) წამოდით ჩემთან, მე თქვენ უნდა გითხრათ რაღაც".

18. А. С. Грибоедов „Полное собр. сочин." ტ. III 1917 წ. გვ. 220, 221.

19. იგივე წყარო გვ. 221.

ნამდვილეში ავად ვიყავი, რომ ახლა გაცილებით კარგად ვარ, თუმცა ჯერ კიდევ არ გამოვდივარ ოთახიდან და აკოცეთ მას ძრიელ ნაზად“ [20])

ამ ამბის გაგებისთანავე ნინო ჭავჭავაძემ ინახულა ავადმყოფი და მოვლა დაუწყო. „ნინო, — წერდა ადგომის შემდეგ გრიბოედოვი ბულგარინს, — არ მომშორებია სასთუმალიდან“ [21].

ავადმყოფობისაგან მომჯობინებული პოეტი ჯვრისწერის დაჩქარებას შეუდგა.

შეუღლებისათვის ხელისუფლებისაგან ნებართვის აღება იყო საჭირო. თანხმობის ქაღალდის კანცელარული წესით გაფორმებამდე გრიბოედოვმა კავკასიის მთავარმართებელ პასკევიჩს სიტყვიერი ნებართვა გამოსთხოვა და ჯვრისწერის დღედ დანიშნა ოცდაორი აგვისტო.

იმ დღეს ალექსანდრე სერგეის ძე სიპიაგინთან იყო მიწვეული სადილზე, ხოლო საღამოთი სიონის ეკლესიაში შესდგა ჯვრის წერა.

სიონის სობოროს საეკლესიო „ჩანაწერების წიგნი“ გვაუწყებს:

„Часть вторая о Бракосочетавшихся 1828 года. № 3 Число: Августа 22. Кто с кем венчался первым, вторым и третьим браком кто венчал их: полномочный министр в Персии его императорского величества Статский советник и Кавалер Александр Сергеевич Грибоедов вступил в законный брак с девицею Ниною дочерью Генерал-маиора князя Александра Чавчавадзева оба первым браком. Кто были поручители: при чем были свидетелями коллежский советник Завилеиский и титулярный советник Мальцов. Уерей Иоанн Белаев“ [22]

შეუღლების ცერემონიალის მთელ მანძილზე ციების გვრემა მოსვენებას არ აძლევდა გრიბოედოვს. ქორწინების მეორე დღეს პასკევიჩისადმი გაგზავნილ ბარათში პოეტი წერდა: „გუშინ მე ვფიქრობდი, რომ ორ პარაკსიზმთა შორის საშუალება მექნებოდა ჯვარი დამეწერა, ავადმყოფობის შემოტევის გარეშე, მაგრამ მოვსტყუვდი, სწორად იმ დროს, როცა გვირგვინი უნდა დამედგა, ისე შემომახურა, რომ კინაღამ უარი ვსთქვი შეუღლებაზე, ხოლო როცა ჯვარს გვწერდნენ, მე ფეხზე ძლივს ვიდექი“ [23]

ბეჭდების შენაცვლებისას ალექსანდრე სერგეის ძემ დაჰკარგა საქორწილო ბეჭედი, ამან უაღრესად შეაკრთო იქ მყოფნი და თვითონ გრიბოედოვიც.

ეკლესიიდან ჯვარდაწერილები, ნათესავებთან და ნაცნობებთან ერთად, რომელთა რიცხვი ორმოცდაათამდე იყო, გაემგზავრნენ ახლად ნაქირავებ ბინაზე, სადაც გადახდილ იქნა ქორწილი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე იმჟამად ბაიაზეთში იმყოფებოდა, მაგრამ მის ბრძანებისამებრ ნინოს დაბადების დღეს ქვევრში ქორწინების დღისთვის ჩასხმული ღვინო, როგორც იონა მეუნარგია გადმოგვცემს: „17 წლის შემდეგ (ნინოს გათხოვების დღეს) მოხადეს და ჩინებული ღვინო შეიქნა“ [24]).

24 აგვისტოს ალექსანდრე სერგეისძესთან იყო სადილი, რომელსაც ესწრებოდა ასი სული. საღამოს ექვს საათზე დაწყებული ცეკვა ღამის თერთმეტ საათამდე გაგრძელდა.

---

[20]. იგივე წყარო გვ. 222.
[21]. იგივე წყარო გვ. 224.
[22]. ეურ. „Огонек“ 1929 წ. № 6.
[23]. ეურ. „Дела и Дни“ 1921 წ. წიგნი II გვ. 68.
[24]. ი. მეუნარგია „ა. ჭავჭავაძე“ 1937 წ. გვ. 60.

კვირას, 26 აგვისტოს სიპიაგინმა ახლად შეუღლებულებს გაუმართა დიდი ბალი, რომელიც გახსნა პოლონურის ცეკვით ნინო ალექსანდრეს ასულთან ერთად. ღამის პირველ საათზე დაიწყო შესანიშნავი ვახშამი. სიპიაგინი თვითონ ხელმძღვანელობდა ყველაფერს, ვახშმობის მთელ მანძილზე ის არ დამჯდარა და ცდილობდა რაც შეიძლება მეტად ესიამოვნებინა სტუმრებისათვის. ვახშმის დასასრულს იცეკვეს მაზურკა. დილის ოთხ საათზე სტუმრებმა იწყეს დაშლა.

გრიბოედოვის ნათესავმა მთავარმართებელმა პასკევიჩმაც ძვირფასი ქორწილი გადაუხადა ჯვარდაწერილებს, რომელზედაც დაპატიჟებული ჰყავდა მთელი თბილისის „ბრწყინვალება", მათ შორის ქართველები და პოეტი გიორგი ერისთავიც.

გიორგი ერისთავის ბიოგრაფი გადმოგვცემს: „1828 წელს, როდესაც რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა ქალაქში, მაშინდელმა მთავარმართებელმა პასკევიჩმა, რომელიც გრიბოედოვის ნათესავი იყო, ქორწილი თავის სასახლეში გადაიხადა და ამ ქორწილზე მიიწვია ბევრი საქართველოს თავად-აზნაურნი და სხვათა შორის ახალგაზრდა გიორგიც. დანიშნულ დროზე გიორგი ქართულის ტანისამოსით მორთული მოვიდა სასახლეში და შეუდგა კიბეს, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება. კიბეზე ასვლის დროს კალთაში სწვდა მას ერთი პოლიციის მოხელე და ზალაში შესვლის ნება არ მისცა ქართულის ტანისამოსით. გიორგიმ ითაკილა ამ გვარი შეურაცყოფა და შინ დაბრუნდა. თავმოყვარეობამ ნება არ მისცა მას სხვა ტანისამოსი ჩაეცვა და ისე დასწრებოდა ქორწილს" [25]

ნინო ჭავჭავაძის გათხოვების ამბავი უცებ მოედო მთელ ქალაქს. „მთელი თბილისი,—გვიამბობს ადენლუნგი—თანაუგრძნობდა ამ შეუღლებას; ყველანი გამოუკლებლივ ეტრფოდნენ და პატივს სცემდნენ გრიბოედოვს" [26]

სიტყვა „თითქმის" გამორჩა დაემატებია ადენლუნგს, რადგან ტფილისში და ტფილისს გარეთაც იყვნენ ნინო ჭავჭავაძისადმი სიყვარულით დაწყლულებული გულის მატარებელნი, რომლებსაც ამ შეუღლებამ უიმედო ტრფობა და ურვა გაუასკეცათ.

გრიბოედოვი ჩვიდმეტი წლით უფროსი იყო თავის ცოლზე, რომელიც გაგიჟებამდე უყვარდა.

„ნინო გრიბოედოვისა, — გადმოგვცემს ბოროზდინი, — მეტის მეტი ტანადი იყო, შავგვრემანი და მშვენიერ თვალებიანი. ქმარს მისთხოვდა, როცა მისი მშვენება საესებით იყო გადაშლილი. გრიბოედოვს უზომოდ უყვარდა თავისი ახალგაზრდა ცოლი, რომელსაც „მურილიოს მადონას" ეძახდა. ამ საყვარელ არსებას ქმარი ისე უყურებდა, როგორც ბავშვს, და ამბობდა: ჩემი ვალია, რაც აღზრდა დააკლდა, მე შევუსრულოვო". [27]

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ გრიბოედოვს ყველაფერზე მაღლა, თვითონ სამსახურებრივ მოვალეობის გრძნობაზე უფრო მაღლა დაყენებული ჰქონდა უნაზესი ლირიზმით გამთბარი სიყვარული მეუღლისადმი.

1828 წლის ექვს სექტემბერს გრიბოედოვი ამის გამო წერდა პასკევიჩს ტფილისიდან: „თქვენ ამბობთ, რომ მე ძლიერ გავერთე ჩემი ქორწინებით. ნი-

---

[25]. გ. ერისთავი „თხზულებანი" 1884 წ. გვ. XX, XXI.
[26]. ჟურნ. „Русская Старина" 1874 წ. № 10, გვ. 296.
[27]. კ. ბოროზდინი „სამეგრელო" 1934 წ. გვ. 12.

ხო ჩემი ყარსი და ახალციხეა და მე შევეცადე დამესაკუთრებინა იგი რაც შეიძლება მალე ისევე, როგორც თქვენმა ბრწყინვალებამ ამდენი ციხე-სიმაგრენი დაისაკუთრა". [28]

ცხრა სექტემბერს გრიბოედოვი ცოლით და უშველებელ ამალით, რომლებსაც ერევნამდე მოყვებოდნენ სალომე ჭავჭავაძისა და ექიმი უმისსა დაიძრნენ თბილისიდან. გამგზავრებულები გააცილეს დიდის ზეიმით, უკრავდა ლეგიონის სამხედრო ორკესტრი.

რვადღიანი მგზავრობის შემდეგ ახლად ჯვარდაწერილები გამცილებლებთან ერთად ეჩმიაძინს მონასტერში მივიდნენ, რომლებსაც სასულიერო წოდებამ ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყო.

აქედან მისწერა გრიბოედოვმა თავის პეტერბურგელ მეგობარს მიკლაშევიჩის ქალს ბარათი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის უზადო სიყვარულს, ახალგაზრდა მეუღლისადმი:

„მეგობარო ჩემო ბარბალე სიმონის ასულო! მეუღლე ჩემი ჩვეულებისამებრ თვალებში მიმზერს, მიწლის წერას, იცის რომ ქალთან ვწერ და ეჭვიანობს. ნუ დამემდურებით ამდენი ხნის დუმილისათვის. მე ცოლიანი ვარ და ვმოგზაურობ უშველებელ 110 ცხენისა და კამეჩისაგან შემდგარ ქარავანით. ღამეს ვათევთ მთების მწვერვალებზე კარავებში, სადაც ზამთრის სიცივეა, ჩემი ნინიკო არ საყვედურობს, ყველაფრის კმაყოფილია, მხიარული და მომლხენი. ადგილის შენაცვლებისას ჩვენ გვიწყობენ შესანიშნავ შეხვედრებს. ცხენოსნები გამალებით მოჰქრიან ჩვენსკენ, რომ მოგვილოცონ მშვიდობით მისვლა. ამ ჟამად ჩვენ დიდის ამბით მიგვიღო ეჩმიაძინის მონასტრის სამღვდელოებამ ჯვრებით, ხატებითა და მგალობლებით. „როგორ მოხდა ყველაფერი ეს! სადა ვარ მე, რა და ვისთან? ვიცხოვრებთ მარად, არასოდეს არ მოვკვდებით". გესმით? ეს სიტყვები ახლა არ ვიცი რის გამო მითხრა ჩემმა მეუღლემ". [29]

ერევნიდან ახლად ჯვარდაწერილების შესახვედრად გამოემართა ხუთასამდე მხედარი, რომელთა შორისაც იყო რამდენიმე ხანი და ერევნის პლაცადიუტანტი.

19 სექტემბერს ახმედ-ხანმა გრიბოედოვის საპატივცემოდ მოაწყო ოცდაათკერძიანი მდიდრული სადილი. მეორე დღეს პაიაზეთიდან ჩამოვიდა გრიბოედოვის სიმამრი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც სამსახურებრივ საქმეთა გამო ვერ დაესწრო თავის ქალიშვილის ქორწინებას.

25 სექტემბერს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან იყო გამოსამშვიდობებელი საუზმე, რის შემდეგ გრიბოედოვმა თავის მეუღლესთან ერთად დასტოვა ერევანი. ერევნიდან შვიდი ვერსით დაშორებულ სოფელთან ნინო ალექსანდრეს ასული გამოემშვიდობა თავის მშობლებს.

სოფელ სადარაკესთან ელჩის ქარავანს წამოეწია სამხედრო ექიმი მალბერგი, რომ გაეცილებია მისია თავრიზამდე. 7 ოქტომბერს მისია ჩავიდა თავრიზში. აქ მინისტრრეზიდენტს თავის ამალითურთ შეეგება თვითონ აბაზ მირზა, რომელსაც გრიბოედოვმა გადასცა იმპერატორ ნიკოლოზ პავლესძის მიერ რატიფიცირებული ტრაქტატი.

---

[28] ეურ. „Дела и Дни" 1921 წ. წიგნი II, გვ. 70.

[29] А. С. Грибоедов „Полное собр. сочин." 1917 წ. ტ. III, გვ. 226, 227.

თავრიზში ყოფნის მთელი ორი თვის განმავლობაში გრიბოედოვი გართული იყო დიპლომატიურ საქმეებით და მხოლოდ საღამოთი იცლიდა ოჯახისათვის.

მიკლაშევიჩის ქალისადმი გაგზავნილ ბარათში ალექსანდრე სერგეისძე წერდა:

„დამქანცველ სამუშაო დღის დასრულების შემდეგ გავმარტოვდები ხოლმე ჩემს ბინაში. იქ მყავს მე ერთ ძვირფას სახეებში გაერთიანებული დაჲ, მეუღლე და ქალიშვილი. ვუამბობ სხვადასხვა ამბებს, ვაცნობ ყველა იმათ, რომელნიც მათ ახლო ხანში პირადად უნდა ნახონ და გულწრფელად შეიყვარონ.

ჩვენ საუბრებში თქვენი სახელი ხშირად იხსენიება. შეიყვარეთ ჩემი ნინიკო. გინდათ იცნობდეთ მას? მალმეზონის ერმიტაჟში შესვლისთანავე მარჯვენა მხარეს დგას მურილიოს მწყემსი ქალის მაგვარი ღვთისმშობლის ქანდაკება — აი იგი“.[30]

გრიბოედოვისთვის აუცილებელი იყო თეირანში წასვლა. ნინოს კი სტანჯავდა ფეხმძიმობა. ფეხმძიმე ცოლის დატოვება მეტად ძნელი იყო პოეტისათვის.

მაგრამ სხვა გზა არ იყო და ალექსანდრე სერგეისძე დამორჩილდა ბედს. ავადმყოფი მეუღლე მან ინგლისის ელჩის მაკდონალდის ცოლს ჩააბარა, უბრუნველყო იგი საექიმო დახმარებით და ცხრა დეკემბერს თავრიზიდან თეირანს გაემგზავრა.

საყვარელ მეუღლეზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა გრიბოედოვს; გზიდან თითქმის ყოველ დღე აგზავნიდა იგი ბარათებს ნინოსადმი.

შენახულია ერთი ასეთი წერილი ნინო ალექსანდრეს ასულისადმი ყაზბინიდან 1828 წლის 24 დეკემბერის თარიღით მიწერილი.

მომყავს იგი უცვლელად:

„სულიკო“ ხვალ ჩვენ თეირანში მივემგზავრებით. აღნიშნულ ადგილამდე აქედან ოთხი დღის სავალია. წუხელ ერთი ჩვენი ქვეშევრდომის ხელით შენთან წერილი გამოვგზავნე, რომელსაც შენ და მაკდონალდის მეუღლე თორმეტ დღეზე ადრე ვერ მიიღებთ. ფასდაუდებელო მეგობარო ჩემო, მეცოდები. ვშფოთავ და ვწუხვარ უშენობით. ახლა მივხვდი, რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული.

წინათ მრავალს დავცილებივარ, რომლებთანაც აგრეთვე მჭიდროდ ვიყავი დაკავშირებული, მაგრამ ერთი ორი დღისა და კვირის შემდეგ ურვა იფანტებოდა, ახლა კი რაც დრო გადის, უშენობა უფრო სამძიმოა. მოვითმინოთ კიდევ ცოტახანს, ანგელოზო ჩემო, და ვთხოვოთ ღმერთს, რომ ამის შემდეგ აღარ დაგვაშოროს ერთმანეთს.

ტყვეებმა აქ ლამის ჭკუიდან შემშალონ, ზოგს არ იძლევიან, ზოგიერთს თვითონ არ სურს უკან დაბრუნება. მათ გამო ტყუილუბრალოდ დავკარგე ამდენი დრო. ჩვენი სახლი მშვენიერია, მაგრამ ძალზე ცივა, ბუხრები არ დგას, ქურებისაგან კი ყველას თავები აგვტკივდა.

გუშინ მე მომიწვია აქაურმა ვეზირმა მირზა-ნებიმ, მისმა ძმამ ჯვარი დაიწერა ადგილობრივ შახზადის ქალიშვილზე. ქორწილი აგერ მეთოთხმეტე დღეა,

---

[30]. იგივე წყარო გვ. 237, 238.

რაც ეგრძელდება. უშველებელ ეზოში რამდენიმე ოთახია, რომელშიც უხვადდაა საჭმელი და ტკბილეული. მთელი ეზო კარვისებურად მოჩარდახებულია უშველებელ ტილოს ფარდით და ნაირფერად განათებულია. შუაში თეატრია სხვადასხვა სახისა სწორეთ ისეთი, ჩვენ ერთად თეირანში რომ ვნახეთ. გარშემო ხუთას სულამდე სტუმარი ზის. სიძე ახალგაზრდა კაცია, თვითონ მოვიდა ჩემს გასაცნობად მდიდრულად მორთული.

ჩვენი ქორწილი, ჩემო სულიკო უფრო მხიარული იყო, მიუხედავად იმისა, რომ შენ შახზადის ასული არა ხარ და არც მე ვარ დიდი კაცი. გახსოვს, ფასდაუდებელო მეგობარო ჩემო, როგორ ვიქორწინე შენზე ყოველ გვარ შუამავლისა და მესამე პირის გარეშე. გახსოვს პირველად როგორ გაკოცე, ჩვენ სწრაფად და გულწრფელად შევერთდით და საუკუნოთაც. გახსოვს პირველი საღამო, როცა დედაშენი, ბებია და პრასკოვია ნიკოლოზის ასული ბანზე ისხდნენ, მედაშენ კი ფანჯრის სილრმეში. როგორ გიკრავდი გულში, შენ გრცხვენოდა და გაწითლებული იყავი, მე გასწავლიდი როგორ უნდა მაგრად ღა მაგრად კოცნა. შემდეგ როგორ დავბრუნდი ბანაკიდან, ავად გავხდი და შენ, სულიკო, მოდიოდი ჩემს სანახავად.

როდის მეღირსება შენთან დაბრუნება! იცი როგორ მეშინია შენს გამო, მე სულ მგონია, რომ შენ ისევ ის დაგემართება, რაც ჩემი წასვლის ორი კვირით ადრე შეგემთხვა. მე მხოლოდ დარეჯანის იმედზე ვარ. ვიცი, რომ მეტად ფხიზელი ძილი იცის და შენ არ მოგშორდება. აკოცე მას და აგრეთვე ფილიპესა და ზაქარიას, თან გადაეცი, რომ შენი წერილის გამო მადლობას ვუთვლი მათ. თუ შენ მათი კმაყოფილი იქნები, მე შევეცდები კმაყოფილნი ვიყოლიო ისინიც.

ამასწინათ მე დავათვალიერე აქაური ქალაქი. მეტად მდიდარი მეჩეთებია, ბაზარი, ქარვასლა, მაგრამ ყველაფერი ნანგრევებშია ისე, როგორც მთელი აქაური სახელმწიფო. მომავალ წელს ამ ადგილებს ჩვენ ალბათ ერთად ვინახულებთ და ყველაფერი მე უკეთესად მომეჩვენება.

მშვიდობით, ნინიკო, ანგელოზო ჩემო. ახლა საღამოს 9 საათია. შენ ალბათ დასაწოლად ემზადები. მე კი მეხუთე დღეა თავი მტკივა და უძილობა მაწუხებს. ექიმი ამბობს დაქანცულობის მიზეზითაააო. მე კი მგონია, რომ სრულიად სხვა გარემოების ბრალია. ეზო, სადაც ქორწილს იხდიან, საწოლი ოთახის მახლობლადაა, იქ მღერიან და ხმაურობენ. ყველაფერი ეს ჩემთვის ცუდი არ არის, პირიქით ამის წყალობით მე თავს თითქმის მარტოდ აღარ ვგრძნობ. მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო ჩემო, მოიკითხე აგალობეკი, მონტისი და სხვანი. გკოცნი ტუჩებში, მკერდში, ხელებზე, ფეხებზე და მთლად თავიდან ფეხებამდე.

ხვალ შობაა. მომილოცავს, ძვირფასო სულიკო. მე ვარ დამნაშავე, რომ ამ დიდ დღესასწაულს შენ ასეთ მოწყენილობაში ხვდები, ტფილისში შენ იმხიარულებდი. მშვიდობით. ჩემიანები ყველანი მოკითხვას გითვლიან.

თუ შემთხვევა გექნება წერილის მოწერისა, მამასთან და ტფილისში ბებიასთან და დედაშენთან, ჩემს მაგიერ მოკითხვა შეუთვალე და აგრეთვე კატინკასა და დავითს, ახლო ხანში ყველას მე თვითონ მიგწერ წერილებს". [31]

ახალწლისთვის გრიბოედოვი უკვე თეირანში იყო.

---

[31]. იგივე წყარო 244—246.

თავდაპირველად ყველაფერი რიგზე მიდიოდა. შახი თავაზიანად ეპყრობოდა ალექსანდრე სერგეისძეს, მართავდა მის სპატივცემლოდ დღესასწაულებს, უგზავნიდა ძვირფას საჩუქრებს და უბოძა მას ლომისა და მზის პირველი ხარისხის ორდენი.

მაგრამ, როცა საქმე ტყვეების დაბრუნებას შეეხო, ყველაფერი აირია.

ამ დროისათვის გრიბოედოვმა მთავარმართებლისაგან შეუღლების შესახებ შემდეგი შინაარსის მოწერილობა მიიღო:

«Отношение гр. Паскевича К. С. С. Грибоедову.
От 7-го января 1829 года № 115

О вступлении в брак с княжною Чавчавадзе я сообщил гр. Несельроде, с пояснением причин, по коим приступили к оному, не испрося на те предварительнаго разрешения. Ныне канцлер уведомляет меня, от 18-го декабря, что Г. И. во внимание и причинам, описаным мною, соизволил признать совершенно правильным устное мною вам разрешение на вступление в брак.» [32]

ურთიერთობა ირანელებთან ტყვეების გამო დღითიდღე უარესდებოდა.

გრიბოედოვი თითქოს წინასწარვე გრძნობდა ტრაგიკულ დასასრულს. 1829 წლის 15 იანვარს მან მეუღლეს თავისი საყვარელი ძვირფასი სამელნე გაუგზავნა ფრანგულ ენაზე შემდეგი წარწერით *) „ჩემს ანგელოზს ნინოს, 15 იანვარი, 1829 წელი თეირანი.“ [32]

ვინ იცის, მიხვდა თუ არა ამ სამელნის მიღებისას ნინო ალექსანდრეს ასულ, რომ ეს იყო უკანასკნელი ალმაღანი ქმრისაგან.

30 იანვარს გრიბოედოვი რუსეთის საელჩოს სხვა წევრებთან ერთად ირანელ ბრბოს მიერ ვერაგულად იქნა მოკლული თეირანში.

(გაგრძელება იქნება)

---

[32]. „АКТЫ“ ტ. VII. გვ. 921.

*) ეს სამელნე ამჟამად საქ. ლიტერატურულ მუზეუმში ინახება.

[33]. გაზ. „Вечерний Тбилиси“ 1937 წ. № 213.

## 1940 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები

| | |
|---|---|
| წლიურად . . . | 18 მან. |
| ნახევარი წლით . . . | 9 „ |
| ცალკე ნომერი . . . | 1 მ. 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

**რედაქციის მისამართი:**

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

h 553
1940

ფასი 1 მ. 50 კ.

Ежемесячный журнал

„ЧВЕНИ ТАОБА“

Сахелгами 1940 г. Тбилиси